

8,051

6-735

1920

12-13

05

733

ს ის ე რ ტ ყ ე ლ ა

ყოველ-თვიური ჟურნალი

P. 20859

ბრძოლია ★★★★★
 ბელეტრისტიკა
 ღრამე ★★★★★
 კრიტიკა ★★★★★
 ბიბლიოგრაფია



№ 12—13

წოდებადი—დამბედადი

1920

3 M 2 9 1 5

ხარბონ მარლოზვილი

გაქმეული ფიქრი

ცეცხლიან ფიქრების აღები ზვირთული
განშორდა შუადღის ცოდვების სირთულეს.

გზას დაღად ატყვეა ჰაერის სიმძიმე,
და არის უფსკრულის თვალების ციმციმი.

ცხელია მისი მზე ყოველთვის— დილაზე,
როდესაც ფოთოლი ეცემა ქილაზე.

მიჰყვება სივრცეში უბილაჟ მიზრაფებს.
ატყვევებს მოწყვეტილ ვარსკვლავის სისწრაფე.

არ იცის სად ჰპოვებს უარეს სამარეს,
ცა ისევ ბნელია. შავია კამარა.

ღამეში იქცევა ანგელოზთ ფარეზათ
და უყვარს გოდება მომაკვდავ მთვარეზე.

თუ გრიგალს დაეტყო სიშავე ზანგური,
წაიყვანს ლანდების სპა ფარშავანგური.

გაზდება სტუმარი ნისლიან ღრუბელის
და მისი შერანი იღლება— უბედო.

ო, ღმერთო მაღალო, იყავი მოწყალე,
ფიქრები გამექცა - როგორ ვარ ცოცხალი!



ი ა ს ა მ ა ნ ი

მ ა რ ტ მ მ ბ ა შ ი

ტალღათ ხმაური მიასკდა კუთხეს,
 მიმტყუნა ნაცნობ მდინარის ხილმა:
 ორი ნაპირი გაშორდა ურთერთს, —
 კლდეს დაეკიდა უსარგო რითმა.
 ჩამიქრეს ალი, სული შეჰხუთეს
 ხშირმა აწონვამ და დიდმა რილმა.

ვერ გავიარე უსიტყვო ცდაში
 ცად აზიდული გორათ გრეხილი:
 შევენოდ მღერა შორეულ მთაში
 და გაუვლელი უღელტეხილი...
 დღეს ვმღერი ისევ მარტოობაში
 უსაზღვრო სივრცით ჩამოჩეხილი.

მოწყენილია ეგ ჩემი სული
 ძველ ქარიშხალზე, გავლილ ეკლებზე:
 ამოვსებულია თითქოს ფარდული
 უცნობ მასალით, უცნობ გეგმებზე...
 ღხინია ახლა იქ გამართული,
 სადაც ფერები კრთოდენ გემებზე...

შემოდგომაა. კვლავ ნაცნობ ველებს
 მივესალმები თავჩაქინდრული.
 ზღვაურის ქროლა გულის გაამთელებს
 და ნისლი ცისა, მთას დაკიდული.
 დავადნე მშობლის ფრთამედგარ მცველებს
 უკვე გარდასულ ზამთრის ყინული.



ღუბუ მგზავლი

ჩ ი მ ი ლ ი ლ ა

ობოლს, მოკლებულს აკენიდანვე მშობლიურ კერას,
როგორ მიყვარდა ის, ძვირფასი, როგორ მყვირდა;
მეტადრე, როცა მორჩებოდა სხვის თვალში ცქერას.
და მხოლოდ დედა, ჩემი დედა, გულში მიკრავდა!

თუ მთელ დღეს მარტო, უაზხანაგ-უთანაგრძნობოდ
ჩემ შავ ფიქრებთან დარჩენილი, მე ვატარებდი,
სამაგიეროდ ღამე მქონდა წყლულთა დამტკობად,
როცა მის მკერდზე ვისვენებდი და ვნეტარებდი.

რა კარგი იყო მაშინ იგი, რა კარგი იყო!
მეც რა სიამით ვებეოდო, ვეკონებოდი
და თუნდ გარშემო ყოველივე მოსპობილიყო,
არ დავეძებდი, მის აღერსში ვიძირებოდი!

განვლილი ქირი მაშინ უცებ მავიწყდებოდა;
აღარ მახსოვდა არც საკვლავო ნაღველი, შხამი;
წარსულიცა და მომავალიც იკარგებოდა
და იყო ჩემთვის მხოლოდ ერთი ის ტკბილი წამი!

რას ვიფიქრებდი, თუ როდესაც გავიზრდებოდი
და საკუთარის გზის გაკვალვა მომიხდებოდა,
წამსვე ერთმანეთს სამუდამოთ დავშორდებოდიო,
აღარაფერი ჩვენ საერთო არ გვექნებოდა?..

საბრალო დედა! რა საშინლად იტანჯებოდა;
რა საშინელი ედებოდა გულს ცეცხლი მწვაფი,
როცა ხედავდა, რომ იმედი უცრუვდებოდა
და ის არ ვიყავ, რადაც სურდა, ვყოფილიყავი!

ო, კიდევ კარგი, რომ, უდროოდ მოხუცებული,
მალე დამშვიდდა საუკუნოდ, ცოტა იწვალა,
და სიყვარული ჩვენი მზეებზე გაბრწყინებული,
არ დაიჩრდილა, სულ სხვა გრძნობით არ შეიცვალა!

ბედშავო დედა, მწარე იყო შენი ცხოვრება,
მაგრამ ჩემია ბევრით უფრო მწარე, იცოდე!
შენ საზარ ცეცხლის ადრე მაინც გხვდა მოშორება,
მე-კი, ვინ იცის, მით როდემდის უნდა ვიწოდე?!

ოქტომბერი 1926 წ.



დ. შიქონაშვილი

მ ე ე ლ ი რ ე ე უ ლ ი დ ე ს

როგორც ეხლა მუსიკა ქვითინებს მოწყენილი, —
 იყო დრო — მეც ვსტიროდი მეგობრებს მოწყვეტილი.
 ხსნა არ სჩანდა არსაით და იმედი სქკნებოდა,
 ნეტარების ვარსკვლავი უცებ გამიქრებოდა.
 და თუ რამ მომარჩენდა — მოგონება, წარსული,
 გადიოდნენ დრონი და... არ იყო დასასრული...

* * *

ხშირად დავსეირნობდი ოცნებისა ბაღნარში: —
 ხან კისკასი მესმოდა, ხან მგლოვიარე მარში...
 ყველაფერი წარვიდა, გადარჩა მოგონება...
 სული მანც მიშფოთავს, გული დამეღონება.
 და კვლავ წარსულს ვიგონებ, მარტოობა მინდება.
 არ ვიცი — გათენდება, ან როს დამიბინდდება.

* * *

როიალის ქვითინზე, ვით ბავშვი ავტირდები...
 მეგობარო რას მეტყვი? ახალს რას დამპირდები?!
 თუ არაფერს — მე წავალ... ცრემლი არვინ დაღვაროს,
 ვადამქკნარმა ყვავილმა გლოვით თავი დამხაროს!

3 ნოემბერი 1920 წ.



ოპოლი მუზა

შემოდგომა ქუჩებში

ყვითელ ლანდებათ იცრემლებს ქუჩის ბრჭყალებში
სუსხი გადამწვარ ველებიდან გადმონაფრენი;
რუხი სახლების უსიცოცხლო, ჩამქრალ თვალეში
სტირის ჩონჩხების სევდიანი, ცივი სახენი.

მღელვარ ტალღებათ მიმოფრინავს ხმათა გუგუნნი
და ნაშხეფები სცივია ირგვლივ ქუჩის წუმბეში.
ფრთებ-დანამული მიჰქრის ქარი უხმო ზუზუნით,
რომ დაისვენოს გახუნებულ მთების უბეში.

მალლა, ცის ნაკერს გადასერავს ყოჩნის ფრთებივით
შავი ღრუბლების ნელი დენა დაუღვეველი;
ძირს ზარდაცემულ ავზნიანის გიჟურ ხმებივით
ჰღელავს ქუჩების ცივი ტალღა დაუძღვეველი.

ფოლადის თვალებს აელვარებს საშინელება.
და ცივ კედლებთან უნუგეშოთ ზის მათხოვარი.
ო, რა მწარეა მათთვის ცხოველ მზის დანელება-
წამების ჯვარზე გაკრულია დღეს მაცხოვარი!

ნოემბერი, 1920 წ.



დ ე კ ი მ ბ ე რ შ ი

მოხუცდა წელი მწუხარებაში
და თეთრი კუბო მოსჩანს ლანდებთ;
ბნელ სასაფლაოს მღუმარებაში
გაჭქრება იგი გრძნეულ ჰანგებთ.

ქალარა მთები დაიწყებს გლოვას...
და ცივ ქუჩებში ბავში ცახცახით
დააცქერდება სიზმრეულ თოვას,
და ცას იხილავს, მზირალს სხვა სახით.

თეთრ ყვავილებათ გრძნობები წმინდა
თავს დაჰხრის მღუმარ სამარის კარზე,
და იოცნებებს—დრო ვით გაფრინდა
და აქვითინდა ჟამთასვლის ქნარზე.

მოშაგონდება ფიქრი მაისის,
ნაზი ოცნებით შემოქარგული...
და როცა ქარის კენესა გაისმის—
დამენანება დრო დაკარგული.

მოხუცდა წელი. და მეც ვბერდები,
დაცხრილა სული შხამის წვეთებმა.
და დღეს იმ ჰანგზე თუ ავმღერდები,
როგორც იციან მღერა გედებმა.

დეკემბერი 1920 წ.



მ. რ. უხანძრე

ა ლ ზ ო მ შ ი

ვე უძირო თვალები,
სავსე ბრილიანტებით,
ხან მძლავრათ ციმციმებენ,
ხან კი რბილი ანთებით.

და მეც, მისგან ტყვევნილი,
ტრფობით ვიწვი, ვგიჟდები,
დაგდევ, როგორც აჩრდილი...
ჩემს კირს როდის მიხვდები?

— რა ვქნა, მე ჯერ ნორჩი ვარ,
შენ კი გამკობს ქალარა:
დრომ და სივრცემ მე და შენ
სამუდამოთ გაგვეყარა.

მზექაბუკმა დაიპყრო
ჩემი გულის კარები
და დღეიდან, იცოდე,
მას ვერ მიაკარები.

— იქ დარაჯათ დავდგები,
 კარებს მოვეფარები,
 და როცა ის გამოვა,
 მე შიგ შევიპარები.

და მაგრათ გადავრაზავ,
 რომ ისევ არ დაბრუნდეს:
 მე ასე მსურს და ჩემი
 ნება უნდა ასრულდეს!

— მაშინ გული უცეცხლო,
 გაბზარული დაგხვდება.
 — გავამთელებ, თუ მართლა
 ეს ამგვარად მოხდება,

და ხელ ახლად ავანთებ
 მიშქრალ გრძნობის კერასა...
 — ვერ შეცვლი ბუნების წესს:
 დღეთ ვერ აქცევ ბნელასა.



კ. რატიშვილი

მ რ ი ტ რ ი მ ლ ე მ ტ ი

ა.

გულს აღარ შეუძლიან ძმის სიყალბის ატანა.
 სევდის მორევს ტყვედ ვყვეარ, როგორც ზღვაში კუნძული.
 მოდი სული მოგყიდო! მოდი, ჩემო სატანა!
 გულს აღარ შეუძლიან ძმის სიყალბის ატანა.
 მიგალობეთ უბედურს სიცოცხლით: „სულთათანა“.
 ოხ, რა რიგად მომწყინდა ძალლისავით ძუნძული.
 გულს აღარ შეუძლიან ძმის სიყალბის ატანა.
 სევდის მორევს ტყვედ ვყვეარ, როგორც ზღვაში კუნძული.

ბ.

ტყუილ სიცოცხლეს ეკარგება ოქროს მასრები.
 ყოფნა: მოკლეა და ერთფერი, ვით ტრიოლეტი.
 უმიზნო თრევამ გამიყინა ცხელი აზრები.
 ტყუილ სიცოცხლეს ეკარგება ოქროს მასრები.
 ველარ მართობენ გულ გატეხილს ცირკის მასხრები.
 ცივი ვარ, ცივი, ვით ყაზბეგი და თრიალეთი.
 ტყუილ სიცოცხლეს ეკარგება ოქროს მასრები.
 ყოფნა: მოკლეა და ერთფერი, ვით ტრიოლეტი.

ნოემბერი.



6. ჩხიკვაძე

გ ე ღ ი ს . წ ი გ ნ ი

ცხოვრების გზა-ჯვარედინზე შემხვდა ერთხელ ბედი,
 ჯაღო-კვერთხით აღჭურვილი მეფე-შემომქმედი,
 ვსთქვი: მეშველი, ჯაღოსანი რაკი პირად ვნახე,
 აწ გაქრება ჩემი ტანჯვა, ჩემი სივაგლახე.

—გამარჯობა!—ვუთხარ კრძალვით და წარუდექ წინა,
 ის მობრუნდა და ღვთაებრივ ღიმით ჩაეცინა
 და მკითხა მან: „რა გაწუხებს? რას მოითხოვ, რა ვსურს?
 —თუ კეთილ სულს წარმოადგენ, არა მანვნე მაცდურს

სთქვი: რა მეღის, რას მიმზადებ, ჳირს თუ ნეტარებას?
 იგი შესდგა. საიდუმლო ბედის წიგნი ნახა,
 შეიკმუნხა და მიღეულ ხმითა ჩამომძახა:
 —„მარად ბრძოლას, მარად შრომას, მარად მწუხარებას!“

—„როგორ“—და მყის შურის გების გულს მოედო ალი—
 განა ესე წარმართია შენი სამართალი?
 ჯერ აღმითქვი ნეტარება, შემდეგ ჯვარზე მაცვი,
 ღვინო შხამით შემიცვალე და ნაღველი მასვი!

მაშ რა არის სიცოცხლისა, არსებობის მცნება?
 ის კვლავ შესდგა, საიდუმლო წიგნი ისევ ნახა—
 ხელი დამკრა და მორთოლვარე ხმითა ჩამომძახა:
 „—უკეთესის მისწრაფება, ტანჯვა და ძიება!“

თუ ასეა რისთვის იშვის და ან რისთვის კვდება,
 სიცოცხლეში უკვდავებას თუ ვერ ელირსება,
 რად გვაქვს ნიქი, რად გვაქვს აზრი, რად ვართ სხვაზე ძლევეთ,—
 თუ ქია და პირუტყვისგან ჩვენ არ გავირჩევით.

მომავალში რას უმზადებ ტანჯვით ძალა მიხდილს?
 ის კვლავ შესდგა, საიდუმლო წიგნი ისევ ნახა,
 ზე აფრინდა და მწუხარე ხმითა გადმომძახა:
 „—საუკუნო განსვენებას, საუკუნო სიკვდილს.“



ბელესტრისტიკა

ზიო არაბვისპირელი

გ ა გ ზ ა რ უ ლ ი გ უ ლ ი ¹⁾

(ქართული არაკი)

6

მახარე ამ დროს უკვე რაშის გვერდით იყო და ჩრდილოელთ განკარგულებას აძლევდა. იმან თავის ცხენი შორი ახლოს დასტოვა... მივიდა რაშთან ახლოს, რომელიც ცოტათი დამშვიდებული თივას სკამდა, საბელები დაუშინჯა და ნახა, რომ ერთი თვალის დახამხამება კმაროდა, რომ უეცრივ გაენთავისუფლებინა... საკმარისი იყო მხოლოდ როგორმე საყბეური ჩაეხსნა... ფრთხილად მივიდა საყბეურამდის, ფრთხილადვე გაუხსნა საყბეური...

ჩრდილოელთ ჯავრი მოსდიოდათ... ნამეტნავად მაშინ, როცა საყბეურის გახსნა დაუწყო, რადგანაც იმის გახსნით რაში ყოველ წამ თავს გაინთავისუფლებდა და...

უნდოდათ ეყვირათ, მაგრამ მახარემ წინაღვე ყველა ჩრდილოელთ ტუჩებზე ხელი მიათარა, რომ ჩუმად ყოფილიყო... რადგანაც ენა არ იცოდა იმათი, ასემოიქცა... ისენიც ძალაუნებურად ჩუმად იდგნენ... ნაბრძანები ჰქონდათ უფროსისგან დამორჩილება...

რაკი ეს სიძნელე სძლია, ეხლა წუთის საქმე-და იყო...

მართლაც ერთი თვალის დახამხამებაზე სამბელები წაჰყარა ერთი ზელის გაქნევით და ამავე დროს რაშს ზურგზე მოახტა...

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ რაშმა ჯერ ვერც კი მოიფიქრა, თუ იმის თავს ეს რა მოხდა... თავი მალლა აიღო, ყურები ცქციტა და თვალები ისე დააბრიალა, რო ჩრდილოელნი შეძრწუნდნენ და აქეთ იქით მიიფანტნენ, ხოლო ჯაგვაზე მჯდომმა კი სწრაფად გარეკა ცხენები, და ამ გვარად რაში თავის მხედროთ მარტოკა დარჩა... რა იგრძნო თავი უსაბლოდ, სიამით სხეული შეათამაშა და ერთი ისეთი დაიქიხინა, რომ იმის კიხვინის ხმა ზეცას სწვდებოდა...

მეფეების და მარების ცხენმა ფრუტუნი დაიწყეს, შიშით აკანკალებდნენ, და ყურებ დაცქვეტილებმა გასაქანის ძეხნა დაიწყეს... ხალხი კი დაფრთხვა და მწიფე

1) იხილე „ცისარტყელა“ № 11.

პანტასავით, როცა ჰბერტყავენ, ისე დაიწყო უკან ღობეების იქით ცვივნა... კეთილ გონიერნი სირბილით მივიდნენ.

ხოლო ცნობის მოყვარეთ გონებამ უსუსტა და ისე არ მოიქცნენ, როგორც პირველნი. იმათ ღობეები საფრათ მიიღეს და იმის იქიდან ღლანჯია ბარტყებით თავები ამოეყოთ და ისე უმზერდნენ ოინს...

რაში კი კალხზე შემდგარიყო და ცდილობდა მხედრის ჩამოგდებას... მახარეს ფაფარში მაგრა ხელი წაევილო და ფეხები რაშის გვერდებზე შემოეჭირა... ტკიპივით დაჰკროდა რაშს ზურგზე... რაკი ამ გზით ვერ მოიშორა მხედარი, ახლა სხვა მხრივ შეეცადა. სწრაფად წინა ფეხები ძირს დაუშვა, თავი მედგრად წაიქნია და უკანა ფეხები მალლა აისროლა... თითქოს მახარე მოელოდა რაშის ამ მოქმედებასო, მარცხენა ხელით ძუა დასტაცა სწორედ იმ დროს, როდესაც რაშმა წინა ფეხების ძირს დაშვება დააპირა... თუ ასე არ მოქცეულიყო მახარე, თვალის დახამხამებაზედ ცხენის წინ გაიშლართებოდა, მაგრამ მახარე ძუის წყალობით ისევ რაშის ზურგს შეჰკრა...

მარეხი გულის ფანცქალით უმზერდა ამ სურათს... წამს ფერი ეკარგებოდა და გულის სიმის შეწყვეტამდის მიდიოდა, და წამს კიდევ უბრუნდებოდა გულის სიმის სიძლიერე...

რა მარეხს?! ყველას ეს ემართებოდა, ვინც კი ამ სურათს უყურებდა... შეფენადირა სულ გიჟდებოდა... მახარე რო ჩამოეგდო, დამარცხებას ჰნიშნავდა და... შედეგზე ფიქრიც კი უძნელდებოდა...

მხოლოდ დიდი მეფე გულგრილად უმზერდა და თავის ასულს ამაგრებდა:

— შეილო, მარეხ, უგულო თავს არ წაიხდენს!... ჰხედავ იმის მოძრაობას?! ეტყობა გამოცდილია, თორემ ეგრე თავხედურად ზურგზე არ მოექცეოდა უბელო რაშს...

— აკი გითხარ, გამოცდილია მეთქი... წაჰჩურჩულა მარეხს, როდესაც რაშმა უკანა ფეხები მალლა აიქნია, და მახარე ისევ რაშის ზურგზე მოჰჩანდა...

რაშის ყოველგვარ ხერხმა უნაყოფოდ ჩაიარა. მხედარი ზურგიდგან ვერ მოიცილა... ამ გარემოებამ საშინლად გაახელა... კიდევ მედგრად ერთი დაიქიხინა, თვალთავან ბრდღვილები წამოაფრქვია და მოსწყდა ადგილს...

ყველა გაფაციცებით თვალს ადევნებდა... მიფრინავდა, თუ მიქენავდა რაში, ამის ამომცნობი არავინ იყო... აგერ რაში აღელვებულ მდინარის ამალლებულ ნაპირას მიუახლოვდა... უმალ კონცხის მწვერვალს მოექცა და სწრაფად თავს გადაევილო...

რაშიც და მხედარიც თვალთ მოეფარნენ...

— უი!.. იკივლა მარეხმა და ცხენიდგან გადმოვარდებოდა, რომ მამა გვერდით არ ჰყოლოდა.

დიდმა მეფემ გულზე მიისვენა გულ-წასრლი მარეხი, მხლებლების საშუალებით შინ წაიღეს უგონო მარეხი...

მეფე ნადირა კი შებინდებამდის ადგილიდგან არ დაძრულა, და არც თუ სხვა ვინმე...

სული მწარედ მოელოდა მახარეს, ან რაშის გამოჩენას, მაგრამ ამაოდ...

მხოლოდ მაშინ დაიშალა ხალხი, როცა თვალი უკვე ველარაფერს არჩევდა.

მეფე ნადირაც დაღონებული შინ დაბრუნდა და მაშინ ლა იკითხა მარეხი...

მარეხი კარგად დაჰხვდა... იმან უგულოს ამბავი იკითხა, მაგრამ სანუგეშო ვერა მიიღო რა...

— საცოდავს, მდინარე დაადრჩობდა, და იმის ცოდო შენ მოგეკითხება საიქიოს!.. წამოიძახა მარეხმა გულის ტკენით...

— რისთვის მომეკითხება, როდესაც თავის ნებით იკისრა რაშის გახედენა?! — უპასუხა წყრომით მეფე ნადირამ...

იმ ღამეს ქალაქს არა სძინებია, თუმცა ყველა თავის სახლში იყო დაწოლილები... სულ უგულო ეკერათ პირზე და გაშმაგებული რაში... თუ წასთვლემავდა ვისმე, მაშინვე წინ ცეცხლის მფრქვეველი რაში გამოიქიმოდა, მაშინვე სწრაფად გაოფლიანებულ მთრთოლარე სხეულით თვალზე დაჰყეტილი წამოხტებოდა და გაქცევას აპირობდა...

7

დილა ადრინად ჩრდილოეთის შიკრიკი თავს წარმოადგა მეფე ნადირას და დავა დაუწყო...

— გახედნის მაგივრად რიში მთლად გადაგვიღუბე... ეხლა თუ შენ მეუღლეს თან არ გაგვატან, იცოდე, თავს დაგესხმით და...

— რაში თუ დაღუბვას გადარჩა, შენ მეფემდის მივა. გზას არ დაჰკარგავს. . თუ ერთი მხედნავი დამელუბა, ეხლა მეორე სცდის და უეჭველია თქვენი რაში გახედნილი იქმნება... ეხლა კი, თუ თქვენ მეფეს კეთილმეზობლობა უნდა, ამით დაკმაყოფილდება და რაშს ისევ გამოჰგზავნის... ეს პასუხი გასცა ნადირ მეფემ მამის ჩაგონებით ჩრდილოელთ. მეტად ყური აღარ ათხოვა.

მეტი რალა ჰრჩებოდათ ჩრდილოელთ, რომ წასასვლელად არ დამზადებულიყვნენ...

თუმცა მეფე ნადირამ მამის რჩევით ესეთი პასუხი გაჰსცა, მაგრამ გულში წინააღმდეგი იყო. თუ უგულო დაიღუბა, მაშ სხვას ვიღას იპოვიდა... ხომ მეჯოგეთ-უხუცესმა გადაჭრით უთხრა „უგლოზე მეტი არავინ მეგულეზაო“. მაშ რალა

გაქიანურება უნდა“... ფიქრობდა ის... „არა სჯობია, ეხლავე გავუგზავნო მარეხი, რომელიც ჩემი ცოლი ჰგონიათ ჩრდილოელთ, და იმ უგულოსაც კი ჩემი ცოლი ეგონა მარეხი... მაშ ვერაფერს გაიგებენ, თუ კი მამა დავიყოლიე... მარეხი გასათხოვარია... ჩრდილოეთის მეფეზე უკეთეს ქმარს ვერ იშოვის... იმასაც ხომ ჩემი ცოლი ეგონება... ოჰ, რა მადლობელი ვარ ეთერისა, რომ წავიდა და ეხლა აქ არ არის!“ თითქმის ხმა მალღივ წამოიძახა ნადირ მეფემ...

მართლაც ძალიან უხაროდი, რომ ეთერი აქ არ იყო... პირველად, რაც ეთერი წავიდა, იმისმა გულმა სიხარული იგრძნო და პირველად ამის გამო ღმერთს მადლობა შეჰსწირა, თორემ სულ მუდამ სამღურავს უთვლიდა...

ჯერ ეს თავის გულსნადები მამისთვის არ გაუზიარებია, მაგრამ რაც ამ დასკვნას დაადგა დამშვიდებული იყო... ეს დამშვიდება კი გუშინ იგრძნო, როდესაც მახარეს მარეხი, როგორც იმან შეჰნიშნა, იმის ცოლად მიიღო... პირველად, როდესაც ჩრდილოელებმა ეს შეცდომა დაუშვეს, რაღაც ბუნდათ დაებადა თავში... ეს ბუნდოვნობა გუშინდლამდის ჰქონდა და გუშინ კი... ჩამოეყალიბა და სრულიად დამშვიდდა... ეხლა რაშის გახედვას რა შედეგი მოჰყვებოდა, იმისთვის სულ ერთი იყო. ამისთვის ის სრულებით დამშვიდებული იყო, როცა სხვები მახარეს ხვედრით ძალიან შეწუხებულები... დილა აღრიანად თითქმის მთელი ქალაქი ისევ გამოფენილიყო და მდინარისკენ გაიციქირებოდა, თრთქოს ის რაიმე ამბავს მოუტანდა...

მდინარე კი უფრო აზვირთებულიყო, რადგანაც ეს ღამეც ძალიან თბილი იყო და, თუ კი თოვლი სადმე იყო, სულ დამდნარიყო, და ხევ-ხუვები საშინლად ახმაურებულიყვნენ...

ცხრა თვალი მზე კი სხივებს უხვად უგზავნიდა ატალახებულ დედამიწას და ოშნივარით ჰბურავდა არე-მარეს... თითქმის შუადღე მოტანებული იყო, მოქალაქეთ მოეწყინდათ ლოდინი და თანდათან თივიანთ სახლებს უბრუნდებოდნენ... ჩრდილოელნი უკვე გაჯავრებულნი მოემზადნენ დასაბრუნებლად... მხოლოდ მეფე ნადირამ შეაფერხა ისენი, რადგანაც სადილად მიიწვია... ძალიან მხიარული მასპინძელიც გამოდგა...

მხოლოდ მარეხი სულ ერთ ადგილას იდგა და თვალს არ აშორებდა მდინარეს... რამდენჯერ მოეჩვენა მდინარის პირას მხედარი?!. მაგრამ მოჩვენება ჰქრებოდა... იმედი და უიმედობა ერთმანეთში ათქვეფილიყო და უპირატესობა ვერც ერთს ვერ დაექირა... მარეხის გული არ სთმობდა, რომ იმისთანა ვაჟკაცი, როგორც იყო მახარე, ასე უმნიშვნელოდ გაუფუჭებულიყო... ხან კი გაიფიქრებდა: „უგულოს ყოფნა, არ ყოფნა ჩემთვის სულ ერთი არ არისო?!.“ მაგრამ მანაც შებრუნება არ უნდოდა...

ავერ კიდევ გამოჩნდა მდინარის პირას რაღაც აჩრდილი... მარცხმა თვალეზზე ხელი გადისო, თვალი ხომ კიდევ არ მატყუებსო... მაგრამ არა, მდინარის პირას ვიღაც მოსჩანდა, თუმცა მკაფიოდ არა, რადგანაც დედამიწიდან ავარდნილი ოშხივარი ჰბურავდა...

ვიღაც იყო კარგა ხანს ადგილობრივ რაღასაც ტრიალებდა... ცოტა ხნის შემდეგ სასახლისკენ წამოვიდა... ეს იგრძნო მარცხმა, კი არ დაინახა... ჩქარა მარცხმა უკვე დაინახა, რომ ვიღაცა მხედარი სასახლისკენ მოდიოდა დინჯად, აუჩქარებლივ... შეუძლებელი იყო ეს უგულო ყოფილიყო, რადგანაც ის ცეცხლის მფრქვეველ რაშმა გაიტაცა და მდინარეში გალიტანა, და დღეს კი თითქოს ბედაურით ვიღაც მოდის ისე დინჯად... მაინც მარცხი სასახლეში შევარდა სიხარულით და მეფეებს უთხრა:

— მდინარის მხრიდან ვიღაც მოდის ბედაურით... იქმნება უგულოს ამბავი რამ მოაქვსო!..

სადილი უკვე გაეთავებინათ და წამომდგარიყვნენ, როცა მარცხი შევიდა დარბაზში...

მაშინვე სუყველანი გარედ გამოვიდნენ და თავიანთ თვალეზს არ დაუჯერეს... ეს ვიღაც უგულო იყო და ბედაური კი გუშინდელი ცეცხლის მფრქვეველი რაში... საბელით საცხვირე გაეკეთებინა უგულოს, ფეხები ჩამოეკიდნა და ისე წყნარის ნაბიჯით მოჰყავდა რაში...

ყველა წინ მიეგება... მარცხი ყველაზე წინ მიდიოდა... დაუახლოვდნენ ერთმანეთს თუ არა, მახარემ რაში შეაყენა, გადმოხტა და გავაზე ხელი გადუსო... ისე გათამამებულიყო მახარე, რომ კუდიც კი გამოენასკვა...

ყველა სახტად დარჩა, როცა რაში ასეთ გარემოებაში ნახეს.. ნამეტნავად ჩრდილოელნი...

— ეხლა, მეფევ, ეს რაში ბალღისთვისაც საშიშო აღარ არის!..— წარმოსტკვა მახარემ...

— კარგად ვხედავთ, შვილო, უთხრა დიდმა მეფემ და ალტაცებით გულში ჩაიკრა...

მახარე დაიბნა... არ მოელოდა ასეთ მიალერსებას... აწითლდა.

მარცხს ენა დაება... უნდოდა რაღაც საალერსო ეთქვა, მაგრამ ვერა მოახერხა რა და ისაც აწითლდა და თავი დახარა...

მხოლოდ მეფე ნადირა ჩქარა გამოერკვა გაკვირვებისგან, მახარეს მხარზე ხელი დაადო და:

--- იცოდე, უგულოვ, დღეის შემდეგ ჩემ კარის კაცად გნიშნავ, და ჩემი სასახლე დღემუდამ შენთვის ღია იქნება...

— ეგ ჩემთვის დიდი წყალობაა, მეფევე, მაგრამ კარის კაცობა, ვეჭვობ, გავწიო, რადგანაც ერთი უბრალო ხელოსანი ვარ... მიჩვეული...

— როგორ?! წამოიძახა მარეხმა და თვალეში ჩააშტერდა: განა ხელოსანი ხარ?!

მახარე დაიბნა, მაგრამ სწრაფად გონება მოიკრიფა და დაწყნარებით უბასუხა:

— ხელოსანი ვარ მაშ რა... ჩემი ხელობაა ტყეში და ველში ხეტიალი, ცხენების ხედვნი და ნადირის ხოცვა... ეს განა ხელობა არ არის?! ამ ხელობის კაცი, ვაი, თუ კარას კაცად ვერ გამოდგეს?!

— ნადირ, თქვენ ნასადილევი ხართ, მიჰმართა მარეხმა ძმას, უგულო კი არა მგონია მაძლარი იყოს... არც მე მისადილია...

— ოჰ, მართალს ამბობ, ჩემო კარგო, მაძლარი მშვიდრისთვის ამხანაგი არ არისო“, ნათქვამია... ჯერ ვასადილოთ და შემდეგ ვიბაასოთ... ეხლა კი ეს რაში მინდა ჩავაბარო პატრონს...

— მამავ, ჩვენ პატარა სასახლეში ვისადილებთ, ჩემ ოთახში... იქ წამოიყვან უგულოს... მე კი მოვამზადებინებ ყველაფერს... ამ სიტყვებით გატრიალდა მარეხი და პატარა სასახლისკენ გაემგზავრა...

8

... მარეხი ძალიან ეჭვობდა, რომ უგულო უბრალო მეჯოგე იყოს... იმისი თვალეების გამომეტყველობა სრულებით სხვას ამბობდა... მერე იმისი ლაპარაკი და ხმის მოძრაობა სრულებით არ ემოწმებოდნენ იმას... ამას ჰგონობდა მარეხი და კიდევაც ეს იყო მიზეზი, რომ მარეხმა თავის ოთახში მოისურვა სადილობა მახარესთან ერთად... იქ სათვალჩინო ადგილას გაბზარული „ზარი“ ედო, და შეუძლებელია, თუ კი რამ კავშირი ჰქონდა მახარეს ხელობასთან ეს არ შეეგონა... თუნდაც არ შეეგონა, მაინც განგებ აჩვენებდა მარეხი... პირველ შეხედვანედვე, პირველ იმის ხმის ამოდებაზე მარეხმა იგრძნო, რომ ეს უბრალო მეჯოგე არ იყო და რაღაც კავშირი ჰქონდა ზართან... მით უმეტესად, გაიფიქრა მარეხმა ეს, რომ მახარეს ხმა ლაპარაკის დროს ისე საამოდ ფრენდა, როგორც მაშინ, როცა ეთერმა ზარი აახმაურა... რაღაც მგზავსება იპოვა, და ამაში უნდა დარწმუნებულიყო... როცა ორივე მეფემ მახარე შემოიყვანა ეთერის ოთახში, იქ უკვე ყველაფერი მზად იყო... სუფრა უხვად იყო გაწყობილი. გარს მშვენიერი ბალიშები იყო შემოწყობილი...

მახარე სულ ახლებში გამოეწყოთ... იმის ტანისამოსი მეფის ტანისამოსს უდრიდა... ნადირ მეფე რაშის გახედვამ ისე გაახარა, რომ მახარესთვის აღარას ჰშურობდა... მართალია, ის უკვე დამშვიდებული იყო, გინდაც არ დაბრუნებულ იყოს, მახარე, რადგანაც გადაწყვეტილი ჰქონდა, ეთერის მაგივრად. მარეხი გაეგზავნა, მაგრამ მინც ძალიან გაეხარდა რაშის გახედვანა. რაც უნდა იყოს მარეხი და იყო და...

დასიძება ჩრდილოეთის მეფისა სასიქადულოდაც მიაჩნდა, მაგრამ აქ მარეხი ცოტა უსიამოვნო გზით უნდა შეეთავაზნა... ეს კი, ცოტა არ იყოს, უსიამოვნობას იწვევდა მეფე ნადირაში...

რაკი ეს უსიამოვნობაც მოჰშორდა, ეხლა იმის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა...

გახედნილი რაში ჩრდილოელთ ჩააბარა... გულწრფელად სთხოვა დარჩენილიყვნენ კიდევ რამდენიმე დღეს, რომ ენახათ, თუ რა დღესასწაულს გადუხდიდა რაშის გამხედნა... ისენიც დასთანხმდნენ...

— მეფეებო, თქვენთვის არა მომიშაადებია-რა!.. თქვენ უკვე ნასადილევი ხართ... მხოლოდ უგულოსთვის არის ეს სუფრა გაშლილი... და ჩემთვის!.. დაუმატა სიცილით მარეხმა...

— ოჰო, ჩემო კარგო, სიცილით უთხრა ნადირ მეფემ... გინდა მარტო შენ გაამბოს რაშის გახედვის ამბავი?! არა... ჩვენც გვინდა მოვუსმინოთ უგულოს...

— ლაპარაკისთვის სრულებით არა მცხელა, ისე მშინ!.. მგონია, უგულოს უფრო ემშვივება!..

— მართალს ბრძანებ, დედოფალო, ძალიან მშინ და მოუთმენლად მოველი, როდის მომაწვდი ლუკმა პურს...

მახარემ პირველ შამოსვლაზედვე შენიშნა სუფრის ახლოს სამფეხზე დადებული თავისი ქმნილი... მოაგონდა მაშინვე მამისა და ნარგიზა... იმისგან გაცარული და კინალამ იქვე არ დაეცა... ქირის ოფლმა მთლად შეასველა, ყურებმა შუილი დაუწყო, და რო მთლად თავის ნების ძალა არ მოეკრიფა, იქვე გულწასული გაიშხლართებოდა...

ოდნავ კედელს მიესვენა, როდესაც მარეხი და ნადირა ერთმანეთს ესიატკბებოდნენ, და შესძლო ისევ თავის ძალა მოეკრიფნა... სწორედ კარგ დროზე წამოიძახა მარეხმა, თორემ შეიძლებოდა სულ გამოეშეღავნებინა თავის გულს-ნადები...

— ოო, თუ მაგრეა, ნულარ ჰვეიანობთ და შეუდექით სადილობას... ჩვენც აქ თქვენთან ჩიბუხებს მოვწვევთ...

— არა... არა!.. გინდათ პირში ლუკმა დაგვითვალოთ?.. წადით!.. სადაც გინდათ იქ მოსწიეთ ჩიბუხი და, როცა ჩვენც ვისადილებთ, მაშინ მოდით და უგულოც გვიამბობს რაშის გახედნის ამბავს... პირობას გაძლევთ, უგულოს რაშის შესახებ ერთ კითხვასაც არ მივცემ, და, მგონი, ესაც პირობას მოგცემთ, გინდაც შევეკითხო, უთქვენოთ პასუხს არ მომცემს... არა, უგულოვ?!

— მართალს ამბობ, დედოფალო!.. როცა სიმშილს იკლავ, მაშინ ლაპარაკი შეუძლებელია... აი, საქმელს რო ვხედავ, პირს ნერწყვი მომდის და კუჭი მიკანკალებს...

— წავიდეთ, მამავ, თორემ, როგორც ეტყობათ, ჩვენც შეგვქამენ, თუ აქ დავრჩით...

9

მარეხი სუფრას მოუჯდა და მახარეც მიიპატიეთა...

მახარეც და მარეხიც მართლა მშვივრები იყვნენ და გულიანად დაიწყეს ჭამა... ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის, ვიდრე კარგად არ შენაყრდნენ... მაშინ მარეხმა ფიალა გაავსო მშვენიერი ღვინით და წარმოასტკვა:

— უგულოვ, ეს შენი სადღეგრძელო იყოს!.. მოსვა ცოტა და მახარეს გადააწოდა...

— დედოფალო, ეს საწამლავიც რო იყოს, მაინც გამოვცლი და შენსავით ტუჩებს არ დავისველებ... შენი სადღეგრძელო იყოს, შენზე უკეთესს ვის ვადღეგრძელებ!.. უთხრა და თვალებში აღგზნებით ჩააცქერდა...

მარეხმა დაბლა ცქერა დაიწყო... მახარე კი ისევ აღგზნებით უმზერდა და ფიქრობდა: „თუ მიცნო, მაშ მარეც სხვანაირად რად შელაპარაკება?.. ნუ თუ დაავიწყდა ის ღამე?.. მარეც იმ ღამის მხილებელი ხომ გვერდით უძევს და... მაშ ვერ მიცნო“... გულის ტკენით გაიფიქრა და უეცრივ ახლა სულ სხვა აზრმა გაუელვა... „მაშ მე ვერ მიცნო... სხვა ვგონივარ და მოვწონვარ... ეხლა მეფესაც უგულოზედ სცვლის, როგორც მე მახარე მეფეზე გამცვალა“...

ამ აზრმა საშინლად ააღელვა... ფიალა სუფრაზედ დასდგა და სახე მრისხანებით მოეცვა...

მარეხმა სავსე ფიალა დაინახა და სწრაფად სიცილით მიჰმართა:

— როგორც გეტყობა, საწამლავისა ძალიან გშინებია, რომ ტუჩებიც კი არ დაისველე!..

მახარეს უეცრივ სახის გამომეტყველება შეეცვალა ასეთ გულუბრყვილო სიტყვაზედ, სწრაფად ფიალა ტუჩებთან მიიტანა და უეცრივ გამოცალა...

— ესე მტერი დაგეცალოს!.. წამოიძახა და ცარიელი ფიალა წინ დაუდგა...
ორივეს აზრი სულ ზარის გარშემო ტრიალებდა, და არც ერთ იმათგანს სა-
ერთო ენისთვის ვერ მიეგნო... ორივეს უნდოდა ჩამოეგდო ზარზე ლაპარაკი,
მაგრამ ვერ ახერხებდა.

დაიწყეს ისევ ჭამა... თითო ოროლა სიტყვას ერთმანეთს ესროდნენ...

— აბა, ახლა, უგულოვ, მიამბე, თუ როგორ მოახერხე რაშის გახედვნა?!
ჩვენ კი გვეგონა, დაიღუპებოდნი!.. მიჰმართა ბოლოს მარცხმა მახარეს, რაკი ვერ
მოახერხა ზარზედ ლაპარაკის ჩამოგდება...

— ხომ მერე კიდევ გამეორება დამკირდება?!.

— მაშ დავუძახებ...

— არა... არა... ჯერ ნუ!.. შეეშუდარა მახარე მარცხს...

ეხლა იგრძნო, რომ შეიძლება შემდეგში ამისთანა პირის-პირ ყოფნის შემ-
თხვევა აღარა ჰქონდეს და გაბედულად ჰკითხა:

— ეს რა არის?!. და ზარზედ ხელი მიიშვირა... რამდენი ხანია შევცქერი...
დაუმატა მახარემ... სუფრასთან ახლოს ძვეს... მეგონა სადილობის დროს დაგკირ-
დებოდა... მაგრამ ისე გავათავეთ სადილი, რომ არ მოგხმარია...

— ეს... ეს... ზარია!.. უპასუხა მარცხმა და გულში კი გაიფიქრა: „უთუოდ
კარგად იცი, რაც არის, მაგრამ ვანგებ მკითხავო“...

— ზარი?!. გაკვირვებით ჰკითხა მახარემ...

— ჰო, ზარი!..

— მერე რის გამოსადგეია?!.

— რო სუფრაზე ვამღეროთ!..

— ამღეროთ?!. მერე რატომ არ ამღერებ?!.

მარცხს გულწრფელად მოეღუშა სახე და ნაღვლიანის ხმით წარმოსთქვა:

— გაბზარულია!.. ხმა ჩახლცილი აქვს...

— როგორ თუ გაბზარული?!. გულწრფელად გაიკვირვა მახარემ.

— აი, როგორ!.. მარცხმა ზარი ყურით ხელში აიღო, ენა ამ მოძრაობაზე
ზარის ნაპირს მოჰხვდა და უსიამოვნო ეღრიალი მოიღო...

ამ ხმაზე მახარე გაფითრდა, და ხელების კანკალით მარცხს ჩამოართვა ზა-
რი...

მახარემ გადაატრიალ-გადმოატრიალა ზარი და რა ნახა ცალი მხარე თითქმის
ყუნწამდის გაბზარული, გულის სიღრმიდგან ამოსკდა კვნესა, და მარცხს საყვედუ-
რის სავსე თვალებით შეჰხვდა...

თითონაც არ იცოდა მარცხმა, რად დაიწყო თავის მართლება და თითქოს
ბოდიშის მოხდა:

— ვფიცავ ღვთაებას, ჩემსა მზესა, სახელმწიფოში ვინც კი ხელოსანი გვეგულებოდა ყველა მოვლალეთ და ვერ გავამთელებინეთ!..

მახარეს ამის მოსმენა არ უნდოდა... ისედაც კარგად ჰხედავდა, რომ ბევრ ხელს უწვალებია ზარი...

შეებრალა თავისი თავი და თავის ოცნება, გატაცებული ძიება, ღამეების თევა!.. რა სინაზით .. რა გრძნობით... აღფრთოვანებით მოელოდა ამის ხმის გაგონებას?!

ეხლა კი ეთერის წყალობით რა დაჰმართნია იმის ქნარს?!

კიდევ გადაჰხედა მარებს საყვედურით და ცივად გადააწოდა ზარი...

ამას კი აღარ მოელოდა მახარე, რომ იმის გრძნობას ასე აბუჩად აიგდებდა ეთერი და...

მარეხმა ჩამოართვა ზარი, ენა უფრო ძლიერად მოჰხვდა პირს, და უარესი ჟღარუნი გამოიღო... მახარეს ტანი აუყრჯოლდა, და იმის გულის ხმაც ზარის ჟღარივალს შეუერთდა...

მეფეები ამ ოთახის ახლოს ისხდნენ და უგულოზე ბაასობდნენ, რომ ზარის ჟღარივალის მოესმათ და ორივე მეფეს ტუჩებზედ ნაზი ღიმი გადაეფარა...

ისენი მაშინვე შევიდნენ მარეხის ოთახში სწორედ იმ დროს, როდესაც მახარე წამოდგა და ოთახიდან გასვლას აპირობდა...

— დაო მარეხ, უგულოს კარგად ჰცოდნია რაშების გახედვნა, მაგრამ, არა მგონია, გაბზარული ზარის გამთელება იცოდეს!..

მახარემ თვალები დაჰყიტა... თავის ყურს არ დაუჯერა და ხან ერთს, და ხან მეორეს თვალით შეეკითხა...

მარეხმა და დიდმა მეფემ ვერა გაიგეს რა, ხოლო ნადირ მეფე კი იღიმებოდა...

— რაო, უგულოვ, არ გესიამოვნა, რო მარეხი ჩემი დაა და არა ცოლი?!.. ცოტა სიჩუმის შემდეგ შეეკითხა ნადირ მეფე...

მახარე გამოერკვა...

— ცოლია შენი ეს ქალი, თუ დაა, ჩემთვის ორივე შემთხვევაში სათაყვანებელი დიასახლისია... ძალიან მადლობელი ვარ ასეთ გულ-უხვ მასპინძლობისთვის... უპასუხა მახარემ და მარეხს თავი დაბლად დაუკრა...

მარეხი აწითლდა...

— ჩემი ქალის ავადმყოფობაა, ვინც უნდა უცხო მოვიდეს, მთხოვარი იქნება ის, თუ დიდებულის, ყველას აქ უმასპინძლდება და სადილობის დროს უეჭველად გაბზარულ ზარზე უნდა ებაასოს და ჰკითხოს: „გამთელება ხომ არ შეუძლიანო“?..

— ცილს ნუ ჰწამებ, დიღო მეფევე, შენ ქალს... მაგას ზარის შესახებ არა უთქვამს რა. პირ იქით, მე ვკითხე და მხოლოდ ამის შემდეგ მომაწოდა გასაშინჯად...

— ოო, ტყუილად ამართლებ, უგულოვ, ჩვენ კარგად ვიცნობთ მარებს...

— ნადირ, სულ შენი ბრალია ამ ზარის გაბზარვა და კიდევაც დამცინი?!

— ოჰო, მამბეზლებ კიდევაც?! სიცილით უთხრა ნადირ მეფემ.

მახარე ეხლა უფრო გამოუტყვეველ მდგომარეობაში ჩავარდა... მარები, თუმცა ძალდატანებით, ეთერად ევონა... მაშ ეთერი სადღა?! ან ეს ზარი მარებს რადა აქვს?! ვერა გაეგო რა, და, აი, სწორედ ამის გაგება განიზრახა, მაგრამ როგორ გაეგო ისე, რომ ეჭვი არავის მოჰსვლოდა?!

— რო გაეგონა ამ ზარის ხმა, სულ გადაირეოდი, უგულოვ!.. მაგრამ ეხლა რაღა ხმა აქვს... სამწუხაროდ ჟღერიალებს... წელან შეგატყე, ამისმა ხმამ გუნება გაგიფუჭა... ნაღვლიანად დაუმატა ეს უკანასკნელი სიტყვები მარებსმა... მახარეს ნაღვლიანად გაეღიმა, და გულმომბაღმა აღერსით უპასუხა მარებს...

— კარგია არ ვავიგონე, თორემ გადარეული რას ვემგზავსებოდი?!

ორივე მეფემ ხარხარი დაიწყო... მარები კი გაწითლდა და საყვედურის კილოთი მიჰმართა უგულოს:

— განა სამუდამოდ გადაირეოდი?!

— ვხუმრობ, მეფის ასულო, ვხუმრობ!.. მაგრამ ერთი ეს მითხარი, რატომ იმასვე არ მიჰმართავ, ვინც ეს ვააკეთა და ვისგანაც შეიძინე... უეჭველია, ყველაზე ადრე ის გაამთელებს, ვიდრე მოხეტიალე მათხოვრები, ან კიდევ დიდებულნი?!—დაეკითხა მახარე მარებს.

ეს შეკითხვა მოულოდნელად მოუვიდა. ამ კითხვით თითქმის ყველაფერს გაიგებდა...

— ეჰ... გულის ტკენით უპასუხა მარებსმა... ეს ეთერმა მაჩუქა, როცა გაეზარა... ამის გამკეთებელს დიდი ხანია დავეძებთ, მაგრამ ვერ ვიპოვეთ...

— ვინ ეთერმა?!

— ჩემმა მეუღლემ... კაცია ბატონის ასულმა... მარების მაგივრად უპასუხა ნადირ მეფემ... ეს ზარი ვილაც შეგირდ მახარეს გაუკეთებია... ეთერს უყიდნია იმისგან... როცა შემთხვევით ჩემ ქორწილში გაიბზარა, გავგზავნეთ იმის მოსაყვანად, რადგანაც მარებს, ჩემ და მარებს ძალიან ეწყინა ამის გაბზარვა... ზარში ეს დაეძებდა გამკეთებლის სულს... უნდოდა მოესმინა მარტო ზარის ხმა უეთეროდ, მაგრამ ამ დროს ძირს დავარდა... ქვას მოხვდა და გაიბზარა... გაბზარულმა კი ისე ჟღერიალი დაიწყო, რომ მარები ავადაც კი გახდა... კაცია ბატონმა მახარეს მოსაყვანად გაგზავნა გზირი, მაგრამ ის სადღაც გადაჯრგულიყო... ოქრო-შქედე-

ლიც აქ იყო, მახარეს ოსტატი, მაგრამ ვერა გააწყო რა... დედოფალი ეთერი გულ-კეთილი ქალია... მარების ასეთი მწუხარება რო ნახა, აჩუქა და უთხრა: თუ ოდესმე მახარე სადმე გამოჩნდებოა, გავამთელეზინებ და მაშინ ეგ ზარიც და ის მახარეც შენი იქნებაო...

მახარე ისე იწოდა მეფე ნადირას სიტყვებზე, თითქოს მეფის ყოველ სიტყვის შემდეგ საშინელის სიძლიერით იფნის სახრეს ურტყამდნენ ზურგზედ... მაგრამ ამავე დროს ნუგეშს ჰპოვებდა მარების უმანკო სახის კროტომაში ..

--- კმარა!.. წამოიძახა მარებმა... არა მსურს ჩემზე მაგდენი ილაპარაკო და... აუფარდა ტირილი და გარედ გავარდა...

10

ნარგიზა უშვილო იყო. პირველში ღმერთს მხურვალედ ემუდარებოდა, შვილი ჰყოლოდა... მაგრამ იმისი მუდარა ამაოდ რჩებოდა... წელიწადი წელიწადს მისდევდა და ის მაინც უშვილოდ ჰრჩებოდა... როცა კი იტყოდნენ, ამას და ამას ამ დღეზე შვილი უნდა ეყოლოსო, სიხარულის იმედით იმოსებოდა, და მაშინვე იმისკენ გარბოდა... გვერდიდგან არა ჰშორდებოდა და ბებიას ეხმარებოდა... თუ მშობიარე ძალიან იტანჯებოდა, ნარგიზა სანუგეშოდ ეუბნებოდა: „შვილი ისეთი ბედნიერებაა... მე რო შენ აღგილას ვიყვე, კი არ ვიყვირებდი, სულ ვიცილებდიო!“ ამას გულწრფელად ეუბნებოდა და რო შვილს ჰლირსებოდა, შეიძლება, მართლაც ტკივილების დროს სულ ეხარხარნა... მაგრამ, იმის და სამწუხაროდ ვერ ეღირსა...

მერე რა აღერსით და სიამით უვლიდა ახლად შობილს?... ზედ დასტრიალებდა მფარველ სულსავით და ნიავს არ აკარებდა... ბებიას აკვირვებდა ნარგიზას ასეთი საქციელი, მაგრამ უხაროდა, რომ ნარგიზა ასე დაუზარებლივ და სიყვარულით ასრულებდა იმის მოვალეობას... თითონ კი ამ დროს ისვენებდა განცხრომით... მერე სულ უსასყიდლოდ...

როცა კი ბებიას ვინმე დაუძახებდა, ის თავის მხრივ შეუთვლიდა ნარგიზას: „ესა და ეს ამაღამ მოილოგინებს და ხომ არ გესიამოვნება დასწრებაო?!..“

ეს საკმარისი იყო, რომ ნარგიზა სახარულით მელოგინესთან ბებიასზე აღრგ გაჩენილიყო...

დრო გადიოდა... ნარგიზა ხანში შევიდა... შვილის ყოლის იმედი დაჰკარგა, მაგრამ სიყვარული მშობიარეთადმი უფრო გაუცხოველდა...

წინაღვე ბებიის სიცოცხლის დროსვე მშობიარენი ნარგიზას სთხოვდნენ ბებიაობა გაეწია, მაგრამ ნარგიზა უარს ეუბნებოდა და ბებიის მოწვევას ავალეზდა...

თითონაც უეჭველად ესწრობოდა... როცა ბებია გარდაიცვალა, მხოლოდ მაშინ დაიწყო მარტოდ მუშაობა... ისევ უსასყიდლოდ, მაგრამ მშობიარენი უფრო უხვად აჯილდოვებდნენ სხვა და სხვა სახით და გზით...

ნარგიზა უკვე სახელ განთქმული ბებია იყო, როდესაც ეს ამბავი მოხდა...

როცა ნადირ მეფემ მარეხი აატირა, სწორედ იმ წამს გადია ნარგიზასთან შევიდა და მიიბატოჟა ეთერთან...

— რა ვიცი, ჩემო ნარგიზ, ჯერ კი დრო არ არის, მაგრამ იქნება უდღეოდ დაებადოს... დაუმატა გადიამ...

— უი, დამიდგეს თვალი!.. იმისთანა ქალს უდღეოდ როგორ დაებადება?!.. ღონით სავსეა... რატომ უნდა უდღეოდ დაებადოს?!.. მაშ გამოდის ორი თვით უფრო ადრე უნდა დაებადოს... უი, უი!.. ეთერი ისე სუსტი არ არის, რო ვე დაემართოს... ხომ ჯერ ორი თვე აკლია?!.. სულ ნაანგარიშები მაქვს, როდის უნდა დაებადოს... მეფეს მხოლოდ შვიდი თვის წინად ეამბორა, მანამდის კი, როგორც შენ მიაბე მგზავრობა, ქორწილი, მერე ეთერის ავადმყოფობა და... მხოლოდ ორ კვირას ცხოვრობდნენ, როგორც ცოლ-ქმარნი, და მერე აქეთ გამოემგზავრა დედოფალი...

გადიამ ტუჩები მოიკვნითა... თურმე თითონვე გაუცია ეთერი...

— ჩემო ნარგიზ, მაინც ნახე, იქნება მცდება...

— ეხლავე, შვილო, ეხლავე... დედოფალს როგორ არ ვნახავ?!.. მეფეს შეატყობინეთ?!..

— არა!.. დედოფალს არც უნდა შეატყობინოს, რადგანაც ასე ადრე მოუვიდა ტკივილები... იქნება მახინჯი დაებადოს და მაშინ, სჯობია, სულ არ ვაცნობოთო...

ნარგიზა სიხარულით გაჰყვა გადიას... ამას კი აღარ მოელოდა ნარგიზა, რომ ოდესმე დედოფალს მოალოვინებდა სეფე-წულს პირველად ის ხელს შეახებდა...

ეთერი ხშირად იბარებდა ხოლმე ნარგიზას თავისთან და სხვა და სხვა ამბებს ჰკითხავდა... ეთერს ესიამოვნებოდა იმის ნახვა... თითქოს ამით დაკარგულს უახლოვდებოდა... ნარგიზაც ხშირად მოდიოდა; თავის თავგადასავალს უამბობდა... ეთერი აღტაცებით უსმენდა ხოლმე, როცა ნარგიზა მახარეს დედის შემოხიზენაზე უამბობდა, და შემდეგ თითონ მახარებე, თუ იმან როგორ იშვილა მახარე და ბოლოს კი... ასე დაეკარგა...

ეთერი თავის მდგომარეობაზე სულ არას ეუბნებოდა... იმან კი შინ დაბრუნებისას იგრძნო, რაც მოელოდა... ჯერ არ სჯეროდა... მერე კი დღითი დღე რწმუნდებოდა, თუ იმის თავს რაც იყო. მაშინ კი გადიას გამოუტყდა...

— ე მაგისი მეშინოდა, ჩემო კარგო, და აკი არ აგვცდა?!. მაგისთვის გემუ-
დარებოდი, მეფესაც ვშველოდი და ვემუდარებოდი, ძალა მაინც ეხმარა, იმასთან
მარტოკას გტოვებდი ამისთვის... შენ კი მლანძღავდი, უკიდურესად მექცეოდი...
მოლაღატეს მიწოდებდი... აი, ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ მე მართალი ვიყავი?!
ერთ ღამეს რომ დაჰნებებოდი მეფეს, მაშინ თამამად გამოაცხადებდი, რა გარე-
მოებაში იქნებოდი და მეფეც აღტაცებული დარჩებოდა... ეხლა კი... ღმერთო...
ღმერთო... თავში რხ ქვა უნდა ვითხლიშო, რომ ეს... იქმნება ნარგიზა მოვი-
ხმაროთ, რომ...

— ხა... ხა... ხაა!... ეთერის გულიანი კისკასი მოესმა გადიას, და თვალები
დაჭყეტილი დარჩა...

ეთერი კი გულიანად ხარხარებდა...

ეთერი უსმენდა გადიას „ვიშ-ვიშ“ ღიმილით, ბოლოს ვეღარ მოითქინა და
გულიანად გაღიხარებდა...

როცა ეთერი დამშვიდდა, მაშინ მხურვალედ გადაეხვია გადიას და ჩაჰკო-
ცნა...

— ჩემო ძვირფასო გადი, მეფემ რო იცოდეს, თუ რად ერთგულებდი, ხომ
სამწვადესავით აგაცვადა ხის ტოტზე და ისე შეგწვამდა...
ეხლა კი ჰგონია, იმის ერთგული ხარ, და კიდევაც დაგავალა თვალყური მა-
ღვწო...

— დედოფალო, ვერა გამიგია-რა!?

— გინდოდა: ჩემი და მახარეს შვილი მეფის შვილად გამოგვეცხადებინა...

— სხვა გზა არ იყო, რაკი იმის ცოლი გაჰხდი...

— ხომ ჰხედავ, სხვა გზაც არის... მე ვიქმნები დედა მახარეს შვილისა და ეს
ასეც იქმნება...

— ეთერ... ეთერ... დაუკვირდი, რას ამბობ?!.

— ეს მარტო ჩვენ უნდა ვიცოდეთ და სხვამ არავინ... მამა-ჩემმაც კი...

— ბოლოს ხომ მაინც უნდა კიდევ ვინმემ იცოდეს, რომელიც მიიღებს შენ
შვილს?!.

— თუ კი ეხლა ნარგიზას მოწვევა გინდოდა, მაშინაც ნარგიზა მიიღებს...
უთუოდ იმისი იმედი მაქვს, რომ ეს დამარხული იქმნება...

— იყოს ნება შენი...

— ჩემო გადი, ხომ ჰხედავ, აი, იქ რო გამოკრული ძეგს... ის იმ ღამის
სუფრაა და ჭურჭელი შიგ გამოკრული... ეგ სულ ვერხვის ქვეშ იყო... შენ გა-
ტანა გინდოდა... ნება არ მოგეცი... ეგ იმის ამოტანილია... მაშ გვირახისთვის
მიუგვნი... სხვა გზით ვერ ამოიტანდა აქ... ის მოვა ისევ... მაშინ კი...

— რო არ მოვიდეს?!

— თუ ცოცხალია, მოვა, და თუ მოკვდა, სანუგეშოთ იმის შვილი მეყოლება... მაშინ შენდა სასიხარულოდ შევესრულებ პირობას, რაც ნადირ მეფეს დაუდევია... წელიწადი ჯერ შორს არის... გვირაბის კარი დაუკეტავი უნდა იყოს... მაშინ სიჩქარით დაუკეტავი დამრჩენია და ძალიან მიხარიან, რომ ეს ასე მოხდა... თუ ის მოვა, ამ გზით მოვა...

ამის შემდეგ მომხიარულდა ეთერი და უდარდელად, სიამით იტანდა თავის მდგომარეობას... გადია კი სულ კანკალობდა შიშით...

როცა დრო მოვიდა, ნარგიზაც მოიწვიეს და ეს ბუნების დიდი საიდუმლობა საიდუმლოდ ჩაატარეს...

ეთერი მთელ დღეს იტანჯებოდა და მხოლოდ შუა ღამისას განთავისუფლდა... ტკივილების დროს კრინტი არ დაუძრავს... ითმენდა...

ნარგიზას კიდევაც ეშინოდა, არა დაემართოს რაო, და ურჩევდა ეკივლნა... მაგრამ ეთერი ქვასავით ხმას არ იღებდა...

როცა ნარგიზამ მიიღო ბავშვი, ის უგრძობლივ მიეგდო... დიდხანს იყო ასე, თუ ცოტახანს, ეს ეთერს არ უგვრძნია... გადია და ნარგიზა ბავშვის მოვლას მოუწოდებდა და ეს კი თითქმის მიაღწევდა... როცა ეთერისთვის მოიცალეს, მაშინ ეთერი უკვე ღრმა ძილში იყო...

წინა ღამის და ამ დღის ტანჯვამ თავისი იმოქმედა და ეთერი ისე მოქანცა, რომ რა წამს კი მოეშვა, მაშინვე ღრმად მიეძინა.

გადიას და ნარგიზას უნდა ვაეიანობა ეხარებინათ, მაგრამ გაღვიძებამდის გადადეს...

11

— მეფევ, ძალიან სასტიკად მოექცეი შენ დას...

— ოჰო, მფარიელი გამოუჩნდი?! კარგი!.. ერთი მითხარ, რის მაქნისია ეს, რო გიჭივით თავს დასტრიალებს და თვალთავან არ იშორებს?! უპასუხა მეფე ნადირამ და ზარზე ხელი მიიშვირა...

— აკი შენვე სთქვი, იმედი აქვს გამთელებისაო!...

— აქნობამდის არავინ გამოჩენილა... ან ვინ გამოჩნდება, როდესაც ამის გაშკეთებელი დაიკარგა და...

— იქნება სხვამაც შესძლოს...

— თუ კი შესძლებოდა, აქნობამდის გამოჩნდებოდა, რადგანაც ეხლა ყველამ იცის მთელ სამეფოში, რომ მარეხი იმას ცოლად ვაჭყვება...

— მერე შენ წინააღმდეგი არ იქნები?!

— წინააღმდეგი რათ ვიქნები, როდესაც მამა-ჩემი მზად არის მთელი თავის საუფლისწულო მამულები სულ მარებს გადასცეს იმ ვილასიც სასარგებლოდ... აი, ეს სასახლეც თავის კარ-მიდამოთი მამას გადაწყვეტილი აქვს მარებს შესთავაზოს, თუმცა ეს ჩემთვის ძალიან უხერხული მომიჯნავე იქმნება... ვილაც ხელოსანი, ჩემი დის ქმარი... აქ საოკრომჭედლოს გამიხსნის... მაგრამ ჩემთვის ერთის მხრით ძალიან ხელსაყრელი იქმნება, რადგანაც ჩემ ეთერს სამკაული უყვარს და, თუ რამ დასჭირდა, შორს წასვლა არ მოუწდება...

მხარეს ეთერის ხსენებაზედ თავში სისხლი აუვარდა და წამოწითლდა... სწრაფად გაბზარულ ზარს ხელი წამოავლო და, ვითომ გულცივად, სინჯვა დაუწყა...

— რა, ხომ არ გინდა შეეცადო?! შეეკითხა დიდი მეფე... ძალიან მოხარული ვიქმნებით, თუ კი დაგვისიძვედები...

მხარე ჩაფიქრდა. ატირებული მარები უეცრივ თვალ-წინ წამოუდგა და გული მოეკუმშა... იმისი თვალები ღმობიერებით აივსო, უმანკო არსება შეებრაღა, და ჟინმა მოუარა ამოეკოცნა სველი თვალები და ამ გზით ამოემშრალებინა...

მერე მხარეს სახე მოექუშა... ეტყობოდა, რაღაც სულიერი ბრძოლა ხდებოდა იმაში... ის მეფეებს აღარ ამჩნევდა და აღარც იმას ჰგონებოდა, რომ ხელში ზარი ეჭირა...

მეფეები შესტკეროდნენ და უკვირდით იმის სახის ცვალებადება...

მხარემ გადასწყვიტა ქედის მოუხრელობა... ეთერი თუმცა უფრო ძლიერად უყვარდა, მაგრამ ასეთ იმისგან გაწბილებას ვერ შეურიგდებოდა და...

— დეე, თავის თვალთ ნახოს, რო უღირსი არ ვყოფილვარ!..— წამოიძახა უსიტყვოდ და მარჯვენა ხელი, რომელშიაც ზარი ეჭირა, ამ გადაწყვეტილების ნიშნად მედგრად ჩაიქნია...

მოისმა გულ-შემზარავი ჟღერიალი და შემდეგ ნაწილობრივი წკრიალი... საღტად დარჩნენ მეფეები ამ სანახაობით... მხარე გამოერკვია ამ ჟღერიალ-წკრიალზე და... ამ დროს მარები შემოვარდა ხმაურობაზე გულ-გახეთქილი და შეჰყვირა:

— რა მოხდა?!

მხარე სწრაფად გადახტა მარებისკენ და ხელი შეაშველა და უთხრა:

— მეფის ასულო, ნუ გამიწყრები!.. ვეცდები, თუ მე არა, გიპოვო გამთელბელი...

ისეთი ნაზი ხმით უთხრა მხარემ მარებს, რომ ის სწრაფად ვონს მოვიდა და სხეულში რაღაც სიამემ გაურბინა... კარგია მხარემ ეს მოახერხა, თორემ მარები, თუ იქვე გულწასული არ დაეცემოდა, აუთარსავით მაინც თავბირს გამოკაწრავდა მხარეს, როცა შუაზე გადაშლილი ზარი მარმარილოს იატაკზე დაინახა...

მეფეები ჯერ განცვიფრებულები დარჩნენ... მარეხის შემოსვლაზედ ფერი ეცვალათ... შეეშინდათ, ველარ აიტანსო და, როცა დაინახეს, რომ მარეხმა ბოლოს მშვიდად უპასუხა:

— იმედი მაქვსო!..

ორივემ ხარხარი დაიწყო...

— უგულოს ეგონა, ზარსაც ისე სწრაფად გაამთელებდა, როგორის სისწრაფითაც რაშს ზურგზედ მოახტა!.. თითქმის ორივემ ერთათ წამოიძახა...

მახარემ კი ნამტვრევები სიყვარულით ააგროვა, სუზანი სთხოვა მარეხს, რომელმაც სწრაფად მოუტანა, შიგ გამოახვია და სთქვა:

— ეხლავე შევეცდები, თუმცა იმედი არა მაქვს, თუ ნებას მომცემთ და ადგილს მიჩვენებთ, სად არის საოქრომჭედლო...

— ააარა... ჯერ ვერ გაგიშვებთ, ვიდრე რაშის გახედვის ამბავს არ გვიამბობ!.. თითქმის ერთად უთხრა ორივე მეფემ მახარეს...

— ჯერ გვიამბე და შემდეგ...

— რა გიამბოთ, როცა თქვენი თვალთ ჰნახეთ ყველაფერი?!.. მერე კი, როცა ორივე მდინარეში გადავეარდით და თვალთ მიგეფარენით... დაიწყო მახარემ... ზვირთებმა მოგვიტაცა... ამას არ მოველოდი, რომ რაში იმ კონცხიდგან შიგ ზვირთებში გადაეშვებოდა... მეგონა, დაინახავდა თუ არა აზვირთებულ მდინარეს, მაშინვე გაუხვევდა საითმე, მაგრამ იმან კი, როგორც ჰნახეთ, შიგ გადაეშო... როცა გონება მოვიკრიფე, დავინახე, რომ კარგა მოშორებით განივრად იშლებოდა მდინარე და მაშინვე განვიზრახე იქამდის ჯერ-ჯერობით არ მიმეშო, რაგანაც იქ შეიძლებოდა ისევ ნაპირზე ვასულიყო და ვინ იცის, ისე ჩქარა ვერ დამემორჩილებინა, როგორც წყლის საშუალებით შეიძლებოდა... მაშინვე ზურგი გავუნთავისუფლე და ძუა ხელზე დავიხვიე. მდინარემ მომიტაცა და მძიმედ, მაგრამ თან და თან რაშმა ცოტა პირი იბრუნა ჯერ ცერად ნაპირისკენ, მერე პირდაპირ და ცოტა ხნის შემდეგ სწრაფად ძალაუნებურად პირი აღმა ჰქმნა... აი, მაშინ დაიწყო იმისი ბრძოლა... ცდილობდა გაერღვია ზვირთები, მაგრამ ფრუტუნით, ფრთხილად ვერას ხდებოდა... ჩემის სიმძიმით ნალოსავის კულზე ვიყავი მობმული და იმასაც კი ვერ ახერხებდა, პირი ნაპირისკენ ექმნა... თან და თან კი გაშლილ ადგილს ვუახლოვდებოდით... როცა შევატყე, რომ რაში უკვე მოიქანცა და, თუ ცოტა ხანს კიდევ ასეთ ბრძოლაში ვამყოფე, სულ დაილუპება, მაშინ მეც შევებრძოლე ზვირთებს... უკვე გაშლილ მდინარეში ვიყავით და ზვირთი ისე ძლიერი აღარ იყო... ჩქარა ძუის მაგივრად ფამფარი ჩავიგდე ხელში. კიდევ მდინარის დახმარებით ამ გზით პირი ცერად ვაქმნევენე და ბრძოლა შევეუსუმბუქე. რაკი აღნავი შეება იგრძნო და ნაპირი დაინახა, უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და ნაპირ-

რისკენ მიაშურა... მეც მხარ და მხარ მივდევი და ხელის შეხებით ვამხნეებდი... აღარ მიწყრებოდა რაში. როცა ნაპირის ახლოს ფეხი მდინარის ძირს მოჰკიდა, უკანასკნელი ძალა მოიკრიფა და გაეშურა ნაპირისკენ... მაგრამ წყალი ჯერ კიდევ მუტლამდის სწვდებოდა, რომ შესდგა, სხეულის თრთოლვა აუვარდა...

მაშინვე დაფუზილე ზურგი, გვერდები, კლდი დაფუჭიმი. გავაც გადაფუზილე და მხოლოდ მაშინ წინ დავუდექი... თითქოს არაფერს ჰხედავსო, ისე იტკირებოდა გაშტერებული თვალებით... დახელვის შემდეგ ტანის თრთოლვა შეუდგა... ახლა ყურები დაფუჭიმი, თვალის ქუთუთოები და ქუთუთოების გარშემო დაფუსრისე და შემდეგ კისერი ჩავუზილე... ისევ წინ დავუდექი და აღერსით ნესტოები მოვუზილე... რაში თითქოს გამოერკვა... ღმობიერად შემომხედა... ძლიერად დაიჭიხინა და ტუჩებით სახის ცმუცვანა დამიწყო...

ამას მოველოდი და ესეც მოხდა... რამდენი ცხენიც გამიხედნია, ყოველთვის ამით გათავებულა, და რაკი რაშის გახედნავც ამით გათავდა, მაშინვე წელიდგან საბელი შევიხსენ... კისერზე შევაბი და საცხვირე გაფუკეთე... სწრაფად ზურგზე მოვექეცი და დამორჩილებული რაში ჩემ ნებას ასრულებდა... აქით წამოსვლა უკვე გვიანდა იყო და ამისთვის მეჯოგეებთან წაველი...

რაში ძალიან კარგია და შევეყვარდი კიდევაც... ეხლა მე რომ დამინახოს, ჭიხინს მორთავს და სიხარულით ტუჩებით სხეულის ცმაცუნს დამიწყებს... წინად კი კბილებით დაგლეჯას მიპირობდა...

12

როცა დიდის საჩუქრებით და გახედნილი რაშით ჩრდილოელნი გაისტუმრეს, მახარემ სუზანში გახვეული ზარის ნამტვრევები განგებ მომზადებულ საოქრომჭედლოში გადატანა უთხრა მეფეებს და მარესს...

— როგორც დაგბირდით, უნდა ეს ზარი გავამთელო, მაგრამ ამისთვის დამჭირდება ჩემი ძმად-ნათცი მოვიყვანო... იმედი მაქვს დამთანხმდება... ეხლა, როგორც მახსოვს, ის ხშირად იმეორებდა, რალაც ხმებზე, ლითონზე... ტყეში შემხვდა... ძმად გავიფიცენით... ერთხელ კიდევაც სთქვა ოქრომჭედლის შეგირდი ვარო. ვიძალები იმიტომა, რომ ჩემ მამობილს სულ გავუფლანგე, რაც კი რამე ჰქონდაო, და ეხლა სანამ სამაგიეროს არ ვიშოვი, ისე ვეღარ ვეჩვენებიაო...

— მახარე ხომ არ ქვიან შენ ძმობილს... ჰკითხა ნადირ მეფემ...

— ლომა ჰქვიან... იქნება მახარეც ერქვას, არ ვიცი...

მარესი კი სულ სხვას ფიქრობდა... „განგებ იგონებს, რომ თავიდგან მომიშოროსო“ და დანაღვლიანდა...

მახარემ შეჰხედა მარებს და, რა დაინახა იმისი დაღვრემილი სახე, უთხრა...

— მეფის ასულო, გაძღვე პირობას, ზარი ხუთ დღეში გამთელებული იქმნება...

მახარეს ძალიან უნდოდა დედოფლის ნახვა... უკანასკნელ ზეიმებში მონაწილეობა არ მიუღია... არ იცოდა, თუ სად იყო. ვერც ეკითხნა. ეშინოდა თავისი თავი გამოემეღანებინა, რადგანაც მაშინ დედოფალს ისე თამამად ვეღარ ელაპარაკებოდა... უნდოდა ბოლომდის „უგულო“ სახელად შეჰრჩენოდა და ამისთვის არჩია ირემა ამ საქმეში ჩაერია და იმისთვის მახარე ეწოდნა... მაგრამ ესაც კარგად იცოდა, რომ ირემა მეფე ნადირას ვერ ეჩვენებოდა, რადგანაც ის მაშინვე იცნობდა. ირემა ისე არ შეიცვალა, როგორც მახარე... ეს გარემოება ცოტათი ართულებდა საქმეს... მაგრამ ამისთვისაც გამოსასვლელი იპოვა. ირემას საოქრომჭედლოში ამყოფებდა დღე და ღამ და, როცა ზარს ხელმეორედ ჩამოასხავდა, მალეით გაისტუმრებდა... სხვა პირობით არც ირემა წამოჰყვებოდა...

სულ ხუთი დღე არ გასულა ამ ლაპარაკის შემდეგ, რომ ახლად ჩამოსხმული ზარი თავის პირვანდელ სახით და ხმით მახარემ მარებს მიუტანა და უთხრა:

— მეფის ასულო, მიიღე ეს ზარი რის გამთელებაც მე დამავალე...

— რის გამთელებაშიაც სხვა დაიხმარე განა, უგულოვ?!.

— სამწუხაროდ! უიმისოდ შენ სურვილს ვერ შევასრულებდი...

— მერე სად არის ის?!

— წავიდა... მხოლოდ ამ პირობით გამომყვა და იმუშავა...

— მერე სასყიდელი არ მიეცი?!

— ჩემი ძმობა აქვს იმას ხელთ... მეტი სასყიდელი არ შემეძლო მიმეცა...

— თავის მამობილის ქონებას შენი ძმობა ხომ ვერ აუყენებს?!. შენ კი სთქვი: „გაფლანგულს რო შეაგროვებს, მხოლოდ მაშინ დაუბრუნდება თავის მამობილსო!...“

— სწორედ მაგრე სთქვა.

— მაშ ჩვენ მივცემდით, რო გეჩვენებინა და ჩქარა დაუბრუნდებოდა თავის მამობილს... აგერ მამა-ჩემი და ნადირაც მოდიან, ისენიც ამასვე გეტყვიან...

— რაო, რაო, შვილო?!. შეეკითხა დიდი მეფე, როცა მარების ხმა გაიგონა...

— მამავ, აი, გამთელებული ზარი!...

— რას გვეუბნები?!. უკვე?!. ორნივე მეფე შეეკითხა თითქმის ერთ დროს...

— აბა, გავგავანეთ მაგისი ხმა...

— უგულოვ, მე არ ვიცი მაგისი მოხმარება... შენ თუ მასწავლი?!. ეშმაკურად შეეკითხა მარები...

— ოო, დიდის სიამოვნებით!.. წუხელის იმან მასწავლა წასვლის წინ...

— უეჭველია, მაგრე იქმნებოდა, თორემ რად გვინდოდა ზარი, თუ კი ვერ მოვიხმარდით... სიცილითვე უთხრა მარეხმა...

მარეხი ამ ხუთი დღის განმავლობაში მალეით უგულოს ფეხის ფეხად უკან-უკან დასდევდა. გული ნებას არ აძლევდა, რომ უგულო ისევ ის მახარე არ ყოფილიყო, რომელმაც ეს ზარი გააკეთაო. და მართლაც თავის თვალთ ნახა, რომ მახარე „უგულო“ იყო და ის ვიღაც რომ მოიყვანა, ის კიდევ ირემა... მარეხიც მახარესავით იძინებდა და ღამე კი ფხიზლობდა და საოქრო-მკვდლოს სანათურით-გან შესცქეროდა... იქიდგან კი კარგად ჰხედავდა, თუ მახარე როგორ მუშაობდა გაჩაღებულ ქურის შუქზე და ირემა კიდევ როგორ იმასავით თვალე დაქყეტილი უცქეროდა... ირემას მუშაობა მხოლოდ ხანდისხან საბერველის დარხევაში იყო... ისაც ხშირად ავიწყდებოდა...

მახარემ აამღერა ზარი!...

ორივე მეფე განცვიფრდა, ისე ემცნაურათ ხმა... მარეხი კი... ალტაცებულ-მა ზარი გულში ჩაიკრა და წამოიძახა...

— ისევ ის სული უდგია, ისევ ის!..

— უგულოვ, სწორედ თვალთმაქცი ჰყოფილხარ!.. წამოიძახა ნადირ მეფემ... ეხლა ვამაყობ კიდევაც რომ...

— ეს ხომ სხვამ გაამთელა!.. შეაწყვეტინა სიტყვა მახარემ...

— მერე სად არის ის სხვა?!.

— შენს მეტი ჩვენ სხვა არავინ გვინდა!.. დაუმატა დიდმა მეფემ...

— ის სხვა ისევ წავიდა... მხოლოდ ჩემი თხოვნით გაამთელა...

— მერე სასყიდლად მხოლოდ ხელში თავისი ძმობა მიუცია უგულოს, რადესაც იმ სხვას მამობილის გაფლანგულ ქონების ანაზღაურება უნდა!.. სიცილით დაუმატა მარეხმა...

მახარე შეკრთა... იგრძნო, რომ უნებურად ბევრი მახე დაიგო და...

— მარეხ, რატომ არ მოაყვანინებ მაგ ზარის გამთელებელს?!. აკი ალთქმა გაქვს დადებული: ცოლად გაჰყვე, ვინც ზარს გაგამთელებს!..

— ძმაო ნადირ, მზათა ვარ ალთქმა შევასრულო, მაგრამ იმის ალთქმა არ დამიდგია, რომ ძალად შევართვევინო თავი!.. რაკი იმას არ ვუნდივარ, მაშინ მეც ხსნილი ვარ ალთქმისგან... მე ხომ, აი, იმის სული ხელთ მიქირავს!.. დაუმატა და სიამოვნებით გადიკასკასა...

(დასასრული იქნება შემდეგ ნომერში)



დ. თურდოსპირელი

ნ უ ნ უ

(ძღვნად ნინო ზამახუროძის ახულს)

მოულოდნელად, სიზმარივით მსუბუქად შემოიპარა ჩემს ცხოვრებაში ნუნუ... ანაზღად შემომანათა თვალები და ქალწულებრივ სიყვარულმა დაილაპარაკა იმ თვალთა კვესებით.

მე ბედნიერების ცრემლები წამომსკდნენ, სასწაულებრივ გარდაიქმნენ მერცხლებად, აიჭრნენ ცაში და ჩაიჭიკჭიკეს:

თქვენ ვარსკვლავებო, თქვენ მზის სხივებო, თქვენ ნაკადებო, თქვენ ყვავილებო—ყველამ აქეთ, აღიდეთ ნუნუსა და ობოლი მგოსნის სიყვარული... ყველამ ილოცეთ მათი დაუსრულებელი ნეტარებისთვის.

* *

შორეულ სატრფოზე ოცნებობა ხომ იცით? ამ ოცნებასავით მომხიბლავი იყო ნუნუს ხმა, როდესაც იგი გამეხმაურა ხვაშიადის გასამყლავებლად...

„ხო, შენი ვარ, შენიო“.

„ხო, შენი ვარო“—მითხრა მან და ასე მეგონა უეცრივ მთელი ქვეყნის ცოდვა-ბრალი გაჰქრა, მოისპო და ქვეყნად დამყარდა სათნოება, მეგობრობა, სიყვარული.

ფერიაა ნუნუ ბედნიერებისა... ღმერთებისგანაა იგი ქვეყნად გადმოგზავნილი, რომ მოაგონოს წაწყმენდილთ სასუფეველი... რომ იხსნას კაცობრიობა ცოდვილ წუთიერ არსებობისგან და გაიტაცოს ვარსკვლოვან უკვდავებისკენ.

* *

ვწევარ გულ-აღმა მინდვრად გაქრილი და ვოცნებობ ნუნუზე მთელი ღამე ვწევარ მოქათქათე, გაბადრული მთვარის პირდაპირ და გულს მისვენია ნუნუს

წერილი... შორს ატეხილს კალაში ვილაცა უკრავს სალამურს... შორით-შორს ვილაცა სიყვარულით აკვნესებს სალამურს, მაგრამ არ უგდებ ყურს... არ მივდეც ცრემლებივით მთრთოლავ სალამურის ბგერას, რადგან გულს მისვენია წერილი ნუნუსი... მუსიკის სმენა მიყვარდა, როცა ჩემი გული შემოდგომურად იყო დაღვრემილი და კაეშნის ცრემლებით მონისლული... ნაღვლის გასაქარვებლად მიყვარდა მუსიკა და დღეს მუსიკა თვით ჩემშია... ჩემი გულია ხმა-ტკბილ ქნარად გადაქცეული და ისა მღერის... დაუგდეთ ყური, კარგა დაუგდეთ რას მოგვითხრობს ისა...

* * *

ჩემი გული მღერის: ბუნება უზარმაზარი ფერად ნახატთა ალბომია. შიგ მრავალი სურათია, თუმცა ყველა ერთ და იმავე პირისა. ნუნუა ყველა სურათში გამონაკვეთული სხვა და სხვა ჟამს.

ყვავილები—ნუნუს სურათებია.

ვარსკვლავები—ნუნუს ხატებაა.

ლაჟვარდი—ისიც ნუნუს სახებაა.

ჩემთან არაა ამ ჟამად ნუნუ, მაგრამ მე ვხედავ მისს უთვალავ სურათებს... მე ველაპარაკები მას სასოებით და მგონია, რომ იგიც მიპასუხებს.

ჩემთან არაა ნუნუ, ჩაგრამ ჩემთანაა მისი ბრწყინვალე ტკბილი სული და იგი მიმღერის უქკნობელ, გარდუვალ სიყვარულზე...

* * *

ხო, შენი ვარ, შენია—მომიყურტულა ნუნუმ და მინდა წარმოვიდგინო, სურათ-ნაკვთად აღვადგინო ის ბგერა, რომლითაც მითხრა ნუნუმ ეს აღთქმის, ოქროს სიტყვები. მინდა მოვიგონო ნუნუს კილოს იერი, როცა ამ სიტყვებით ბედნიერების ცა გამომიკაშკაშა და ვერ ვახერხებ...

ახ, მახარე, მახარე, შიო არაგვისპირელის მახარე, ობოლი ტლუ ვინმე იყო მახარე, მაგრამ გაბედნიერდა მით, რომ დაიჭირა თვისი სატრფოს ეთერის ხმა. მიუწვდომელი იყო მისთვის მეფის ასულის ეთერის ბგერანი, მაგრამ სიყვარული მეფის სასახლის ბურჯებზე უმაღლესია და ამ სიყვარულმა ლითონში ჩამოასხმევინა ეთერის ღვთაებრივი ბგერანი და ისმენდა მას ყოველთვის, როცა მოისურვებდა...

მე ვერ მომიგონებია წკრიალი ნუნუს ხმისა და ვოცნებობ იმ წუთზე, როცა შემხვდებო და გამიმეორებს ბედნიერების მარგალიტებით მოთვალულს სიტყვებს.

*
*
*

წინეთ მწამდა, ვითომც არსებობდა ვინმე უხილავი, დიადი მხატვარი, რომელიც ჯადოსნური ყალმის მოსმით ალამაზებდა დედა-ბუნებას, ამქვევრებდა სიყვარულს, ეშხით აკვესებდა ჩემი ძველი სატრფოს თვალებს, რომელნიც მარადიულ ამოცანად მიმაჩნდნენ...

დღეს დავრწმუნდი, რომ ყველაფერი ცდუნება და ზმანებაა... სინამდვილე და ქეშმარიტება მხოლოდ ნუნუ ყოფილა...

ხელოვნებამ ყველას თავი უნდა მიანებოს და მარტოოდენ ნუნუს სახება უკვდავ ჰყოს...

მარადისობის ეტრატზე სხვა არა აღიბეჭდება რა, გარდა ნუნუს მშვენებისა. გაივლის ჟამი, მრავალი ახალი გაზაფხული აღმართავს საგარიჟრაჟო ალამს, ახალ-ახალი სიყვარულის ლოცვები დაიწერება, მაგრამ ყველგან ჩაქსოვილი იქნება ზღაპრები ნუნუსზე, ლეგენდები ნუნუსზე... პოემები და ნაკვესები იმავ ნუნუსზე...

*
*
*

სიხარული, სიციცხლე, მზე, სიყვარული—ყველაფერი ნუნუსშია და მისს გარეშე არ არსებობს აღარაფერი.

ნუნუს შემყურეს მავიწყდება ძველი სატრფო, ძველი ლოცვები, ძველი იმედები...

ჩემი ცხოვრების ნისლოვან გარიჟრაჟისას შემეყვარდა მე ძველი სატრფო უსიკო, მაგრამ გაზაფხულის ყვავილოვან სიზმრის გრძნეულებით შემომგებარა ნუნუს სიყვარული და გამკრთალდა, გაჰქრა უსიკოს სახება.

მე უკანასკნელად ვიღებ მისს სურათს და ცრემლ-მორეული ვეჩურჩულები: —უსიკო, უსიკო, ნუ გამიწყრები, ნუ დამემღურები გეთაყვანე, ნუ მისაყვედურებ, რომ ნუნუ შევიყვარე... დედოფალია იგი ყვავილებისა... ღმერთია იგი ვარსკვლავებისა და არ შემეძლო მისი შეუყვარებლობა... მშვიდობით კეთილო, მშვიდობით ძველო მეგობარო, ნუ დამიწყველი ნუნუს, რომელმაც ახალი ცა გამიხსნა, ახალი ლოცვები წარმომათქმევინა, ახალი გაზაფხული ამიყვავილა... ახალი ღმერთი შემეყვარა...

*
*
*

ვიშ, ნეტარებავ, ვიშ!.. ის მოდის, მორკმით მოემართება ნუნუ და ყველა მას ეგებება:

—გზა, გზა, ნუნუ მოდის!—ჟივილ-ხივილით ჰხვდებიან ფრინველები...

— გზა, გზა, ნუნუ მოცქრიალობს!— ელურტულ-რაკრაკით ჩხრიალებენ ნაკად-წყარონი...

— გზა, გზა, ნუნუ მონარნარებს!— საამო სურნელთა კმევით შრიალებენ ვარდ-ყვავილები...

— გზა, გზა, ნუნუ მომაისობს!— ეხმაურება მათ ჩემი გული და ქარბ ლხენით ააზატებული ჰაეროვან კოცნას უგზავნის მთელს ქვეყნიერებას.

ნ მარიამობისთვე, 1920 წ.



დემნა შენგელაია

ანდრო სავანელი

ჩემს ძვირფას დედივებს (ვლდა თანხალ-
ზის ახულის ჩსოვნას.

დემნა შენგელაია.

I

საშინელება იყო ბარდა, რომელიც ძვირფასმა ლილიმ აჩუქა უკვე ცნობილ მწერალს ანდრო სავანელს. მისი მოკუთხული შუბლი, ზედ შუბლის თავზე ღორის კუდივით ამოსული წითელი თმა, უზარმაზარი სისხლის გამყინავი მწვანე, უაზრო და იდიოტური, თითქოს შუშის თვალები საშინლად ციალებდნენ უშველებელ თვალის უბეებში და მათი ისრები სულში მარმარა ბებუთივით, გველის ტანივით ცივად მისრიალებდნენ და მით უსაზღვრო უმწეობას აგრძნობინებდნენ ადამიანს.

ო, რა გატაცებით ოცნებობდნენ ლილი და ანდრო მომავალ შვილზე! იგი მზის აბურბუშელავებულ სხივებივით თმებითა და ცისფერ ყუყუნა თვალებით უნდა ყოფილიყო შემკული, რომელსაც მზეჭაბუკი უნდა რქმეოდა სახელად თუ ვაჟი იქნებოდა და ყუყუნა თუ ქალი. და აი ლილი, როცა ანდრო დილა ადრინად სადმე საქმეზე წავიდოდა, საწოლ ოთახში მარტო დარჩენილი, ჯერ კიდევ თბილ ლოგინში ნებიერ ზმორებით წამოჯდებოდა, შიშველს, შავგვრემან მკლავებს კისერზე რკალივით ნაზად შემოიხვევდა, თავის შერხევით ნაბადივით შავს დალალებს უკან გადიყრიდა და თვალეზ გარინდებული, შეფიქრიანებული ყურს უგდებდა გაყუჩებით, თუ როგორ იქმნებოდა მასში ახალი სიცოცხლე და თუ როგორ საზრდოობდა ის უცხო და სასურველი მისი სულითა და სისხლით. და ლილი ოცნებითა და რაღაც გამოურკვეველის უსაზღვრო წყურვილით მიბნედილი ყურთბალიშს ჟინიანად, უსაზღვრო ვნებით მიეკვრებოდა, ხოლმე დედობრივობას მონატრებული და მისი სათუთი ოცნებანი და ქალწულებრივი სინაზე, რომელიც საყვარელ ანდროს ისე გატაცებით მიართვა ზვარაკად, ამ მომავალ შვილში უნდა განხორციელებულიყო.

— ჩემი შვილი!.. ჩემი შვილი!.. — ჩურჩულებდა იგი უსაზღვრო სინაზით თითქოს ვიღაცას მოუწოდებდა იღუმალ ბურუსიდან და მთელი სულით შორეულად ეალერსებოდა ჯერ კიდევ უხილავს არსებას.

როგორი სულის კანკალით მოელოდა ანდრო მის დაბადებას, როგორი გრძნობით!.. და, როდესაც თავწაკრულმა ბებია-ქალმა მას ახლად დაბადებული, თეთრ შესახვევებში შებუნდილი ბალლი მოუყვანა ჯერ კიდევ წითელი და საშინელ თვალებ დახუჭული, რომელიც მაიმუნის ლეკვს უფრო მოაგავდა, ვიდრე ადამიანს, მან პირი შეიბრუნა და კედელზე მიყრდნობილმა, აცახცახებულმა ქვითინი დაიწყო.

ამ დღიდან ჩაისახა ანდროში მისდამი საშინელი ზიზღი და აუღელვებლივ ვერ იგონებდა რომ მას, მშვენიერების გატაცებულ მოტრფიალეს, ასეთი მახინჯი, ბუნებისაგან დასჯილი შვილი ჰყავდა.

და ანდროს, თავიდან რომ მოეცილებინა იგი, რომელიც მას მხოლოდ ოცნებათა სასტიკ დამსხვრევას აგონებდა, მაშინვე ძიძას გააბარა; არ იგონებდა მას, მაგრამ იგი აბეზრადა, განუყრელად ეტმანებოდა მის მეხსიერებას თავისი ბაყაყის ტანივით საზიზღარი მოგონებით და ჰგრძნობდა ანდრო, იცოდა რომ ის მისი საკუთარი შვილი იყო, მის სახელს ატარებდა თავის სიმახინჯეში და არ ჰშორდებოდა ამ საშინელებაზე ფიქრი მის გონებას, თითქოს იგი მისმა სიმახინჯემ შეიპყრო, დაიმონავა მისი ოცნებითა და ზღაპრულ ჯადოსნურობით აღსავსე გონება და მით დააბეჩავა იგი, გააღატაკა.

ანდროს გულგრილად არ შეეძლო ეფიქრა იმაზე რომ ერთ დღეს უნდა მოეყვანა იგი სახლში, როგორც თანასწორი, სრულყოფილებიანი წევრი მისი ოჯახისა, როგორც ნაწილი მისი სულისა.

და ლილის მოსიყვარულე გულმა იგრძნო ყოველივე ეს და დამნაშავესავით, თითქოს მისი ბრალი ყოფილიყოს ასეთი საშინელების ამ ოჯახში შემოჭრა, სცდილობდა დაევიწყებინა მისთვის ამ საშინელ ბავშვის არსებობა და განსაკუთრებული აღუღუნებული სინაზით ეკიდებოდა მას; და ანდროც გაიტაცა ამ გაძლიერებული ალმა, რომელიც ლილიმ აღძრა თავისში. უფრო მკვეთრად ანდროს მიმართ, შთანთქა იგი თავის ალერსში და ანდრომ მთელი თავისი სწრაფვა და სულის უბეში ნალოლიავეები ნაზი ოცნებანი ლილიში გადიტანა, იქ გადარგო და ამაში ჰპოვებდა თავდავიწყებასა და ნუგეშს.

და აი გავიდა თორმეტი წელიწადი ამ საშინელ მოლოდინში და გაწამებაში; ბარდლა უკვე თორმეტი წლის იყო, იგი გაიზარდა და აუცილებელი შეიქმნა მისი მოყვანა. იგი თორმეტი წლის იყო და ენა ჯერ კიდევ ვერ ამოედგა და მხოლოდ უშნო ზმუილი და რამდენიმე უაზრო ხმების გამოცემა იცოდა, რომელიც ტვინს

უმღვრევდა ადამიანს საშინელ სიბნელით. არავითარი ძიძა მას არ იკარებდა, არავითარი მომვლელი მას ხელს არ ჰკიდებდა მისი საშინელი არაბავშვური სისასტიკისა და გულქვაობის გამო.

როდესაც იგი თავისი თეთრ კბილებს გაბრაზებით გაახოქიალებდა და გამოაჩენდა იგი იმ წუთში მგლის ლეკვსა ჰგავდა და თავისი დიდი ორანგ-უტანგვივით წინ გაწვდილ ყბითა და საშინელ შუშის მწვანე თვალებით კიდევ უფრო საშინელი და ავაზრზენი იყო.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა სუსტი და ნაზი ლილი. მასში თითქოს გაორდა, შუა გაიყო გრძობა და პიროვნება. შიშის ხართან ერთად, რომელსაც იგი მასთან სიახლოვით განიცდიდა უყვარდა, ხანდახან ჰკოცნიდა კიდევაც, ეალერსებოდა და რალაც სილამაზესაც კი ჰხედავდა, ეძებდა მის სიმახინჯეში.

ბარდლაც, როდესაც მას დედა ალერსს დაუწყებდა, იშვიათ თმებს, რომელიც სიწითლის გამო თავზე ძლივს ემჩნეოდა ჯაგარივით საშინლად წამოჰქოჩრავდა და პირუტყვული ნაზი ღმუილით, კბილების ხრქიალით კალთაში ლეკვივით ჩაუგორდებოდა და ლოყაზე ხელს უსვამდა, ეფერებოდა დედას.

ასეთი იყო ლილის მდგომარეობა და იგი ხშირად შუალამით ძიღვამკრთალი ელექტრონს აანთებდა და გულს სევდა შემოწოლილი სტიროდა ჩუმად, გულის დამთუთქავად, ფრთხილად, რომ მის ქვითინს ანდრო არ გამოეღვიძებინა. სტიროდა იგი თავისი უმწეო მდგომარეობაზე, სტიროდა დაკარგულ ბედნიერებაზე... და ამ ქვითინზე ხანდახან გამოღვიძებული ანდრო წამოიწეოდა ლოგინში და ყურს უგდებდა გარინდებული, შემდეგ მიუახლოვდებოდა, ლილის მშვენიერ თავს გულში მიიკრავდა და ისიც აქვითინდებოდა საშინელ, მამაკაცურ ძლიერ ქვითინით და ისმენდნენ ამ ქვითინს მძიმე ფარდები, რომლებიც ფანჯრებზე იყო ჩამოფენილი, ისმენდა სარკე, ისმენდა მთელი ოთახი. ბარდლას კი ეძინა ჯანსალი ძილით და მისი ხვრინვა არღვევდა ამ ქვითინის მყუდროებას.

უწინ, როდესაც ლილი სასოწარკვეთილებას მიეცემოდა იგი მაშინვე მუსიკას დაეწაფებოდა და უკრავდა გატაცებით როიალს, აკვნესებდა მას და მით მისი ტანჯვები მსუბუქდებოდნენ, დნებოდნენ და სადღაც იფანტებოდნენ და დღეს მას ესეც არ შეეძლო, რადგან საკმარისი იყო ლილის ერთი უბრალო აკკორდი აედო. ზედ, რომ ბარდლა. საშინლად დაიმანქებოდა, ქვედა უშველებელ ყბას წინ წამოსწევდა და ერთ ადგილას აწრიალდებოდა. ყურებს თითით დაიცავდა, მწვანე, ისედაც საშინელ თვალებს სახარლად დაჰკაკლავდა და ავი ქოთაკივით დაიწყებდა ღრინვასა და ღმუილს.

ბარდლას მოსვლისთანავე ჩამოიხურა ანდროს სახლიც, თითქოს იგი საშინელების ქკუა-ამღვრეულობას მოეცვა და მეგობრები და სტუმრები ისე გაშლით

ალარ მოდიოდნენ, როგორც უწინ და თუ ვინმე მოვიდოდა სცდილობდა რაც შეიძლება მალე წასულიყო, რადგან სულში საშინელი აცრუება და სიცივე სადგურდებოდა.

ამიერიდან ყველა უფროთხოდა მასთან სტუმრობას.

მთელ ქალაქში გავარდა ხმა, რომ ანდროს სახლში უბსკრულიანი, გადმოკუსული თვალები და საშინელი ღმუილი მეფობს, რომელიც სისხლს ჰყინავს და გონებას ახშობს.

— საკმარისია მისი შეხედვა, რომ გულში გზა-აუხვეველი და უმწეო სასაწარკვეთილება იგრძნო!..—ამბობდნენ ისინი...

— მისი ღმუილი ტვინს უმღვრევს ადამიანს, მის გაგონებაზე მზად ხარ გაექანო და კედელს შეასხა ტვინი ისე აუტანელია მისი ზმუილი!..—ამბობდნენ...

— მისი შეხებით, თითქოს საგანი შინაარსსა ჰკარგავს და რაღაც სასაცილო, გამოფიტული რჩება, თითქოს ტერმიტებმა დახრილეს იგი და საკმარისია უბრალო ხელის შეხება, რომ პაპიროსის ფერფლივით დაიშალოს!..—ამბობდნენ...

და ეს ხმები დაძრწოდნენ ოჯახიდან ოჯახში, იკრებოდნენ ღამით ფანჯრების გამოხურულ დარბაზებში, მიძვრებოდნენ კარების გასაღებ ხვრელში და იკლანჯებოდნენ, იგრინებოდნენ ისე, როგორც გვალვიან შუადღით ლოდ ქვეშ შეფორთხებული მორიელი, რომელიც ვისიმე მოშხამვის განუსაზღვრელ ჟინით იკრუნჩხება ხოლმე.

ასეთი იყო ბარდლა და, თითქოს ცეცხლიც, რომელიც გულუხვ მასპინძლის ბუხარში მუდამ სულის გამახალისებლად გუგუნებდა, არ ენთებოდა ისე, როგორც უწინ, მისი ალი არ ეხვეოდა ისე ნაზად, ცეცხლეულ ალერსით შეშის ნამორებს, როგორც უწინ. თითქოს ბარდლამ დალია, შესვა იგი, დათვრა მისით და მით ბუხარს სიმხიარულე და მხურვალეა წაართვა. თითქოს მან გაჰყინა იგი, გააცივა თავისი საშინელი უაზრობით მოციალე მწვანე თვალებით. შეშები, თითქოს სველი იყვნენ, არ ეკიდებოდნენ და შიშინით ბოლავდნენ ბუხარში, ბუხრიდან ოთახში და ყველას თვალებსა სთხრიდა აუტანელი ბოლი.

ერთ ნოემბრის ნაცრის-ფერ დღეს მოიყვანა იგი ძიძამ... არა კი არ მოუყვანიათ, ჩამოვადოდა იგი საშინელი ღმუილით, თითქოს ალებასტრით შელესილი ქერი ჩამოიქცა თავისი დაკბილული ტკეჩებითა და გრძელ ვიწრო ყავრებით და ანდროს სახლში დაიწყო ფორთხვა და ღმუილი. იგი მეხივით დაასკდა ანდროს სულს და გაჰყინა, გათოშა მისი სული, გააცივა ანდროს ბუხარი.

— უკაცრავად ბატონო, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია შაგის მოვლა და ღმერთმა შეძლება მოგცესთ, რომ შეინახოთ!..—სთქვა მეგრულ კილოთი მომყვანმა ახლვანმა კაცმა ყაბალახ წაკრულმა ჩოხაში და ნაღვლიანი თვალები მიაპყრო ბარდლას.

ბარდლა მოყვანისთანავე გაბობლდა იატაკზე, მიცოცდა საშინელი ბლუილით ბუხართან, ჩაცუცქდა იქვე გათოშილ ლეკვივით და ანდრომ მაშინვე იგრძნო, რომ ბუხარი ჰქრებოდა, ცივდებოდა... მაშინვე შეუკეთა შეშა, მაგრამ ცეცხლს მაინც არ ჰქონდა სიხალისე, თუმცა იგი ისევ ანთო და აპარპალდა.

ოთახში საშინელი საცივი დასადგურდა, თითქოს ქუჩის ყინვაში და თოვლში ნაგორავი, გაყინული გათოშილი ხალხი შემოცვივდა ოთახში, ფართედ გააღეს კარები, შემოცვივდნენ და თან შემოიტანეს ზამთრის სიცივე და სინესტე თავისი დაკონკილი მაზარებითა და ქალამნებით.

ბარდლა კი უჯდა თვალზე გაბრწყინებული ბუხარს შესცქეროდა ცეცხლს ისე, თითქოს იგი თავისი უბსკრულივით უძირო ფვალებითა და უაზრობით სვამდა მის სიხალისეს.

სახლში ყველა სცდილობდა ელაპარაკა და ეარა ისე, როგორც უწინ, მაგრამ ეს ასე არ ხდებოდა და თითქოს მათი განზრახ გაუფრთხილებელი ლაპარაკი და სიარული უფრო ყრუდ გაისმოდა, ისე, როგორც მეორე ოთახში მოარულ ადამიანისა.

იცინოდნენ განგებ ხმა მალლა, მაგრამ ხმა მაინც მქრქალდებოდა, ჰქნებოდა და პაპიროსის ფერფლივით სცვივოდა უჩუმრად იატაკზე.

მოვიდა იგი საშინელი, გულის შემზარავი და ჩამოსახლდა ანდროს სახლში თავისი მწვანე, სულის დამსერავი გველური გვალვებით.

მოვიდა იგი, ჩამოქცეულ მღვიმის თალივით ჩამოწვა და საშინელი აცრუება და სასოების წარმკვეთი ღმუილი გამეფდა ანდროს ოჯახში.

ყველაფერი გაიყინა, გარინდა და ცივი სინესტე გაუჯდა ყოველივეს.

როიალმა ხმა დაჰკარგა და ისე ნაზად არ წკრიალებდა ლილის თითებ ქვეშ, როგორც უწინ, თითქოს ლილის თითებმაც დაჰკარგეს ის მკვირცხლი მოქნილობა და ისე მარდად და ცოცხლად არ თამაშობდნენ კლავიშებზე, თბთქოს თვიფ ლილის ხმამაც დაჰკარგა ის ნაზი, წკრიალა მუსიკალობა, რისთვისაც ასე ძლიერ უყვარდა ანდროს.

ყველაფერმა გული ჩამოიხურა, ფანჯრების მძიმე ფარდები სულს ამძიმებდნენ, მაგრამ ყველაზე საშინელი და უშნო იყო მძიმე კომოდი და რბილი სავარძლები.

როდესაც საღამოს ბინდ-ბუნდი ტკბილ რძეს მოასხურებდა ჰაერში და სარკე გაიცრიცებოდა და უსინათლოს თვალის გუგას დაემსგავსებოდა, — იგი იღუმალ ბაასს დაიწყებდა სხვა ჩამოყურსულ ოთახების ავეჯთან. ავეჯის სულები მქრქალი რძის ორთქლივით აბურუსდებოდნენ და რბილ სავარძლებში გადასვენებულნი ყურს უგდებდნენ ნაღვლიანად სარკეს, რომელიც იღუმალი ნაზი ფუსფუსით ჩურჩულობდა თუ რამდენი სახე აღბეჭდილა მასში და გულ-ამოსკენილი უნმო ქვითინით

მოუყვებოდა მძიმე როიალსა და კომოდს, თუ როგორ წაჰშალა მასში ბარდლას საშინელ სახის აღბეჭდვამ ის, სხვა ძვირფასი სახეები, რომელთა ანარეკლს ის სასოებით ინახავდა თავის ძველებურ ჩარჩოში. ოთახში რაღაც ბნელი, რაღაც იდუმალი ამოიკენესებდა, მას ქვრივის სამოსელში შეხვეული როიალის სული აპყვებოდა ნაზი ქვითინით, ამ ამ ქვითინს კომოდის სულის ვაჟაკური გმინვა და ისმენდნენ ამ ქვითინს ფარდის მძიმე თოკის ასაკრავზე ჩამომღრჩვალი თანჯრის სულელები და მიცვალებულთა სუდარაში შეხვეული რბილი სავარძლები.

და ერთ ასეთ ღამის შემდეგ ანდრომ შენიშნა, რომ მისი ძველებური სარკე, რომელშიც ლილის ისე უყვარდა მასთან ერთად ჩახედვა ზედ შუა გულზე გაბზარულიყო.

ასეთი იყო ბარდლა.

ასეთი იყო მისი თვალები.

ასეთი იყო მისი ღმუილი.

ამ დღიდან შეჩერდა ანდროს შემოქმედება, ამ დღიდან გაცვიდა მისი გული და არც არაფერი დაუწერია ანთებული, ცეცხლით სავსე. მისი კალმიდან ყველაფერი ნაძალადევი და პირობითი გამოდიოდა. თითქოს ის ნაპერწკალი, რომელიც მასში ისე მკაფიოდ ჰღვივოდა, ბარდლას მოსვლისთანავე ჩაჰჭრა.

ამიტომ იყო, რომ მას სრულებით არ უკვირდა, რომ მან ძუძუ მოჰკენიდა თავის ძიძას ურძეობის გამო.

ღილით იგი ყველაზე ადრე დგებოდა და ერთ წუთს არ სცილდებოდა მოახლეს, დასდევდა, თავს აბეზრებდა, ფეხებში ედებოდა, რომ ეცქირნა, თუ როგორ დაასხამდა იგი ნავთს ქურაში ნახშირზე და როგორ აპარპალდებოდა ცეცხლი.

იგი ჩაცუკლებოდა ცეცხლის პირას და უცქერდა დიდხანს გატაცებით თავისი იდიოტური თვალებით და მთლად მიაფიწყებოდა ირგვლივ ყოველივე. იგი ხან გაუღიმებდა ფართო ღიმილით ყურებამდე ახეულ ყბებით, ხან ხელს მოჰკიდებდა გაღვივებულ ნაღვერდალს, მაგრამ მაშინვე მოაშორებდა რა წუთშიც აეწვებოდა და იყო ასე მანამ, სანამ თავმოებნებებული მოახლე არ გამოავდებდა სამზარეულოდან.

აუწერელი იყო მისი სიხარული, როდესაც მოჯამაგირემ ვირთავას ნავთი გადაასხა და ცეცხლმოდებული პირუტყვი განწირული წრიპინით ხან აქეთ ლობეს მიასქდებოდა და ხან სახლის კედელს.

ერთ დღეს, როდესაც ლილი ანდროს გულის პერანგზე საყელოს უკრავდა, იქვე ჩაცუკებული ბარდლა რაღაც საოცარ აღტაცებით წამოიჭრა და გახარებული ღმუილით ხტუნვა დაიწყო ოთახში. ანდრო და ლილი გაკვირვებულნი უცქე-

როდნენ, მაგრამ ვერაფერი გაიგეს რა ახარებდა ასე ბარდლას და ყურადღებაც არ მიუქცევიათ მისი ასეთ საოცარ საქციელისათვის, მაგრამ ამ დღიდან დაიწყეს ლილიმ და მოახლემ პოვნა ანდროს საყვლოებზე ჩამომღრჩვალ კატებისა, რასაც აუცილებლად ბარდლა სჩადიოდა, მაგრამ დატანჯული, გაწამებული ლილი უმაღლავდა ანდროს ყოველივეს, არ ეუბნებოდა, მაგრამ მან ბოლოს მაინც გაიგო ყოველივე, გაიგო და საშინელ რისხვით აეგსო და გაცეცხლებული მივარდა ბარდლას ყელში და აუცილებლად დააღრჩობდა ლილის რომ არ ეშველა.

პირუტყვებსაც ეშინოდათ მისი, ოხინი თითქოს ას ნაბიჯზე იგრძნობდნენ მის სიახლოვეს და კუდამოძუებულნი, საცოდავი შიშით გარბოდნენ.

ვანსაკუთრებით საცოდავნი იყვნენ ძაღლები. როდესაც ბარდლა საცოდავ მსხვერპლს მიაჩერდებოდა საზარელ სიჯიუტით, იგი თითქოს მისი მტკიცე ნებისყოფით დამონებული, მისი შეხედვით განგმირული, საცოდავ, გულის დამლევ წკმუტუნით კუდამოძუებული გაეგებოდა ფეხქვეშ თვალების მხდალად ხუკვითა და თავის წინ გაწვდით, თითქოს თავში დარტყმას მოეღისო, და აი აქ დაიწყებდა თავის საშინელსა და გაუგონარს წამებას ბარდლა.

მიუხედავად ამისა მას გატაცებით უყვარდა დედა. როდესაც იგი საღმე წავიდოდა ბარდლა მთელი დღე ფეხაკრეფით, თითქოს ვიღაცას ეპარებო ისე დადიოდა ფრთხილად და ეძებდა, ეძებდა და თან ღმუოდა გულის მომკვლელად.

და სუსტმა, ნაზმა ლილიმ ვერ შესძლო ეზიდა ასეთი მძიმე ჯვარი თავისი სუსტი ქალური მხრებით; იგი მეტად სუსტი გამოდგა ამისათვის და საშინელ გაბრძოლებით წაიქცა გოლგოთას გზაზე. მას მეტი არ შეეძლო და ავადმყოფი, მთლად მისუსტებული ლოგინად ჩავარდა...

II

შუა ღამე იყო.

ცა ვარსკვლავებით ქართულ კაბასავით მორთულიყო.

საავადმყოფოს ფანჯრები ოდნავ იბუჯტებოდნენ და შიგ გულის შემხუთავი სუნნი იდგა ავადმყოფებისა და მოწამლულ ჰაერისა. ყველგან ოხვრა და გმინვა გაჟეფებულიყო. თავისი ბასრი ბებუთივით დამსერავი სხეულით და წკრიალა სიჩუმე მინაბული გაფაციცებით უდარაჯებდა ბნელი, დიდრონი თვალებით, რომ ოდნავი ხმაურობა მოსიყვარულე დედასავით აეტაცნა ხელში და გარკვევითა და წკრიალით გადეთამაშებინა გრძელ მწუხარე დერეფნიდან დერეფნებში გამოძახილად.

— წყალი!.. წყალი!..

— დედა!.. დედა!..

— ვიწვი!.. ვიწვი!..

გაისმოდა ირგვლივ შეწუხებულ ავადმყოფთა ოხვრა და ყველგან შემალონებელი იღუმალობა იყო დასადგურებული და სიკვდილის ცივი ლანდი იღუმალ ფეხაკრეფით, მოსიყვარულე სათნობის დასავით დადიოდა საწოლიდან საწოლთან, ავადმყოფიდან ავადმყოფთან, ზოგთან დაიხრებოდა ყურს მიუგდებდა და შემდეგ ისევ უჩუმრად, უსაზღვროდ მწუხარე, ნაღვლით აღსავსე, საავადმყოფოს სახაზინო ბეჭედ დაკრულ თეთრ ზეწარში, შეფუთნილი, რომელზედაც „ქ. თ. შიხ. ს.“ ეწერა, მეორე საწოლთან გაუჩინარდებოდა. იქ ვილაც მომაკვდავს მიუახლოვდა, რომელიც გასაოცარი ყიყინივით ხმით ჰგმინავდა, ყური დაუგდო, ცივი ხელები შუბლზე დაადო, მერე დაღლილივით ღრმად ამოიოხრა და უსაზღვრო სევდით მოქანცულ თვალებით საათს მიაჩერდა და ყოველივე ეს ისე საშინელი და დამაფიქრებელი იყო, როგორც სიკვდილის მოლოდინი.

ანდრო კი იქვე თავითი უჯდა თავის ძვირფასს და სასოწარკვეთილ გაწამებით დასცქეროდა.

ლილი!.. ო, როგორ უყვარდა მას ლილი!.. ნუ თუ ლილის საათები უკვე დათვლილია?.. ვინ დასთვალა მერე მისი საათები, ვინ?.. რომელ თითებზე გადიოდა ეს ძვირფასი და უკანასკნელი საათები ლილის სიცოცხლისა?!

გაივლიან ეს საათები და ჩაქრება ლილიც!..

მერე განა არ შეიძლება ეს საათები რომ შეაჩერონ!..

— შეაჩერეთ საათი!.. შეაჩერეთ!..— დაიკვილა მის გვერდით ვილაცამ საშინელ განწირულებით. ანდრო ფეხზე წამოიჭრა; მერე დამშვიდებულმა, რომ ეს კივილი მხოლოდ მოლანდებდა იყო ისევ ჩაჯდა.

ის ცივი ლანდი კი თავისი მოქანცული თვალებით ისევ საათს მისჩერებოდა, ხელში ავადმყოფის მახა ეჭირა და თითქოს რაღაცას სთვლიდა საშინელ ჩურჩულით.

— არა, მისი ღლეები ჯერ კიდევ გაგრძელდება!..— გაიფიქრა ანდრომ იმ განწირული ხმის საპასუხოდ, — ჯერ კიდევ ბევრი მოქმუხენილი ღამეები უნდა გათენდეს მისთვის. ლილი ადგება უეჭველად, ადგება და იცხოვრებენ ისევ ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულნი. მაშ ისე როგორ იქნება!?. შეუძლებელია, ყოვლად შეუძლებელი!..— შეუტია მან ფიქრებით იმ განწირულ ხმას, რომელიც ისევ ჰკიოდა, რომ საათები გაეჩერებინათ და ანდრო გამოერკვა.

მერე ლილის ალერსიანი თვალებით მიაჩერდა და ლოგინთან კისერ გაწვდით დაიხარა.

— არა, ჩემო ძვირფასო, ჩემო სასოებავ!.. შენ იცოცხლებ, იცოცხლებ!.. თორემ რა მეშველება უშენოდ!..— წაიჩურჩულა მან უსაზღვრო სინახით, თითქოს

სიტყვების მაგივრად სულით ლაპარაკობდა და გრძნობით მილულული სულელურ თვალებით ძვირფას ავადმყოფს დააჩერდა, როგორც ეს გრძნობა მორეულმა შეყვარებულმა იცის ხოლმე სატრფოს კალთაში გაყუჩებულმა.

ეხლა სძინავს მას, სძინავს!..

მთელი სამი დღის გაწამების შემდეგ ძლივს ჩაეძინა. იგი მორჩება აუცილებლად, მორჩება!.. მაშ როგორ იქნება!?, ო, რა ადვილია სიკვდილის ხსენება და რა ძნელი მისი სიახლოვე!..

— ოჰ!.. ოჰ!..— ამოიოხრა ქალმა ძილში და საბნიდან ხელი ზევით ამოაგდრა და ლოგინზე მოწყვეტით გადმოჰკიდა.

ანდრომ ხელი აღულუნებულ სინაზით გულზე წყნარად დაუსვენა.

— ო, რა ნაზი ხელებია, ძარღვები ლურჯად მოინაკვეთებიან მის სიფრიფანა კან ქვეშ!..— გაიფიქრა მან, თითქოს ეხლა დაინახა პირველად ეს ხელები და ფრთხილად დაეკონა ზედ, რომელიც მარმარილოს უფრო მოაგავდა, ვიდრე ადამიანის ხელს, მერე მცირე ხანს დააჩერდა და ნაზი გაწამებული სულთქმით ყურს უგდებდა ძვირფას ავადმყოფის მდგომარეობას და თან ჰფიქრობდა წარსულზე, იმ ტკბილ წარსულზე, რომელიც საშინელ აწმყოთი ისპობოდა, ნადგურდებოდა.

მან წუთით წარმოიდგინა, თუ როგორ მიასვენებს ამ ძვირფას ადამიანს სასაფლაომდის, თუ როგორ მიიტანს თავისი საკუთარი ხელით ამ ძვირფას ხელებს, ამ ძვირფას სხეულს თეთრ ყუთით საფლავის შავად დაღებულ გაუმძღარ ხახასთან და როგორ შეუბრალებლად დააყრიან მიწას იმ ადამიანს, რომელსაც იგი მხოლოდ ნაზი ოცნებით, ალერსითა და მზის ცხოველმყოფელ ნაქარგ ოქროს სხივებით ასაზრდოვებდა.

მაგრამ ყველაზე საშინელი და სასოების წარმკვეთი ის იყო, რომ ლილი თვითონვე ჰგრძნობდა სიკვდილის სიახლოვეს და, როდესაც ანდრო ნუგეშსა სცემდა და სიცოცხლეში დააიმედებდა იგი ისე საცოდავად დაიპრანქებოდა გამხდარ ტუჩებით, რომ ანდროს გული მოუკვდებოდა, სული დაეღეოდა და სიტყვას ვერ ჰპოულობდა სალაპარაკოდ, რადგან ყველა სიტყვები, რომელიც ანდრომ იცოდა წარმოთქმისთანავე შინაარსს ჰკარგავდნენ.

ანდრო ჰგრძნობდა, რომ აქ, ამ საშინელებაში სიტყვები და მსჯელობა ზედმეტი იყო და, თითქოს ლილისთვისაც ეხლა ადამიანის სიტყვები უაზრონი და უშინაარსონი იყვნენ. აქ ყველაფერი იმსხვრეოდა და ირღვეოდა სიკვდილის შეუბრალებელ ძელიან ხელებით და ყინვის ლოლუებივით ცივი თითებით. რომ აქ ოცნება, აზრი და სხვა მოსატანი არ იყო და აი ამ ზედმეტობის შეგნება იყო საშინელი და ამაზრზენი. აქ იყო თითქოს მოთავსებული მთელი სიცოცხლის საშინელი ლოდიკური დასკვნა და წერტილი დასმული და სხვა არაფერი... ამ წერტილს იქით არაფერი... თავდებოდა ყოველივე.

გაიბზარა ძვირფასი თასი და ამ გაბზარულ თასიდან იღვრებოდა ძვირფასი სურნელოვანი, ლალის ფერი ღვინო, და აი საცაა იგი მთლად დაიცილება და შერჩება ანდროს გაბზარული თასი და დაღვწილი ოცნებანი...

ლილის გამოვლენა, შეჭხედა ანდროს და მომაკვდავის უმწეობით საცოდავად გაუღიმა გამხდარი ბაგეებით, მერე ელექტრონის შუქს მიაჩერდა თავისი ლამაზი, ნამიან დიდრონ თვალეებით და ისე იყო გაყუჩებული, სევდიანი. მისჩერებოდა იგი ამ შუქს ნაღვლიან მიღამებულ თვალეებით, რომლებშიც ცრემლები თანდათან გროვდებოდნენ, იზრდებოდნენ და ელექტრონის შუქზე ტყუბ მარგალიტივით ციალობდნენ, მერე იქიდან დაგორდნენ, გაცრეცილ ლოყაზე ჩამოცურდნენ და ძვირფას ქვებივით დაცვივდნენ ბალიშზე, რომელმაც ხარბად შეიშრო ისინი.

ანდრომ თვალეები ვერ გაუმაგრა ლილის ცრემლებს და ზევით აიხედა. მის გულში თითქოს რაღაც საშინელი მოიმუშტა და სულთქმა შეკრული ცრემლით სავსე თვალეებით, ტუჩმიკვნიტილი იჯდა მუნჯივით.

ლილიმ ელექტრონს თვალეები მოაშორა და ანდროს მიაჩერდა, ანდრომ იგრძნო მისი თვალეები, მეტი ვეღარ მოითმინა და ცრემლები რომ დაემალა მის ნასიციხარ ტუჩებს დაეკონა და მისმა ტუჩებმა ოდნავ იგრძნეს ლილის ავადმყოფი ტუჩების სუსტი პასუხი, მერე მოსცილდა და ისე ჩააცივდა მუდარითა და მოსიყვარულე თვალეებით. ლილიმ უცქირა ანდროს გულდაწყვეტილი ნაღვლიანი თვალეებით, უცქირა და მერე ღრმად ამოიოხრა.

— მიშველე ანდრო, შენ გენაცვალე, მიშველე!.. — წამოიძახა უსაზღვრო გრძნობით, მისუსტებული ხმით სასოების დამკარგავად და ანდროს, თითქოს მძიმე ურო დაარტყესო თავში, ისე გარინდდა; იგი ერთი პირობა უმიზნოდ, გველ-ნაკბენივით წამოიჭრა, ერთ ადგილას აფუსფუსდა და ისევ ჩაჯდა; ლილი კი ისევ ვანაგრძობდა გულის მომკლავად: — ეგ არის შენი სიყვარული, გატაცებობ რომ მეფიცებოდი?.. მიშველე ანდრო, მიშველე!.. ზომ ხედავ ვკედები!.. — შეეხვეწე ყველას, დაუჩოქე და შეევედრე ყველას, გამვლელ-გამომვლელთ და მაპატიებენ, მომიტევენენ სიცოცხლეს. ყველამ რომ ერთად დაიჩოქოს და გულის სიღრმიდან ამოვარდნილი მუდარით შეევედრონ უფალს მოვრჩები, ავდგები და ვიცოცხლებ შენთან ჩემო ანდრო, შენთან, სულ თვალეებში გიცქერ, ფეხ-ქვეშ გაგეშლები!.. — ევედრებოდა იგი სასოწარკვეთილი, ბოღმა მოწოლილი და გამხდარი ნაზი ხელები კანკალით ანდროსაკენ გაიწოდა გულის დამღვე უმწეობით.

ანდრო საშინელმა უმწეობამ და სიბრალულმა შეიპყრო, სცადა თავის შემაგრება, მაგრამ მეტი ვერ შესძლო და ლილის სასთუმალში აქვითინებული დაემხო და სტიროდა უხერხულად, უშნოდ, მთელი ტანის ცახცახით ისე, როგორც ეს ტირილს მიუჩვეველმა მამაკაცებმა იციან ხოლმე.

იქ მომაკვდავმა უკანასკნელად ამოიგმინა და მიყუჩდა ლოგინი. მის გვერდით მჯდომი ვილაკის ლანდი საავადმყოფოს ზეწარში შეხვეული, რომელზედაც სახაზინო ბეჭედი ეკრა ასოებით: „ქ. თ. მიხ. ს.“ იღუმალად წამოდგა, თითქოს დაღლილობით ღრმად ამოიოხრა და მოქანცულ, ბნელ ჯურღმულებიან შემოხედვით, მიაველ-მოაველო თვალი ნალვლიანად საავადმყოფოს და რიგზე გამწკრივებულ წამების საწოლებს.

ანდრო კი ჰქვითინებდა, ჰქვითინებდა და გულში საშინელი აცრუება და ბლაგვი სიცარიელე უსადგურდებოდა ყრუ სასოწარკვეთილებასთან ერთად.

— ეჰ, რა საცოდავნი არან შენი სონეტები ეხლა, რომელთაც მე მიძღვნიდი!.. — ამოიოხრა ლილიმ და კისერ მოწყვეტით ჩაჰკიდა თავი ბალიშზე და იგი ამ წუთში სასიკვდილოდ დაჭრილ გედს მოაგავდა, რომელიც თავის უკანასკნელ გედის სიმღერასა ჰმღერის ლამაზ სიკვდილისათვის.

— ვის ჩაუდებ მერე კალთაში თავს?.. ვინ დაიწყებს შენ ხუჭუქ-თმებში თითების რევას, მე რომ არ გეყოლები?.. ხომ გახსოვს ანდრო ჩემ დაულოცავად რომ არ დაგეძინებოდა?.. შეეხვეწე, დაუხოქე ყველას და ყველამ ერთად რომ შეევედროთ მაპატიებს ღმერთი სიცოცხლეს, მომიტევენს!.. მე კი ისე მინდა სიცოცხლე შენთან, ძლიერ მინდა!.. მე შევეხვეწე, მაგრამ მარტო ჩემი ვედრება არა კმარა, ყველამ უნდა შეეხვეწოთ!.. ოო, რა სწრაფად ჩაიარა ჩემმა სიცოცხლემ!.. ნუ თუ იმიტომ ვიცოცხლე, რომ ასე მალე მომსწრაფებოდა დღე?.. მე მუდამ მეშინოდა ჩვენი სიყვარულის, მუდამ მეპარებოდა ექვი, რომ ასეთ სიყვარულს მიწაზე ადგილი არ უნდა ჰქონებოდა და აი მაშორებს ღმერთი შენ თავს, მაშორებს აქაურობას მე კი ძლიერ მინდა აქ ყოფნა, ძლიერ... გახსოვს ანდრო, რა ლამაზად შემოიჭრებოდი ხოლმე პირველი მქრქალი სხივები სისხამ ალიონის მზისა ჩვენს საწოლ ოთახში?.. მე ხშირად ვიგონებ მას და გული მიკვდება, რომ ამ სხივებს ამას შემდეგ ვერასოდეს ვერ ვნახავ... ოო, ეხლა რომ მოვრჩე და ავდგე, მაშინვე გარეთ გავიჭრებოდი, დავივლიდი იმ ქუჩებს, იმ ხეივნებს, იმ სახლებს, სადაც მე გამივლია და თავყანს ვცემდი მათ, რომ მე ისინი ოდესღაც მინახავს!.. დავეშხობოდი გამვლელთა წინაშე და თავყანს ვცემდი, რომ ისინი სიცოცხლესა და მზის სხივებს დაატარებენ თავისში!.. — ლილიმ მეტი ვერ შესძლო და ქვითინი დაიწყო.

ანდრო მეტის-მეტ სასოწარკვეთილებისაგან გარინდდა და იდგა გაშტერებული, უგონოდ.

კარგა ხანს ასე იყო, მერე უეცრად, თითქოს რაღაც მოაგონდაო, გველ-ნაკბენივით ფეხზე წამოიჭრა, უშინაარსო თვალებით მიიხედ-მოიხედა, ღრმად ამოიოხრა, თითქოს რაღაცა უნდოდა ეთქვა სანუგეშოდ, მაგრამ ტუჩები აუთრთოლო-

და, მუხლებმა კანკალი დაუწყეს, გულში ბოღმა სულის შემტაცებელ ქავილით მოაწვა, მერე ძაფის გორგალივით ყელში ამოგორდა და აკანკალებულმა თავი ხელებში ჩარგო და მთელი ტანის ცახცახით ბოღმა შემოწოლილი ქვითინი დაიწყო.

ჰქვითინებდა იგი მთელი სულით, მთელი სხეულით და ტანი ისე უტოკავდა, თითქოს ეს-ეს არის ვერ აიტანს და საშინელ წივილით მოედება აქაურობას და განწირულის ვაებით, განდევნის ამ საშინელებას ამ მწუხარე შენობიდან და დერეფნიდან, და ისიც დამფრთხალი, შიშველი ძვლიანი ფეხების იატაკზე იღუმალი ხშირი წკარუნით გაიჭრება გრძელ დერეფნიდან ლაჩრულად...

ანდრომ თავი აიღო, ცრემლით დანამული თვალები ირგვლივ მოავლო და მის გონებაში ავადმყოფთა მწუხარე საწოლები აღიბეჭდა, რომელნიც მიცვალებულთა სარეკლებს უფრო ჰგავდნენ და აცახცახებულმა შემოდგომის ქარიან ღამეში ელექტრონის ძაფივით კანკალით ძლივს შელასლასდა მორიგ მოწყალების დისოთახში.

საწერ მაგიდას მიუახლოვდა და იღვა დამმარებული... ჰფიქრობდა... არა არ ჰფიქრობდა, იგი იღვა ისე, ანდრო იღვა ისე, უაზროდ თვალებ გაშტერებული; და აი მან უეცრად ისე იგრძნო თავი, თითქოს იგი შუაზე გაიპო, სიგრძეზე გაიპო დი ერთი ნახევარი მისი „მესი“ უშნო ხტუნვით ცალ ფეხზე მარჯვნივ გადადგა მეორე კი მარცხნივ... მარცხენამ ჯერ ზიზლით ვადაჰხედა მარჯვენას, მერე ცალი თვალი ეშმაკურად, გესლიან დაცინვით ოდნავ მოჰხუჭა და აბუჩად აგდებით შეეკითხა: „რა საჭიროა ეს კომედიის მტვრევა, ნუ თუ ასე ძნელია საყვარელი ადამიანის დაკარგვა?... რად არ გწინდება ეს კეკემალოლობა ჩემთან?...“ მარჯვენა კი იღვა ნაღვლიან ცალ თვალით, იღვა და დასცინოდა მარცხენა მის მარჯვენას, დასცინოდა... და ეზიზღებოდათ ამ ნახევრებს ერთი მეორე, სძაგდათ საშინელი ზიზლით.

„თუნდაც ეგრე იყო, მერე რა უჭირს, განა ბარდლა შენი სიყვარულის ნაცოფი არ არის, ბარდლა, ჩიტების საფრთხობელას რომ ჰგავს, ხე!.. ხე!.. ხე!..“ — ჩაიცინა მარცხენამ და ცალი ხელი თით-გაშვერით ზევით ასწია.

ანდრო ირყეოდა... იგი უკვე შეშლილობის ზღვარზეა... შუა გაბობილ თავის ქალაში ტვინი იმდგრეოდა...

ანდრომ ზარ-დაცემულმა თავში ხელი იტაცა და თითქოს ამ მოძრაობით ეს ორი მხარე მისი „მესი“ რომელთაც ერთი-მეორე ისე სძაგდათ ხელგაშლით ჩახუტნენ ერთმანერთს და ანდრომ იგრძნო რომ იგი უკვე მთელია, მთელი, მაგრამ სავსე წინააღმდეგობებით...

გახურებული შუბლი ფანჯარის ცივ მინას შიდად გასაგრილებლად.

იგი შეირყევა აუცილებლად, შეირყევა.

„როგორ სთქვა?...—ჩიტების საფრთხობელა!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. ჩიტების საფრთხობელა!.. ხე!.. ხე!..“

ზამთრის მოქათათებული უმთვარო ცა ვარსკვლავებით სამსახურიდან გადაყენებულ გენერლის გახუნებულ საზეიმო მუნდირივით კაშკაშობდა... ჰხე!.. ჰხე!.. ჰხე!..

ჰყინავდა!..

სიჩუმე იყო სამარისებური, იღუმალი, მხოლოდ შორს საღლაც ქარხნის ერთფეროვანი ხმაურობა და მატარებლის ცივი კივილი არღვევდა ამ გადაყენებულ ბებერ გენერლის მყუდროებას...

ოთახში კი წამლების სუნი იღვა და ზარდამცემ ბარდლას მოგონება კი მას მეტად საეჭვო და საშიშო მხიარულებას ჰგვრიდა.

უეცრად ანდრომ გულში რაღაც სინაზე იგრძნო და შიგ რაღაც ბალღამივით ტკბილი და გამაღიზიანებელი დაუჯუბდა. მუხლებში მთლად მოისხლიტა და მიბნედილს ისე მოსწყურდა ლოცვა, ისე მოუწდა ვედრება, როგორც შექეფიფიანებულ მორცხვ მოხელეს სიმღერა. მისთვის სულ ერთი იყო რასაც შევედრებოდა, აქლემის ყელზე ჩამოკიდებული ეფვანი იქნებოდა იგი, თუ თხის წვერები. თვალეზი კედელს მოავლო და კუთხეში ხატს მოჰკრა თვალი, მარიამს, პატარა ღვთიურ იესოთო და უეცრად ამ ხელგაშვერილმა ბავშვმა, მას რაღაცა ძალითა და სიმწვავეით ბარდლა მოავონა. ბარდლა თავისი საშინელ თვალეზითა და ზმუილით და მან შენიშნა, რომ ის პატარა ბავშვი ბარდლას ემსგავსებოდა თანდათან, მწუხარე მარიამს რომ ხელში ეჭირა; მარიამს ხელში ნაღვლიანად ეჭირა ბარდლა იდიოტური თვალეზით და შესცქეროდნენ ორივე: დედა და შვილი ანდროს, შესცქეროდნენ... და მას ისე შეზიზღდა ეს ბავშვი, ეს ხატი, რომ ანთებულს ხელები აუკანკალდა და ათრთოლებულმა საწერ მაგიდას ხელი მოუსვა, რომელშიც მარბარილოს მძიმე საშრობი მოხვდა და მის გონებაში უეცრად რაღაც აზრმა ცეცხლივით გაიღვა, თვალეზი შეშლილის უაზრობით აუეღვარდა და კბილების ხრქიალით, განრისხებულმა ხატს გამეტებით ესროლა საშრობი, რომელიც ასცდა, კედელს მოჰხვდა და შეღვსილი ალენასტრი ხმაურობით ჩამოკვივდა.

— უუ!.. უუუ!.. — აიგრუზა საზარელი ბარდლა და მწვანე ჯურღმულელებივით თვალეზით კიდევ უფრო ამწვანებული ღვთისმშობლის ხელიდან გადმოხტომას ლამობდა.

ანდრო კი იღვა გაშტერებული. ტურბებმა მანქვა დაუწყეს, ბაგის კუთხეებში, თითქოს ვიღაცა ეზიდებოდა, მერე წელ მოწყვეტილმა ვერ აიტანა და ტყავის სა-

ვარძელში მოწყვეტით დაეშვა და გულამოსკვნილი ქვითინი დაიწყო და ჰქვითი-
ნებდა იგი უსასოო, უიმედო და მთელი სხეული საშინლად უტოკავდა.

— უუუ!.. უუუ!.. — ზმუოდა ბარდლა, მაგრამ მისთვის გაჰქრა ბარდლა...

— უუუ!.. უუუ!.. — ზმუოდა იგი დაეინებით, ზმუოდა...

— აჰ!.. აჰ!.. აჰ!.. — მოესმა მას უეცრად ლილის კვნესა ამ ზმუილში გარ-
კვევით, ფეხზე წამოიჭრა და ცრემლებ შეუმშრალმა შემოლილივით ყური მიუგდო
გაფაციცებულ თვალებით გაძაბულმა და ხელებ გაშლილმა.

— ჩემო ძვირფასო!.. ჩემო ძვირფასო!.. — ჩურჩულებდა იგი და განაბული
ყურს უგდებდა, ზარ-დამცემ თვალებით გაშტერებული ლილის კვნესას...

— უუუ!.. — ზმუოდა კიდევ უფრო საშინლად და ჯიუტად ბარდლა.

— უუუ!.. — მითამაშობდნენ ეს ხმები გრძელ დერეფნიდან დერეფნებში გამო-
ძახილად.

— აჰ!.. აჰ!.. — გაისმა კიდევ კვნესა და მოწყალების დის დამაყვავებელი
ანგელოსური ლაპარაკი.

და ყოველივეს ყურს უგდებდა ის საშინელი, ნაღვლიანი ზეწარში გახვეული
ვილაკა და გაფაციცებით მოღარაჯე სისხლიან თვალებით სიჩუმე...

ანდრომ მეტი ვერ შესძლო და გარეთ გაიქრა.

ვარსკვლავები კი ისევ ქათქათობდნენ...

ღამე კი ისევ წყნარი და გაყუჩებული იყო...

— ეჰ, ვარსკვლავებო, ვარსკვლავებო, რა ტკბილი ხართ ხანდახან და რა
მწარე ახლა!..

ვარსკვლავები კი ქათქათობდნენ...

... გადაყენებულ გენერლის მუნდირი... მყუდროება... და სიჩუმე...

III

ბნელოდა და წვიმდა ისე გულმოდგინედ და ზანტად, რომ მისი ერთფერო-
ვანი ფეხშიშველა ტანტალი ქვაფენილებზე გამგლელო გულს უღონებდა.

ელექტრონები თითბრის გაფერილ ტაშტებივით, უსინათლოს თვალის ბისტე-
ვით შემალონებლად ციალებდნენ. ტრამვაის ვაგონებს უშნო ხმაურობით ხრია-
ლებდნენ და ვატმანთა ზარის ცივი წკრიალი სისხლს ჰვინავდა ძარღვებში. ავტო-
მობილები გაბუტულ ბუთხუზა ბავშვებივით ბუზღუნობდნენ და დაღლილ მღვე-
ბივით ოხრავდნენ. მეეტლეების ცივი და ლაკონიური „ხაბარდას“ ძახილი გონე-
ბას აჩლუნგებდა. განათებული ვიტრინები მძვავ ქალივით კრედიად მორთულიყვნენ
და მუშტარს სურვილს უკარგავდნენ რაიმეს ყიდვისას.

ყველაფერი დაბურუსებული იყო.

შავი ბერებივით დაყუდებული თელეთი, მახათა და ფუნეკულდორი შთანთქა სიბნელემ, მხოლოდ ციციანთ აღმართი და ნაძალადევი მოსჩანდნენ კბილ ჩაბღვნილ ბებრის ხახასავით მქრქალად თავისი ელექტრონის ვანათებით.

კრუების ხავერდოვან ყუყუნა, ნაღველივით შავი ხავერდის თვალებით დაკონკილი გოგო-ბიჭები გამვლელთ ჯიუტად ეგებებოდნენ ხელგაშვერილნი და მოწყალებას ითხოვდნენ

— Ды-у-у-шешка!.. — ჰკიოდნენ ისინი ვაბმით და პირ-უკულმა მიუძლოდნენ წინ და არ სცილდებოდნენ მოთმინებიდან გამოსულ ანდროს.

ლამე იყო თბილი და რძის ორთქლივით დაბურუსებული. იგი სულთამხუთავივით დასწოლოდა ტფილისს და ემუქრებოდა მოქალაქეთ მთლად ბოროტი და ავი, როგორც ბებერი კბილებ ჩაცვევნილი როკაპი შხამიან ყვავილებითა და დაკონკილ კრელ ტანსაცმელით აყვავებული.

კრილი წვიმა სახლის მიღებში ნაღვლიანი ლიკლიკით ნესტიანად ღიღინებდა.

უზარმაზარი შენობები დიდ პირამიდებივით ჩარახმულიყვნენ ქუჩების გასწვრივ და მალალ სარკოფაგებში გამოყვითლებულ მუმებივით მოქალაქეთ ცივი სფინქსივით დასცქეროდა ეს ავი ლამე თავისი გამოცანური შხამიანი ღიმილით.

სასტუმროების წინ განათებული განცხადებანი საოცარსა და უშნო სიტყვებს აკითხებდნენ გამვლელთ:

„ტილი-პუტურა“;

„არარატ-გაუროზანკარ“;

„ქიმერიონი“ და სხვა ასეთ რამეს, რომელნიც არავის არ აოცებდნენ თავისი საოცარი სახელებით...

ანდრო კი მიდიოდა ნაღვლიანი, მწუხარე და მისი ნაბიჯის ხმა ქვაფენილზე, თითქოს რაღაცა სიამოვნებასა ჰგვრიდა მას და კიდევ უფრო მტკიცედ ადგამდა ფეხს, რომ უფრო მეტი და მკვახე ხმა გამოეღო ფეხსაცმელის ქუსლს, რათა მისი ზაფხულის ბუზებივით აბეზარი შავი ფიქრები დაეფრთხო

მიდიოდა ანდრო და ჰფიქრობდა. ფიქრები მაინც არ ჰშორდებოდნენ მის გონებას და ეს ფიქრები შავი იყო, შავი, გამურულ საყველიერო ყენივით ამაყი და იჯდა იგრ უკულმა მის გონებაში, იჯდა საშინელი, ტვინის ამღვრევი და ჰხოკავდა ტვინის გარსს, ჰფხოკავდა ინით შეღებილ ფრჩხილებით თავის ქალას შიგნიდან და ანდრო ჰკუა-ამღვრელი, თვალეზ-დაბნელებული ვერავის ამჩნევდა ქუჩაში, ვერ ამჩნევდა ღამის ასულებს, რომელთაც მისი უკარებელი სახე ვერ აკავებდა და ხშირ სიყვარულიანობით ანაოქებულ საეკვო მუწუკიან სახეზე, რომელიც უმარულითა

და წითელ მანანით შეეთითხნათ ჩარჩული ღიმი ალბექდვოდათ და მორცხვ ქალი-
შვილივით განგებ გულუბრყვილობდნენ, საკუთარ საქონელს უქებდნენ და ცინი-
კურ თვალებით ბინძურ სასტუმროში იპატიებდნენ.

ანდრო შეჩერდა...

თუთუნს მოუკიდა, გააბოლა და ისევ გაუდგა გზას ზანტი ნაბიჯით.

უეცრად იგი შეჩერდა...

მისი ყურადღება მავრიტანულ სტილის თეატრის დიდებულმა შენობამ მიი-
პყრო და ელექტრონის სინათლეზე ძლივს გაარჩია:

დღეს: „გაიოზ და რენო“.

შეჩერდა...

იღგა უანგარიშოდ...

მის გონებაში რაღაც მოგონებანი აფერხულდნენ ნაზი ზმორებით და ჩა-
ფიქრდა.

და იღგა იგი გაშტერებული, იღგა...

მერე ირგვლივ მიმოიხედა და იქვე წვიმით დასველებულ გრძელ სკამზე ჩაი-
კეცა, რომელზედაც გარკვევით, ლამაზი ასოებით ეწერა:

„Папиросы „Солидные“ 25 шт. 2 р. 50 к.“

წვიმა კი სულის გამაწვრილებლად იყინებოდა, ელექტრონის სინათლეს
მანდილივით ჰსერავდა და სცრიდა.

უეცრად სიმფონიურმა ორკესტრმა რაღაც ნაზი და ნაღვლიანი დაუკრა და
ისე იამა ანდროს ეს ხმები, რომ თავი ჩაჰკიდა, ხელებზე ნიკაპით დაეყრდნო და
შეცურდა ანდრო ფიქრებში, მისი სული ორკესტრის ხმასე ამუსიკალდა, აკანკალ-
და და თვალის უბეებში ორი მსხვილი ცრემლი ორ ობოლ მარგალიტით გად-
მოუგორდნენ და ელექტრონის სხივებზე ციალი დაიწყეს და ამ წუთში მისი ნაზი,
აფადმყოფი და ლამაზ ნაღვლით მიბნედილი სახე ისე მომხიბლავი იყო, როგორც
ნაღვლიანი სიზმარი ახალგაზდა ქვრივისა.

ასე იყო სწორედ, ასე ემართებოდა, როდესაც მისი ლილი როიალს უკრავ-
და. იგი ცქრილით გამოუსხლტებოდა ხოლმე მკლავებში ანდროს, შავს როიალ-
თან მიცქრილდებოდა, გადასთვლიდა მოთენთილ ნაზ თითებით კბილებჩაქმულ
კლავიშებს და მერე დაიწყებდა ნაზსა და სულის ამაკვნესებელ მუსიკას...

და აი ეს დრამა, რომელიც ამაღამ იღვმება, განა ლილის სიყვარულისა და
მუსიკის ზეგავლენით არ იყო ამეტყველებული?!

უკრავდა ლილი და ეს ანგელოსი, რომელიც მრგვალ, ხავერდ-გადაკრულ
სკამზე საოცრად, ქალურად მოიხრებოდა რბილსა და ნაზ ბეჭებში მომჯადოებე-
ლი იყო, იგი ციდან ჩამოვარდნილ ანგელოსსა ჰგავდა თეთრ სამოსელში და საო-

ცარი ხდებოდა, უცნაური, თუ რამ ჩამოაგდო იგი აქ, ამ ცოდვილ ქვეყანაში, როგორ შეეღია უზენაესი.

უჯდა იგი შავს, უზარმაზარ როიალის ყუთს მთლად თეთრი, მთლად ანგელოზური თავის გატაცებით და კვდებოდა, რინდდებოდა ყოველივე, იზინდებოდა გარემო ლილის თითებ ქვეშ შავ ყუთის კვნესაზე.

და ანდროს მოელანდებოდა, თითქოს ეს ანგელოსი, რომელიც რაღაც გაუგებრობით მისი სატრფოა, მისი მეუღლე, ჩაკვდებოდა ამ შავ ყუთში, ჩაილეოდა...

და აი დაილია კიდევ იგი, დადნა...

დღეს ანდროს აღარა ჰყავს ძვირფასი, ნაზი ლილი, და მას მერე დადუმდა საუკუნოდ ის შავი ყუთიც, სადაც ლილიმ მთელი თავისი გატაცება ჩააწურა და საშინელი, გონების ამღვრევი ბარდლა დარჩა თავისი მგლური ზმუილით მის ნაცვლად.

დღეს იდიოტმა ბარდლამ შესცვალა ლილი და მისმა საშინელმა ღმუილმა დაიქირა ლილის მუსიკის ადგილი.

და ჩაჭმუოდა იგი შას სულში და ეს ღმუილი სველ, ტლახიან ტილოსავით ეხებოდა მის გულს გამყინვად და შიგ აცრუება, სასოწარკვეთილება და შავი გამურული სევდა სადგურდებოდა, რომელსაც იგი ვერ ვაჰქცეოდა, ვერ შესძლო ეს და ხშირად, ძლიერ ხშირად შუალამით ბალიშებში თავჩარგული ჰქვითინებდა იგი და ასველებდა მღულარებით ყურთბალიშს.

ქვითინის ხმაზე გამოღვიძებული ბარდლა თავს გველის წიწილივით ლოგინში წამოსწევდა და კარგა ხნის ყურის გდების შემდეგ ისიც შემფოთებული აჰყვებოდა მის ქვითინს საშინელი ნაღვლიანი სასოების წარმკვეთი ღმუილით და ჯოჯოხები სადგურდებოდა მთელს ოთახში და თითქოს კედლებზე, ლოგინში, მაგიდაზე, სკამებზე, ვაბზარულ სარკეში და ყველგან, თვით ჰანერშიაც ბინძური ცბრაფეხები, გასივებული ტარაკანები და უწმინდური, გულის-შემომყრელი მწერები დაკოცავდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ ამ ორ სასოწარკვეთილ ადამიანს: ცხვირის ნესტოში, სახეზე, ყურებში მიცოცავდნენ თავისი საზიზღარი წითელი სხეულებით დაბურღულეზულ პურის მარცვლებივით რბილი და საზიზღარი მესაფლავე მატლები.

სტიროდნენ ისინი ლილის დაკარგვას, ჰქვითინებდნენ და აი ანდრო ტვინ-ამღვრეული გაიჭრებოდა ვარეთ ჯოჯოხეთიდან თავის დასახსნელად და დაძრწოდა ქუჩებში...

ხშირად იგი ასეთ სასოწარკვეთილების დროს მიიჭრებოდა ვაბზარულ სარკესთან და სწავლობდა თავის სვედით დაღარულ სახეს, სტკებოდა ცრემლებით დართვილულ და გაყმაწვილებულ თვალებით.

უკვე რამდენიმე თვემ განვლო მას შემდეგ რაც ლილი გარდიცვალა და იგი თანდათან უფრო სასტიკად ჰგრძნობდა უმისობას.

ხანდახან, როცა იგი ოთახში იჯდა და ფიქრებს მიეცემოდა მას სრულიად ღააფიწყდებოდა ხოლმე, რომ ლილი არ არსებობდა, რომ ლილი მოკვდა და ელოდა აი ესლა შემოადებს კარებს და შემოცქრიალდება იგი თავისი წყვილი მოღულუნე მტრედებივით ლამაზ ფეხებით, მაგრამ უეცრად მოაგონდებოდა, რომ იგი მიწას მიაბარა და გულდათუთქული ამოიოხრებდა. მას მაშინ მოაგონდებოდა, რომ მისთვის მხოლოდ ბარდა, ლილის სურათი და ის შავი როიალია მოსაგონებლად დარჩენილი და სხვა არაფერი...

იგი შეშფოთებული, აელვარებულ თვალებით წამოქრებოდა კბილების ხრკილით ფეხს იატაკზე დაჰკრავდა და საშინელი, განწირული ხმით, თითქოს გაბოროტებითაც დაიკვივლებდა:

— ლილი მოკვდა!...

ოთახში სამარისებური სიჩუმე წუთით წკრიალით დაირღვეოდა და შემდეგ ისევ გამეფდებოდა და ბრაზობდა, ანდრო ამ სიჩუმეზე ანთებული.

— ლილი მოკვდა!... — დაიკვივლებდა იგი გაბოროტებული, თითქოს დასაბეჯითებლად და როდესაც წამოქოჩრილ ბარდას დაინახავდა თავისი საზარელი თვალებით, იგი საშინელ ხარხარს დაიწყებდა საშიშო მხიარულებით...

და ხარხარებდა იგი, ხარხარებდა თავის უბედურებაზე...

იგი დასცინოდა, თითქოს ნიშნს უგებდა თავის მდგომარეობას...

ასე უნდა ანდროს, ახია მასზე. მაგრამ რათ არის ახი?... რას ერჩიან ანდროს, რა უნდათ მისგან?... ახია, ახი!.. და იგი მთელი სიმწვავეით იგრძნობდა, რომ იგი არავის უყვარს ისე გატაცებით, როგორც ლილის უყვარდა და უეცრად გულაჩუყებული ჩარგავდა ხელებში თავსა და აქვითინდებოდა უხერხულად, საშინლად, როგორც ეს ტირილს მიუჩვეველმა მამაკაცებმა იციან და მის მღულარე ცრემლებს, რომელიც ადუღებულ ტყვიასავით ეღინებოდა ლოყაზე და სწვავდა მას, მხოლოდ ლილის სურათი, შავი, დაქვრივებული როიალი ისმენდა საოცარ ბინდბუნდის იდუმალობით და ბარდას ღმუილი უპასუხებდა საშინელ გამოძახილივით. და ამ წუთში იგი სასოების დამკარგავად იგრძნობდა ხოლმე თავის უთვისტომობას, უნუგეშობას და, როდესაც მისი გული ვერ აიტანდა და გასკდომას ლამობდა იგი ცახცახით, მღულარე ცრემლების წმენდით ნაცემ ძაღლივით წამოდგებოდა, ცრემლებით აყუყუნებულ თაფლისფერ თვალებს ნაღვლიან სიწყნარით დაქანცული მიმოავლებდა იჭაურობას და წელმოწყვეტილი გალასლასდებოდა გარეთ, ან თუ არა და გულის გამგმირავ კენესით დაიჩოქებდა იდიოტ ბარდას წინაშე, რომელიც ბუდლისტების საზარელ, უტვინო მელოტ კერპივით იჯდა საშინელ

თვალეების კუსვია ფეხებ მორთხმული და დაკოდილ ნადირივით ევედრებოდა, ემუ-
დარებოდა რაღაცას...

რას?... —

თვითონ არ იცოდა...

— ბარდლა!.. ჩემო ძვირფასო ბარდლა!.. მიშველე ბარდლა, მიხსენი, შენ
ხომ ჩემი შვილი ხარ, შენ ხომ ჩემი ბიჭი ხარ, მიშველე ბარდლა, მიშველე ჩემო
ბიჭუნა, მიშველე!.. — ევედრებოდა იგი ილიოტსა და მის წინ დამხობილი სტირო-
და გულ ამოსკვნით...

ბარდლა სულ მთლად აიგრუზებოდა, ქეჩოს წამოქოჩრავდა და გაბმულს დაუ-
სრულებელ ღმუილს დაიწყებდა გულსაკლავად, ზამთარში მიტოვებულ აგარაკში
მარტო დარჩენილ ქოფაკივით...

და ანდრო ცოფმორეული, შესლილი თვალეებით წამოვარდებოდა და ხელის
უმწეო სავსავით გაიჭრებოდა გარეთ...

ანდრო ფიქრებიდან გამოერკვა...

ფეხზე წამოდგა და ღრმბ ამოოხვრით შუბლზე ხელი გადისვა...

მთლად დასველებულა...

— დაესწროს თუ არა ღრამას?... ეს ხომ ის ღრამაა ლილის რომ უძღვნა!..

ლილის ნამეტანი უყვარდა ეს პიესა და მის შექმნის დროს იგი ცოცხალ მუ-
შაობას ეწეოდა...

უწერდა, გასწორებაში ეხმარებოდა...

არა, იგი არ შევა, ლილის ლანდი და მოგონება მოსვენებას ჯარ მისცემს, მას
კი მოსვენება, თავდავიწყება სწყურია.

მაშ ასე როგორ იქნება, ნუ თუ იგი სულ ასეთ ჯოჯოხეთს უნდა ატარებ-
დეს გულში?... ნუ თუ ის გაუძღვებს ამ ჯვარს და წელმოუწყვეტელი აიტანს გოლ-
გოთაზე?, არა იგი ამას ვერ შესძლებს და უნდა მოიცილოს იგი, მაგრამ თან
ენანება, თითქოს გული სწყდება, იგი შეეჩვია ამ წამებას!.. ამიტომაც არის ხოლ-
მე, რომ იგი უდიდეს სასოწარკვეთილების დროს თავის დიდ გაზარულ სარკეში
იკტირება, რომელშიაც ისე ძლიერ უყვარდა ლილის მასთან ერთად ჩახედვა, და
სწავლობს იგი ამ უსაზღვრო უნუგეშობის დროს ყოველ მოხაზულობას თავისი
წამებულ სახისას, ნაღვლიან თვალეებისას სტკება, სთვრება თავისივე წამე-
ბით!.. საოცარია!.. თითქოს მასში ორი ადამიანი ბუნაგობს, ორი საშინელი ვე-
ლური ადამიანი, ერთი წამებულია, იტანჯება და მეორე კი ათვალეირებს ამ წა-
მებას, უცქერის და სტკება მისი ტანჯვებით, ხანდახან თითქოს დასცინის კიდევ
მას და უკვირს: ნუ თუ ეს ის ანდროა, რომელიც ასე იტანჯებოდა!.. თუ ეს ასე
არის, თუ ეს წამება გულწრფელი არ არის, მაშინ რა საჭიროა ეს კომედია, ეს
მღუღარების ცრემლები?

— საღამო მშვიდობისა ანდრო!..— მოესმა მას უეცრად ვიღაცის გაკვირვებული ხმა და მოიხედა.

ვიღაც იყო...

ვერ იცნო...

— რა იყო ანდრო, ავთ ხომ არა ხარ?..— შეეკითხა ახლად მოსული და თანაგრძნობით აათვალიერა.

— არა!..— უპასუხა და ფეხზე წამოდგა, მხოლოდ ეხლა იცნო სოსო...

ეს ხომ ის სოსოა, ერთი სიტყვით სოსო!.. ჰო, მას ეხლა მოაგონდა, როგორ დაავიწყდა რომ ეს ის სოსა!.. რა ვქნა, რომელი ის სოსო!?. სოსოა და სხვა არაფერ... მორჩა და გათავდა... წერტილი...

— ამღამ შენი დრამაა, ხომ არ დაესწრები?..— შეეკითხა ისევ სოსო და განზე გამდგარმა აათვალიერა.

—?!— ანდრომ უაზროდ შეხედა და ხმა არ გასცა, რა ვქნა, მგონი ანდრო მთვრალია!.. მაგრამ რომ არსად დაუღეფია, მაშ რა უტირის სულში ასე უნუგეზოდ, თუ ისევ კომედიას ამტვრევს?..

— კიდევ არ მოიშალე იმაზე ფიქრი?.. როგორ არა გრცხვენია, ანდრო ქირში უნდა გამაგრება, თორემ ლხინში ყველა კარგი ბიჭები ვართ!..— უსაყვედურა მან და ანდროს გამომცდელი თვალებით მიაჩერდა.

— ხო, როგორ სთქვი!..— წამოიძახა, მან საოცარი ხმით შენაცხებივით, — იმაზე ფიქრი, არა?.. ო, საშინელია სოსო, საშინელი!.. მაგრამ შენ მაინც მართალი ხარ: ქირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსა, არა?.. ხა!.. ხა!.. ხა!.. ვით ქვითკირსა!.. საოცარია ღმერთმანი, ეს მეთორმეტე საუკუნის გენიოსი. მას შემდეგ რვაასი წელიწადია, წელიწადში სამას სამოცი დღე, დღეში უამრავი უბედურება და ამ რვაას წელიწადში ყოველ დღე უამრავჯერ ეუბნებიან უამრავი მანუგეშებელნი უამრავ უბედურთ ამ სიტყვებს და მაინც არ დაიღია, მაინც არ გაცვდა, არ გათავდა გენიოსური ნაპერწკლები ამ სიტყვებისა ამდენ ხმარებით. საოცარი იყო ეს მეთორმეტე საუკუნის კაცი... თუ არა, უკაცრავად, მეთორმეტე საუკუნის გენიოსი, ხა!.. ხა!.. ხა!.. შენ გესმის, რა არის სიკვდილო, რომელზედაც შენ აშკარა ლაპარაკისა გეშინია!.. ოო, საშინელებაა იგი, საშინელება!.. ეხლა რომ მითხრან!.. მოვიდნენ და მითხრან, რომ ლილი ადგაო, — შევირყევი, იმიტომ შევეჩვიე დარღს, შევეჩვიე მასზე მწუხარებას და შემიყვარდა ჩემივე მწუხარება და დარღი, ეხლა რომ ლილის საფლავთან ღვთიური მოძღვარი მივიდეს და ჰბრძანოს: „ტალითა კუმა!..“ ან და: „აღსდგეო“ — მე მას ყელში ვეცემი, შევბორკავ და ჩემი საკუთარი ხელით გავაკრავ ჯვარს. ჯერ ერთ ლურსმანს მივამტვალავ ნელა, ღინჯად და სიამოვნებით, მერე მეორეს, მესამეს და ასე!.. აი საშინელება

ჩემი მდგომარეობისა... მაგრამ, ეჰ, უკაცრავად, შენ ღრამაზე მიეჩქარები, მშვიდობით, ხე—ხე!..—ჩაიციხა მან საშინელი ხმით გულის დამწველად და მერე ცოტა ხნის შემდეგ ისევ განაგრძო: საოცარი ხალხია ეს ხალხი, საოცარი!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. საოცარია რათ არ სწყინდება ამ ხალხს სულ ერთსა და იმავეზე ლაპარაკი. აი თუნდ რუსთველის ქუჩა, რუსთველის პოეზია, რუსთველის პოეზია, რუსთველის ანდაზა, რუსთველის ხანა, რუსთველი და რუსთველი და მასთან ერთად რაღაც ჯადოსნური და უზრო სიტყვები მიკერებული. და ეს დიდებული კაცი მოკვდა განმარტოებით, ობოლი, ლეგენდარულად საღდაც მონასტერში და იგი არავის შეჰბრალებია. გადამწერნი ამხინჯებდნენ მის „ვეფხისტყაოსანს“, სამღვდელოებამ იგი ცეცხლს მისცა, ნესტან დარეჯანს დღეს ვიღაც ბურჟუას ურიგებენ საქმროდ და ასე აწამეს და დღესაც ასევე აწამებენ ამ გენიოსს. იგი მოკვდა სრულიად ობოლი, მისი სამარეც არ იციან, მისი ნამდვილი სახელიც ვერ გაიგეს, მისი ნამდვილი ნაწარმოებიც ვერ გამოახალისეს გადამწერთა ყალბ კონტრაბანდისაგან, და აი იგი დარჩა უმადური. დღესაც უმადურია თავისი უღირსი შთამომავლობისა, მიუხედავად იმისა, რომ გაიძახოდა და გაიძახის: ჭირსა შიგან გამაგრებო!.. ასეთია ცხოვრება, ასეთი!.. ცხოვრებას რომ სახე ჰქონდეს, მე დიდის სიამოვნებით შევაფურთხებდი იმ ცინიკურსა და შეუბრალებელ თვალებით მოვლვარე სახეში!..—წამოიძახა მან საოცარი ანთებით და სოსოსთვის უკვე გაუგებარი ხდებოდა თუ რაზე ცხარობდა ეს კაცი.

— რას ლაპარაკობ ანდრო, ეგრე როგორ იქნება!.. შეგნებული კაცი ხარ სხვა არა იყოს რა!..—სთქვა სოსომ და მხარში ხელი მეგობრული სითბოთი მოჰკვდა.

— ხა!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. შეგნებული ხარ, შეგნებული!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. შეგნებული ხარ და შეგნებულად გელუბება სასოება და ყოველივე, შეგნებულად!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. შენ იცი რას ნიშნავს ბედისწერის მოახლოვება?..—წამოიძახა უეცრად ანდრომ საოცარი სიღინჯითა და დამშვიდებით და თვალეში რაღაც წყნარი, ჰკვიანური ფიქრი და ყურადღება აღებეჭდა, — ოო, ნუ გინდა ამის ცოდნა, ნუ, თორემ შენი სიცოცხლე, შენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადიქცევა. ჩემი ლილი ცოცხალია სოსო, ცოცხალი და მე მოვკვდი, მე გამანადგურა სიკვდილმა და შევეცქერი ჩემს გაპარტახებულს, განიავებულს ღრამაზსა და დაუბრუნებელს წარსულს გულ-ხელ დაკრეფილი და ხანდახან, როდესაც განსაკუთრებული სიმკაცრით ვიგრძნობ ხოლმე ამ ბედნიერების დაუბრუნებლობას მაშინ მზად ვარ ვიკვილო, თმები დავიგლიჯო, მაგრამ არაფერი!.. ისევ ის ნანგრევები, ისევ ის ნაცარი და ფერფლი ღრამაზ წარსულისა. სიკვდილი მიცვალებულთათვის არ არსებობს, არამედ ცოცხალთათვის არის იგი საშინელი, ცოცხალნი არიან უბედურნი

და საცოდავი ამ ცივი ლანდის წინაშე!.. საშინელებაა სოსო, საშინელება, როდესაც იცი, გიკვდება ისეთი ადამიანი, რომელიც შენი სულის ნაწილად გადიქცა, როდესაც იცი, რომ საშინელი, ცივი ვილაცა გიდგას უკან და მისი ყინულიან სულთქმასა ჰგრძნობ და მის სახსრებში ძვლების ქახქახი გესმის იდუმალად, სულის გამარინდებელად, გინდა მოიშორო იგი, მოიცილო თავიდან მოაშორო შენ სულს, რომელსაც იგი განუყრელად ჩაჭხუტებია თვისი წებიერი, გველის ტანით ცივი სხეულით, შეაფურთხო, მაგრამ უძლური ხარ... იგი მაინც განაგრძობს თავისას, გეხვევა აშოლლანივით, გვერხება მეძავ ქალივით თავისი ცივი, წებიერი ქვემძრომივით ღიბი სხეულით და გწოვს თბილ სუნთქვას, რომ შენი სითბოთი გული გაითბოს, წვება შენს სარცეელში, რომ გაყინული, შიშველი ძვლები მოასვენებს შენი სხეულის სითბოში, ასეთია... ასეთი!.. და აქ ვილაცა დიდებული ხალხის აფორიზმები გენიოს რუსთველის იქნება ის, თუ ქუჩის მწიგნობარ ევგენი დვალისა ორივე ერთნაირად საცოდავია, ორივე ერთნაირად უსუსურნი არიან და მაშინ მზად ხარ იკვილო განწირული ხმით, მოუწოდო ვილაც მაღალს საშველად და შემდეგ იცინო სიმწრით შენს. არარაობაზე და უძლურებაზე, ან და ლანძლო, ათრიო შენი შემქმნელი!.. ასეთია!.. ასეთი!..—დაათავა მან უაზროდ, ხმის ამალღებით აღელვებულმა, უსახვრო, გულის ამათრთოლებელი ნაღვლიანი უნუგემობით და თავი ისე ჩაჰკიდა, თითქოს ფოლადის მძიმე უღელი დაადეს კისერზედაო.

კარგა ხანს იდგნენ ისინი გარინდებულნი, ჩაფიქრებულნი.

წვიმა კი ისევ იყინებოდა.

გამვლელნი ქუჩაში გაიშვიათდნენ და მხოლოდ ცრილი წვიმის ერთფეროვანი გულის გამაწვრილებელი ლიკლიკი გაისმოდა სახურავის მიღებში.

აქა-იქ თავშალ წამობუდნულ ასი წლის დედაბრებივით მოკაკეული ეტლები ხმაურობდნენ და ბაყაყებივით უშნო ავტომობილნი დაფრიალობდნენ ულაზათობულუნით.

უეცრად ანდრომ ცახცახი დაიწყო, სოსოს მკლავში ტორტმანით წაეტანა და და შეშლილი თვალებით ელექტრონის შუქით ოდნავ განათებულ სველ რკინის ფიცარს დააჩერდა ტელეფონის სადგურისას.

— ჰხედავ სოსო, ჰხედავ?.. „Стальнолитейная фабрика Коломенского и КС“!.. ჰხედავ?.. ჩემს ლილისაც ასეთი ლოდი ადევს, რომ მკვდარი მაინც არ დაიკარგოს სხვა მკვდართა შორის, თორემ ის ცივი, საშინელი ლანდი აქაც საშინელია, იგი ყველას აერთანირებს და თუ ასეთი ლოდი არ დაადე დაიკარგება მიცვალებული, იგი მკვდარსაც ჰკლავს, მკვდარსაც უკარგავს საკუთარ სახეს!.. ასეთია იგი, ასეთი!.. ან იქნებ ეს ლილის ლოდია, და ეს ქვები, რომლითაც ქვა-

ფენილები დაუგიათ, ეს ხომ მიცვალებულთა ლოდებია!.. უუუჰ!.. რამდენი ლოდებია და ყოველი ლოდი ჰლაღადებს იდუმალი ლაღადისით:

„მკითხველო, შენდობას ვითხოვ!..“

და ჩვენ იმის მაგივრად, რომ შეუენდოთ,—ფეხით ვქელავთ, ფეხით ვქელავთ ჩემს ლილისაც, ჩემს ლილისაც, გესმის, ჩემს ლილისაც, გრძელი მარმარილოსაგან დათლილი თითები, რომ ჰქონდა, და აი ეს ტუჩები ჰკოცნიდნენ იმ თითებს, იმ თვალებს და ის თვალები, ის თითები მიწაში იხრწნებიან და ეს ტუჩები ისევ ისე მოძრაობენ, ისევ ლაპარაკობენ, ისევ აქვთ უნარი კოცნისა, ისევ ისე არიან, როგორც მის სიცოცხლეში და ყოველივე ეს განა საშინელება არ არის, ჩემო სოსო, საშინელება?.. ადამიანის პირად ბედნიერებასთან ერთად ქვეყანაც რომ დაიქცეოდეს მაშინ აიტანდა იგი ამას, მაგრამ იგი ჰხედავს, როდესაც მისთვის ყველაფერი მოისპო, გარემო მაინც თავისთვის არის, წუთითაც არ შეცვლილა არაფერი, ნოტები, რომელიც ოდესღაც მიაგლო მან კარგად ყოფნის დროს, ისევ ისე გდია, ფანჯრის მინა, რომელიც მან უცაბედად გასტეხა ისევ ისე დარჩა გატეხილი, არაფერს სახე არ შეუცვლია!.. აი აქ ჰგრძნობს ადამიანი გარემოსთან საშინელ დაშორებას და სიმარტოვეს... ყველაფერი ირგვლივ თითქოს მისი იყო და ამ დროს როდესაც მისთვის მოისპო ყველაფრის იმედები, დაიღეწა, ეს გარემო მაინც თავისებურად გულგრილად იმყოფება და აღიზიანებს მას. აქ არის საშინელება სოსო, აქ!.. და როგორ გავექცე ამ საშინელებას!.. ამაღამ „გაიოზ და რენოს“ ისევვთამაშობენ, როგორც უწინ, ლილის სიცოცხლეში და ამ პიესაში წვეთის ოდენი არაფერი შეცვლილა; —აი საშინელება!.. —სთქვა ანდრომ ისე თითქოს რაღაცას ემუდარებოდა სოსოს და მისი თვალები ისე ნაღვლიანად და ლამაზად მიინისლნენ, რომ სოსოს გული აუჩჩვილდა.

ანდროს თვალები ამ დროს ჯოჯოხეთის შავს, მაგრამ ლამაზ ხილის ნაყოფსა ჰგავდა.

წვიმა კი სკრადა და სკრიდა ძირმოდგმულად და მხოლოდ მათი სილუეტები ინაკეთებოდნენ ქუჩის ოდნავ განათებულ სიბნელეში.

უეცრად ანდრომ შუბლში ხელი საშინლად გაირტყა და საზარელი წივილით გადავარდა შუა ქუჩაში, მერე აცახცახებული შეჩერდა, მცირე ხანს უაზროდ იდგა, შემდეგ შებრუნდა და გაიქცა საცოდავი, განადგურებული ადამიანის ძუნძულით დაქრილ ნადირივით.

სოსო დაედევნა, მაგრამ ანდრომ სადღაც ბნელ ქუჩაში შეუხვია და თვალთახედიდან დაეკარგა.

ანდრო კი მირბოდა, მირბოდა!..

გზაში ცეცხლის ჩამქრობ რაზმის წყლის მიღს წააკვდა და საშინელი ტკივილებით გამოერკვა.

უუჰ, რამდენი საფლავებია ირგვლივ ქვაფენილებად დაფენილი და ჰქელავენ მათ ეს ხალხი და არ იციან, რომ ეს საფლავებია მათთვის ძვირფასი ადამიანებისა, არ იციან და სთელავენ მათ ხსოვნას, მხოლოდ ანდრომ იქის ეს, ანდრომ და იგი ამიერიდან არ ივლის ქვაფენილებზე, მისთვის მეტად ძვირფასია ეს ლოდები, რომ ისინი ფეხითა ჰქელოს და მიდის იგი შუა ქუჩაში და ორივე მხარეს სიგრძეზე, მარცხნივ და მარჯვნივ საფლავის ქვები მწკრივდებიან საშინელ მოფუსკუსე იდუმალობით დაუსრულებლად და ყოველი ქვა, ყოველი ლოდი საშინელ ჭკუის გამარინდებელ მუდარით, გულის მომკვლელ ვედრებით, გუნდის ხეებისვით იდუმალი შრიალით გულწახვეულად და ბნელად ჩურჩულობენ:

„მკითხველო, შენდობას ვითხოვ!..“ —

ჩურჩულობენ ისინი ბნელი შრიალით, ჩურჩულობენ...

შენდობას ითხოვენ დევნილნი, შენდობას და შენდობის მაგივრად იშვიათი ღამის მგზავრები, როსკიპები და ქურდები, ჯიბგირები და ავარები ჰქელავენ ამ საფლავებს, სთელავენ თავისი ტლანქი ბინძური ფეხებით.

„—მკითხველო, შენდობას ვითხოვ!..“

„—მკითხველო, შენდობას ვითხოვ!..“

„—მკითხველო, შენდობას ვითხოვ!..“ —

ჰლალადებენ ეს ქვები, ჰლალადებენ და წვიმას კი გულგრილი, სულის გამყინავი ტანტალი გააქვს შიშველი პაწაწა ფეხებით ამ ქვებზე, ამ მწუხარე ლოდებზე. ანდრო კი მიდის ამ შავ ბილიკზე თავშიშველი და ყურს უგდებს ჯოჯოხეთურ ღალადისს, ყურს უგდებს...

ზალტო სისველისაგან მთლად დამძიმდა და თითქოს დასველებულ, ქეციან ძაღლის სუნიც კი ასდის, ხო-ხო, ჰო, ღმერთმანი, ხე-ხე!.. — ჩაიციანა მან უაზროდ და თან ყურს უგდებს ამ საშინელ ჯოჯოხეთურ მოწოდებას, ყურს უგდებს და ეხუმრება, სკდის თავის თავს, შეუძლია ამ ჯოჯოხეთში ხუმრობა თუ არა, ისე, როგორც დუქანში გაგზავნილმა ბავშვმა იცის ხოლმე განგებ, რაც შეიძლება ხმა-მალალი შიშის სიმღერა ღამით სოფლის ორღობებში.

უეცრად მას საიდანღაც როიალის ხმა მოესმა...

შეჩერდა...

ყური მიუგდო ამ ქვითინს და იგი უეცრად დამშვიდებული იქვე ტელეგრაფის ბოძს მიეყრდნო და ყურს უგდებს ანდრო ლილის ქვითინს და გული ესერება, ევსება რალაც თბილი და მწვავე სიტკბოთი და აი მან ვერ აიტანა ეს მწველი სითბო და ბოძზე მიყრდნობილი აქვითინდა გულამოსკვნით, აქვითინდა ისე, რომ ცრემლები თავისთავად ედინებოდნენ თვალებიდან და შეუძლებელი იყო, ძალას აღემატებოდა მათი შეჩერება.

ჰქვითინებს ანდრო და ყურს უგდებს როიალის, ლილის სულის ქვითინს.

ჰქვითინებდნენ ქვის აკლდამებივით ცივი სახლები თავისი ლამაზ ჩუქურთმებით, ჰქვითინებს ყველა... ყველა...

უეცრად პირველი საფლავის ქვამ კიდე წამოსწია და მერე ერთბაშად საშინელ ხასიან სარქველივით აიხადა და შავმა, საზარელმა, კბილებ ჩაბღვნილმა საფლავმა დააღო ბნელი ხახა, საიდანაც სულის შემხუთავი სინესტე და ხრწნილების სუნი ამოვარდა, მას მეორე ქვა აჰყვა, მეორეს მესამე და მთელი ქვაფენილები წამოიშალნენ უეცრად წამოხერხილ შემოდგომის ქარით ერთბაშად ატაცებულ ყვითელ ფოთლების ლაშქარივით... და ყოველ საფლავში მიცვალებულთა შიშველ ძვლებს შავ ჯურღმულებივით, გველის სოროებივით ჩაბნელებულ თვალებით და კბილების საზარელ ხრჭიალით, ფოსფორიულ ციალით ხელებ ამოწვდილნი ევედრებოდნენ ანდროს, ემუდარებოდნენ, შენდობას სთხოვდნენ...

საშინელებამ მოიცვა მთელი ქუჩა...

ხრწნილებისა და სინესტის მძიმე სუნი გამეფდა ყველგან.

როიალი კი ჰქვითინებდა ყრუდ, იღუმალად ჰქვითინებდა...

— ანდრო!.. ანდრო!.. — მოესმა მას უეცრად ლილის ნაღვლიანი, მომუდარე ვერცხლის ეჭვანივით წკრიალი და იგი გარინდდა, გაიყინა და აშკარად იგრძნო, რომ თმები უთეთრდებოდა.

— უუუ!.. უუუ!.. — მოესმა საშინელი ზმუილი ბარდლასი და იგი იდგა გაქვავებული, გარინდებული ამ საშინელებაში, იდგა ზარდაცემული, შიშით დამუნჯებული და უტკეროდა ყოველივე ამას დამფრთხალ და საზარელ თვალებით, მერე უეცრად მუნჯურ მკვევრმეტყველებით, საშინელ საოცრებით პალტო აიჩჩია, თავზე წამოიხურა და საოცარი ძუნძულით გაიქცა...

— უუუ!.. ამუნია მოდის!.. უუუ, ბოჩია შეგკამს!.. უუუ!.. უუუ!.. — მიზმულდა იგი, თითქოს განებივრებულ ბალღს აშინებსო, მიზმულდა.

IV

ციციანთ აღმართზე გამძივული ელექტრონები ნაღვლიანად ოდნავ იბჟუტებოდნენ, წვიმა კი ისევ გულმოდგინედ იყინებოდა და მთელი ქალაქი ამთქნარებულ ხანსავით დაღებულყო, დაბურუსებულიყო. ძირს მეტეხი ცივად და ამაყად იმკრთალებოდა და შუბლ-მოკმუნნილი თითქოს რაღაცას ემუქრებოდა კბილებ ჩაბღვნილ სირაჯხანის ბნელ ქუჩებს, სადაც ავაზაკთ და ნაძირალთ ღვინის ძუძუ მოენახათ და განელებულნი სწოვდნენ ალისფერ რძეს გაბრუებამდისინ.

უკანასკნელი ტრამვაები გაჩქარებული ზარის წყარუნითა და ხრიალით მძევენებოდნენ მთავარ სადგომში.

ქუჩებში თითქმის არავინ იყო; დაძინებულ შალში გახვეული მათხოვარი თუ გაივლიდა სადმე იშვიათად დახეულ ცალ-ცალ ფეხსაცმელების სველ ქლარტუნით: სირაჯხანის რიგში სარდაფები განათებული იყო და შიგ რაღაც ხმაურობა, ყვირილი და არღნის ქუჩური სიმღერების ღრიალი გაისმოდა.

„—ავანთოთ შუ-უშის ფაარნეებო!.. არი-ალა-ალეეე!..“ — გაისმოდა ვიღაცის ხრინწიანი ლოთური სიმღერა და ყოველივე ეს ანდროს ახეტიალებულ სულში რაღაც მორიდებულს, მაგრამ ახალსა და სასიამოვნო შიშსა და კრძალვას სთესდა:

იგი დაუყვა სირაჯხანას ქვემოდ და ერთ ადგილას შეჩერდა.

ვიღაც მეძავის უშნო ჭყვივლი და არღნის რიალი მოესმა.

ეს ელამ კარაპეტას სარდაფი იყო, სადაც ყველაფერი რაღაც ლოთურად გაბრუებულიყო.

ანდრო ცოტა ხანს შეყოყმანდა...

შევიდეს თუ არა?..

ჰო, თუ არა?...

ჰო?..

ჰო!.. — იგი შევა, შევა!.. ეხლა კარგია ღვინო, კარგი!.. და იგი მტკიცე გადაწყვეტილი ნაბიჯით დაეშვა სარდაფის აგურის ნესტიან კიბეებზე.

ლიფლიფა ლამპები სარდაფს მკრთალად და გულის გამაწყალებლად ანათებდნენ. გარეთ სწვიმდა და სარდაფში სულის გამაწვრილებელი სინოტივე და სინესტე იღვა და ლაპარაკი და ხმაურობა ისე მკვახედ ჰხედებოდნენ ნოტიო კედლებს, თითქოს მოქეიფენი მათდა შეუმჩნევლად შფოთდებოდნენ და ხანდახან ხმას დაუწევდნენ ხოლმე.

კედელზე ბუზებისაგან დასვრილი სურათები ეკიდა: ფოროსმანაშვილის „Бедни съ детами“ და „мелленеръ бездетни“, მოქალაქე თავგები თავის მეუფე დედა კატას მისვენებენ მარხილით, მგლოვიარე მემკვიდრე ტახტისა ცინდალი კი უკან კუდთან უზის და მიცვალებულ დედის კუდი ხელში მბრძანებლის კვერთხით მეფის მემკვიდრის სიამაყით თათებში უჭირავს, მეორე მხარეს „გალა-პეტერის“ შოკოლადის ქარხნის სარეკლამო სურათი ეკიდა ისეთივე დასვრილი: პატარა ბიჭი თავისივე ტოლს გოგოს შოკოლადს აქმევს; დახლოთ კი დიდი, ფოტოგრაფიული სურათი ეკიდა თვით ელამ კარაპეტასი გვარდიელის ტანისამოსში, მთლად იარალში, მაღზერის სისტემის რევოლვერით ხის უნო ბოხჩით და სამხაზიან სამხედრო კარაბინით, კირებთან კი კაკაბის გახუნებული და ნახევრად გაძრცვნილი ჩუჩელო.

ანდრო ერთი პირობა შეჩერდა და დამფრთხალმა თვალეები ირგვლივ მოაყოლო.

უზარმაზარ კარადივით ფისგარმონიის სპილენძის შაურიანი უშნო წკრიალი გულს აწუხებდა, მაგრამ ანდროს ყოველივე ეს უეცრად მოეწონა, მანაც იგრძნო თავი ქუჩის კაცად; იქვე თავისულ უსუფრო მაგიდას მიუჯდა, რომელიც შავი ღვინითა და კიდევ რაღაცა სხვა მეტად საექვოთი იყო დასვრილი და მანაც მოთხოვა ღვინო.

მან მიაგნო ადგილს, სადაც შეიძლებოდა იმ გზა-აუხვეველ მემავ ქალივით მომბაბუზრებელ, აბეზარ სასოწარკვეთილების ჩაღრჩობა და გულში სიხალვათე და თავისუფლება იგრძნო.

«—ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ!..—გაათქვამა მან სახარების სიტყვები და გულში გაიღიმა. საოცარია ეს წიგნი, საოცარი თავისი პრიმიტიული, უბრალო ფორმითა და სიბრძნით, ხე-ხე!..

ერთი პირობა შექიფიანებულმა ავარებმა მას ექვის თვალითა და სახიფათო ყურადღებით დაუწყეს თვალყურება ეტყობოდა, მათ არ მოსწონდათ ეს სუფთად ჩაცმული კაცი და ერთი მეორეს რაღაც საექვოდ და სახიფათოდ გადულაპარაკეს.

ერთი ახმახი დიდ-ხალიანი, ფართო შარვლითა და ვერცხლის მძიმე ქამარ შემორტყმული, რომლის დიდი, არაჩვეულებრივი ზღმარტლივით თავი სიმძიმის გამო მუცელზე ჩამოშვებოდა მოქიფეთ გამოეყო, უღვაშზე ხელი გადისვა და რაღაც სწამოვად აუარ-ჩაუარა ანდროს მთვრალი ბარბაცით, მერე შეჩერდა და უეცარი გადაწყვეტილებით მიუახლოვდა.

— გამარჯობა!.. — სთქვა მან მოუხეშავი ბოხი ხშირი ღოთობისაგან ჩახლანძული ხმით ყარაჩოდულ ლაზათით.

— გაგიმარჯოს!.. — უპასუხა ანდრომ და სკამი მიაწოდა.

ანდროს ვიღაც ბიჭურად შეკრეკილმა სისხლიანი, გარყნილი თვალვებით მოელვარე გოგომ ღვინო მოუტანა და, როდესაც მასთან მეორეც დაინახა გაიქცა და მეორე კიქაც მოარბენინა.

ანდრომ ღვინო დაასხა და ხალიანს მიაწოდა.

— ღმერთმა გადღეგრძელოს!.. — სთქვა ხალიანმა მთვრალი თვალვების ლიცლიცით, ღვინიან კიქით ხელში ჰაერში შეჩერებულმა და მერე ისევ განაგრძო: იცოცხლე მრავალ ჟამიერ!.. პირველ დანახვისთანავე თქვენი სიფათი მომეწონა და მაშინვე გულმა მითხრა! ჰა, ბიჭო, ეს უბრალო კაცი არ უნდა იყოს, აქ რომ უსაქმოდ უყვართ შემოხეტიალება და ჩვენი თვალყურება მეთქი!.. და არც მოეტყუვდი. რა ვქნათ, რომ ჩვენი ტოლი არა ხარ, განა ის ცოტაა, აქ ჩვენთან რომ მოხველ და ჩვენთანა ხარ?.. — დაადავა ხალიანმა, კიქა ანდროს კიქას შეუტაკა და გადაკრვით დალია.

— გაგიმარჯოს, იცოცხლე!.. — უპასუხა ანდრომ და მანაც დალია.

— სიყმე ნუ მომიკვდება, შენტვის თავს დავდებ, თუ აქ ვინმე შეგეხება, იმიტომ რომ სიფათი გაქვს კარგი!.. მე ქორიას მეძახიან, ქორია ჯიბგირს.. — სტკვა ყარაჩოღულ ლაზათით და უზარმაზარი ფირუზის თვლიანი ბეჭდით ასალტული მუშტი სუფრას ისე დაარტყა, რომ ღვინით სავსე ჭიქები კინალამ წაიქცნენ.

ანდრომ თავდაპირველად შიში იგრძნო, მაგრამ, როდესაც შენიშნა, რომ იგი სამტროდ არ იყო მოსული, უფრო გათამამდა და ისე დაუწყო ლაპარაკი, როგორც თავის სწორს და თან ჰკვირობდა მის ასეთ ერთგულებაზე.

მას ნამეტანი მოეწონა აქაურობა და თავისუფლად ამოისუნთქა, პირველხვევე ჭიქამ დაჰკრა თავში, ნიადაგი ფეხ-ქვეშ გამოეცალა და სადღაც შესცურა მყრელოვან ეთერის მორევში სინაზითა და ნებივრობით გაჰკრა სადღაც ის საშინელება მკედართა ღალადისისა, გაჰკრა ბარდღაც და ამაღამ, მან პირველად იგრძნო რაღაც ნეტარება და სიხალვათე სულისა.

გაბრუებულს ყველაფერი ლამაზ სიზმარივით იღვწამოდა, სადღაც გაჰკრა ის სასოწარკვეთილება, დადნა ბარდღას ლანდიც, სადღაც გონების კუნჭულში, მიმქრალდა.

— შენ იცი რა არის სირაჯხანა?.. — შეეკითხა ქორია ჯიბგირი ღვინით აღზნებული თვალებით ანდროს შენობით, რომელიც ასე ძლიერ მოსწონდა ანდროს. — სირაჯხანა, — ეს დარდის ამოსანთხევი ქურჭელია. სირაჯხანაში გაწამებული გაკაპასებული ხალხი თავის ვარამს ანთხევს და ამ დარდითა და შხამიან ყვავილებით აყვავებულ მორევში თვისვე იღრჩვებიან. სირაჯხანა ბუნაგია ჯიბგირებისა და ავაზაკებისა, სადაც ისინი თავიანთ სინიღისის ნაზ სიმებს, რომელიც სიფხიზლეში ჩლუნგდება აქ აყრეოლებენ ხოლმე მეძვე ქალების ოფლიანსა და მუწუკებიან უბებში. სირაჯხანა ეს ის ბურანია, რომელშიც კაცი თავის უგემურს, უემურ მწარე მოგონებებს აღრჩობს აი ამ ნუნუნას მორევში. აქ ხდება სასწაული და ავაზაკი წუთით ადამიანად იქცევა. აქ ჰლმლატობს იგი წუთით თავის საზარელ ხელობას, ადამიანურ გრძობებსა ჰყვება და ადამიანი ხდება. აქ იღვწება, იმსხვრევა იგი, როგორც ავაზაკი, აქ არის მისი სისუსტე და აი ამ სისუსტის დროს მას ეჯავრება, სძავს უქმი ცნობის მოყვარე თვალები. სირაჯხანა დაღუბულ ხალხის ნავთსაყუდელია, უკანასკნელი კოზირია, რომლითაც მოგების იმედი ჯერ კიდევ უღვივის დაფერფლილ გულში, — აი რა არის სირაჯხანა! წააგებს და ჰყარავს ამ უკანასკნელ კოზირს და მას გულ-გაშლით ჩაიხუტებს თავის გაყინულსა და ცივ გულში მეტებს!.. აი აგერ ჰხედავ მეტებს?.. — გაიშვირა მან ხელი ფანჯარაში, რომელშიც არაფერი მოსჩანდა: — აი ის არის ჩვენი უკანასკნელი ბინა, სადაც ჩვენი ყმაწვილ-კაცობა ჩაიღვრჩვება. ის გულცივი ქმარია სირაჯხანისა და სირაჯხანა ერთგული ცოლი მეტებისა და როგორც მეტები არ ვარგა უსირაჯხანოდ,

ისე არც სირაჯხანა უმეტებოდ. ისინი ერთი მეორეს ავსებენ. ჩვენი გზა იმ ამორ ქვეყანას შუა ტრიალებს. მეტებიდან სირაჯხანაში და სირაჯხანიდან მეტებში, აი ჩვენი ცხოვრება. ვიბადებით და ვიქმნებით ორთაქალის ბაღებში, ვიზრდებით შეითანბარში და ავლაბარში და დავაყვაცებულნი, მაგრამ ფრთა დაღეწილნი ვკედლებით სირაჯხანას. ოო, სირაჯხანავ!.. სირაჯხანავ!..—წამოიძახა მან რალაც აღგზნებით და ჭიქას ხელი წამოავლო.—მაშ გაუმარჯოს მეტებსა და სირაჯხანას!..—სთქვა მან და ღვინო გადაჰკრა.

— გაუმარჯოს!..—უპასუხა ანდრომ მის სიტყვებით გაბრუებულმა და მანაც დალია.

— იცოცხლე!..—წამოიძახა ქორია ჯიბგირმა, უღვაშებზე ხელი გადისვა და ლოთურად აგრძნობიერებული ანდროს გადაეხვია; მერე წამოდგა, შეჩერდა და წყნარად ჩაულაპარაკა:

— გოგო ხომ არ გინდა?.. ერთი ასეთი გოგო გამოგიგზავნო, ვარსკვლავებს ეთამაშებოდეს!..

ანდრო გაწითლდა და წყნარად უპასუხა:

— არა, მადლობ!..

— მაშ ერთი ჭიქა ღვინო ჩვენც დაგვილიე!..—სთქვა მან და თავის სუფრისკენ მიიწვია და ჭიქით ღვინო მიაწოდა.

ამხანაგები მათ შესცქეროდნენ.

ანდრომ ჭიქას ხელი მოჰკიდა, წუთით თვალები დახუჭა, თითქოს აზრებს იკრებსო და მერე დაიწყო:

— გაგიმარჯოს დაღუპულო ძმებო!.. იცოცხლეთ!.. ამიერიდან მეც თქვენი ძმა ვარ, რა უყოთ გარემოებით და ვაყვაცობით თუ ვერ მოგედრებით, გული ხომ მეც ისევე გაცრუებული და დაღეწილი მაქვს, როგორც თქვენ!.. იცოცხლეთ!.. სთქვა მან და ღვინო გადაჰკრა.

— აბა ჩობანი, ჩობანი!..—დაიღრიალა საშინელი ხმით ქორია ჯიბგირმა და საშუა ტატარჩუკმა პაპიროსით პირში, კისრის ოღნავი მოჰკვევით და თუთუნის ბოლის გამო ოღნავ თვალებ მოხუჭულმა გარმონი ააქრიალა, წამდენიმე აკკორდი აიღო და დაიწყო.

აქვითინდა გარმონი და ამ ქვითინში მოისმოდა კვნესა ვაება დაქრილ სული-სა, სასოწარკვეთილი მოთქმა სიკვდილისათვის განმზადებული ადამიანისა, რომელიც უკანასკნელად ჰმღერის თავისს ბედის სიმღერას.

ყველამ თავები ჩაჰკიდა და ლოთური ნეტარებით იღიმებოდნენ.

საშუა ტატარჩუკი კი უკრავდა და ნახი ხმები ხან აიჭრებოდნენ ზევით, ზევით აწკრილდებოდნენ ცის დასალიერში, თითქოს ღმერთს რალაცას შეჰქვითი-

ნებდნენ და ხან ძირს დაეშვებოდნენ გაცრუებულნი, მიწაზე ეძებდნენ რაღაცას, ფუსფუსობდნენ.

ლოთურმა ნეტარებამ მოიცვა ყოველივე, გარმონის ლამაზმა, მაგრამ თავზე ხელაღებული სიმღერამ დასწრდილა ყველაფერი.

საშუა უკრავდა გატაცებით, უკრავდა თავდავიწყებით და ჰკენესოდნენ, ჰქვი-
თინებდნენ გულის მომკლავად ამეტყველებული ხმები.

იქ გვერდით ვიღაცის ქვიფინი მოისმა, აქეთ ვიღაცამ ავარული თავგამოდე-
ბით შესქვივლა და დათვრა სარდაფი, მიყუჩდა ყველაფერი. მუსიკამ დაათრო ყვე-
ლა, გააბრუვა...

საშუა კი უკრავდა, უკრავდა:

„ვიღაცა მწყემსი შესწიოდა სოფელს, შესწიოდა, ემუდარებოდა თვალმაყვალა
სატრფოს, ნაბადივით თმები რომ ჰქონდა დაფენილი გიშრის ზოდებად ნაზ მხრებ-
ზე, ჰქვითინებდა მწყემსის სული, რომელსაც ყაჩაღებმა ცხვრის საყვარელი ფარა
წაართვეს თავისი ლამაზი თავმომწონე ბელადითა და ყოჩით და მას კი სიკვდილი
მიუსაჯეს და მწყემსმა სთხოვა, რომ მისთვის უკანასკნელი სურვილი აესრულებო-
ნათ და მიეცათ ნება უკანასკნელად აეკენესებინა ლერწმის ნაზი სალამური, უსა-
ზღვრო იყო სურვილი ჩობანისა, რომ თავის სასოწარკვეთილება და ვარამი ამოენ-
თხია სულიდან მეგობრისათვის და ეს მეგობარი მისი სალამური იყო, და აი მას მის
ცეს ნება. და მან თავის მშობლიურ სოფელზე გადამდგარმა, რომელიც ბარში
იყო დაფენილი დაუკრა სალამური, დაუკრა ჩობანმა, ააკენესა ლერწმის ლერო
და შიგ ჩააქსოვა მთელი თავისი ნაღველი და უკანასკნელი სალამი სოფლისადმი
და სატრფოსადმი, რომლის კულულებს არევას იგი ვერასრდეს ვერ ეღირსებო-
და და ესმოდა სოფელს სალამურის კენესა, ესმოდა სოფელს და იგი ჯერ გარინ-
დებული ისმენდა ამ არა ჩვეულებრივ ნაღველს, მერე მან თითქოს იგრძნო რა-
ღაც საშინელი, მან იგრძნო რომ ამ ხმების ამკენესებელს ფარსაგი არ სჭირს და
იფეთქა სოფელმა და სალამურით თავდავიწყებაში შესულ ყაჩაღებს დაესხა თავს
და მით იხსნეს თავისი სიამაყე, თავისი მოძმე გასაჭირიდან. ასე სტიროდა ჩობანი,
ასე ჰკენესოდა მისი სული“...

და უკრავდა ტატარჩუკი „ჩობანს“, უკრავდა. მერე აუწია, ზევით ასწია,
საღლაც ცაში გააქანა, უკანასკნელი წკრიალა ხმა მიამჭრქალა, მერე უფერად მო-
სწყვიტა იქიდან, ძირს დაუშვა და რამდენიმე ლამაზ აკკორდით დასწია ძირს და
გაათავა...

გათავდა ჩობანის კენესა...

გათავდა...

ქორია ჯიბგირი ფენზე წამოიქრა.

— უუჰ, შენი სულის ჭირიმე! — დაჰკივლა და საშკას მოეხვია.

— დალიე გენაცვა, დალიე!.. — დაუყვირა მეორე ხმელხმელმა სუსტმა ავარამ და ჭიქით ღვინო მიაწოდა.

საშკამ ღვინო გამოართვა, დალია მერე ულვაშები მოიწმინდა და გარმონი გვერდზე გადასდო.

— ნუშო!.. — დაიყვირა ისევ იმ სუსტმა ავარამ, რომელმაც საშკას ღვინო მიაწოდა, სკამზე გაღიზნა და ცალი ხელი უკან გადაჰკიდა: — ნუშო, მოდი სულიკო, ერთი მაკოცე!.. — დაიძახა მან და მასთან გამხდარი ქალი, ნამიანი ლამაზი ნაღვლით მიბნედილი თვალებით მიიბრინა და აღუღუნებულმა თვალებში ნახად აკოცა...

— არა, ის ნაცემი მაკოცინე, გუშინ, რომ ბოთლი დაგარტყი!.. — დაიძახა და ქალს შუბლში, წარბს ზემოდ დალილავებულ ალაგას მხურვალეთ აკოცა.

ანდრო გაოცებული უყურებდა ყოველივეს და საოცრად შეეთვისა ამ ახალ გარემოებას და გულში საოცარ სინაღვათესა ჰგრძნობდა.

იგი გაბრუებული იყო, მას ყველაფერი დაავიწყდა და ისიც ავარად, ნაძირად ჰგრძნობდა თავს ამ წუთში და ყოველივე აქაური, ის თავგები, რომლებიც კატას მარხილით მიასვენებდნენ, ის ფიროსმანას „მелленеръ бездетни“, ეს ქორია თავისი დიდი ხალით, ეს ელამი კარაპეტა, რომელსაც ცალ ფეხზე წაღა ეცვა და ცალ ფეხზე კალოში, ეს ნუშო, ყველა და ყველაფერი აქაურობა ჰხიზლავდა და აბრუებდა და ამ წუთში მას ისე უნდოდა მარტო ყოფნა და ნეტარება მყუდროობაში და სიმარტოვეში, რომ ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ტრიალებდა და სკამს ესრისებოდა.

— უკაცრავად!.. — მოესმა დას ვილაცის ხმა გაბრუებულს და გვერდით მოიხედა, მის გვერდით ის სუსტი ყმაწვილი იჯდა, წედან რომ ნუშოს ჰკოცნიდა. მისი ჭკვიანი შავი და ნაღვლიანი თვალები მასზე რაღაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდნენ, — მე სოსანა სემინარისტს მეძახიან, მესამე კლასიდან დამითხოვეს პროზაგ ნდის გულისთვის, მერე ტერორისტობა დავიწყე და ბოლოს აქ ამოვეყავი თავი ნუშოს ეშხითა ვარ დამწვარი და ველარ ვშორდები, უკვე ხუთი წელიწადია აქა ვარ ნუშოსთან, მაგრამ უკაცრავად... მე თქვენ გიცნობთ ვინცა ბრძანდებით, თქვენ მწერალი ანდრო სავანელი ბრძანდებით. მე თქვენს მოთხრობებსა და ლექსებს გატაცებით ვკითხულობდი, მაგრამ სრულიად არ ვფიქრობდი, რომ თქვენ აქ განახვდით, ამ ჯურღმულებში და მე გაგიცნობდით.

ანდრო გაკვირვებული თვალებით მიაჩერდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ სიტყვა ვერ მონახა და თავი მიანება.

— დიად თქვენ გიკვირთ ყოველივე ეს, მაგრამ მე გავიგე, შევიგენ მშვენიერება სირაჯხანისა და აი ამ ავარა ძმა ბიჭებისა. ყველაფერი ლამაზია ქვეყანაზე, ულამაზო არა არის რა, მხოლოდ საქმე იმაშია, ლამაზად მიიღო ყოველივე და ეს ხალხიც ლამაზად, გულწრფელად იღებს ყოველივეს. მათთვის ცხოვრებამ მხოლოდ სიბინძურე და წამება გაიმეტა და აი ისინიც გულგაშლით, წრფელად, ლაზათით იღებენ ამ სიბინძურეს, ამ წამებას. ისინი მთელ ქვეყნის სიმდიდრეზე არ გისცლიან ავლაბრისა და ხარფუხის ძველ ქუჩებს, სალამოობით კევიდექია ხავერდის ეუყუნა თვალებიანი ქალები რომ გამოეფინებიან, ვერ შეელევიან შეითანაზარს, ორთაქალის ბაღებს, სეიდაბადს და ვერც თვით მრისხანე და გულჩახვეულ მეტეხსაც, მაგრამ ცხოვრება მეტად სასტიკია, მეტად შურიანი და არ უნდა აპატიოს ეს ყველაფრით კმაყოფილება ამ ხალხს, და სთელავს მათ, მაგრამ მათ ამის წამალოსაც მიაგნეს, ეს სირაჯხანაა, აქ თვრებიან ისინი ტანჯვითა და ლოთური გაწამებით და სადაც ტანჯვაა და წამება იქ სილამაზეც არის. აი ამაზე უნდა იმღეროს ადამიანმა. პოეზია მხოლოდ ხეივანებში, ბაღებში და დედოფლის სრა-სასახლეებში კი არ არის, არამედ აქაც, აქაც არის თავისებური სილამაზე, შინაარსი და მშვენიერებაც: აი სად იპოვით თქვენ შინაარსს, აი სად ნახავთ თქვენ ნამდვილ პოეზიას. ესლა ხომ ბევრს ლაპარაკობენ თქვენ ნიჭის დაცემაზე და თავის გადამღერებაზე!.. განა ყოველივე ეს პოეზია არ არის?.. თუნდ ეს მეტეხიც სიმბოლიურად რომ დასცქერის სირაჯხანას და განადგურებდას რომ ემუქრება?.. და აი ამ ხალხს სძაგს უქმი ხალხი და თუ თქვენ დღეს კრივს გადურჩით ეს ჩემი წყალობით...

— უკაცრავად, მე მადლობელი...—უნდოდა ანდროს მადლობა გადებდა, მაგრამ სოსანა სემინარისტმა გააწყვეტინა:

— მომითმინეთ, მომითმინეთ!.. აქ მადლობა არაფერი შუაშია, მე იმიტომ კი არ გითხარით, რომ მადლობა შიმელო, არამედ იმიტომ რომ დამემტკიცებინა, თუ როგორ არ უყვარს, როგორ სძაგს სირაჯხანას უქმი ცნობის-მოყვარე ხალხი. თუ მიხვალთ მასთან მოწიწებით და პატივისცემით, რადგან მას ესმის თავისი ღირსება, უყვარს პატივის ცემა, რადგან მას თავი მეტად წმინდათ და სასალუქოდ მიაჩნია და ამაყია თავისი წამებით, იგი გულ-გაშლით მიგიღებს, არა და ავარების ბებუთის მსხვერპლი შეიქმნებით. ასეთია სირაჯხანა. ქორია ჯობჯირიც ჩემი ძმათ ნაფიცია, მასაც გაუგონია ჩემგან თქვენ შესახებ და, როდესაც ერთხელ თქვენ დრამას: „გაიოზ და რენოს“ დაესწრო ცრემლებით აღზნებულ თვალებით მომადახა: მისი სულის ჭირიმე ვინც ეს დასწერა და მოიგონა, აფსუსი არ არის ის სირაჯხანას არ იცნობდესო. აი ესლა თქვენ ესტუმრეთ სირაჯხანას დალევნილი გულით, როგორც თქვენ წელან სთქვით, ჩვენ არ ვიძიებთ თუ რამ დალევია თქვენნი გული, გული იმისთვის არის გაჩენილი რომ დაილევოს, ეს ჩვენთვის სულ ერთია.

საქმე იმაშია რომ თქვენი გული დამსხვრეულია, ჩვენც ეს გვინდა, სირაჯხანაც ამას მოითხოვს, მთელი გული ამაყია და ზერელე, ჩვენც ამიტომ გიღებთ თქვენ ძმად. ჩვენ არ გვინდა თქვენი ვაჟკაცობა, არც ვინაობა, სირაჯხანაში ყველანი ტოლები არიან, ჩვენ თქვენი გატეხილი გული გვინდა და სხვა არაფერი... —სთქვა მან აღზნებით და ცოტა შეჩერდა, ლამაზ თმებზე ხელი გადისვა და აღზნებული თვალებით, რომლებიც მუგუზლებივით ანთებულიყვნენ გამხდარსა და ნაზ სახის სიღრმეში, ანდროს მიაჩერდა.

ანდრო ყურადღებით ისმენდა ყველაფერს და მის გონებაში ათასი აზრი დატრიალდა თვალის მომჭრელად, აფერხულდა ფერადად...

— მობრძანებულხართ ჩვენთან, კეთილი იყოს თქვენი მოსვლა!..—დაიწყო ისევ სოსანამ და მერე განაგრძო:—ამიერიდან თქვენ აქ ხელს ვერაფერს გახლებთ. იყავით ჩვენთან და ვიყოთ ერთად ჩვენი დაღეწილი ეთერის კოშკებითა და ხომალდებით, ჩვენთვის ძვირფასია ეს ნანგრევები, რადგან მეტად ძვირად დაგვიჯდა ისინი. მეცა მაქვს ჩემი ხომალდის ნამსხვრევები და ეს ჩემი ნუშოა, ნუშო, რომელიც მანეთად შეძავობს და თუმნად მთელი ღამე დაატკობს თავისი წამებით ვინმე ავხორცსა და ბინძურ სპეკულიანტს. ჰო, თქვენ იცით, მე ხშირად უკითხავდი თქვენს ნაწერებს ნუშოსა და ქორია ჯიბგირს და რომ იცოდეთ, როგორ აეცსებოდათ ხოლმე ყოველ მოთხრობის შემდეგ თვალები ნეტარების ცრემლებით. ჩვენ ძლიერ გვიყვარდით თქვენ და ბედნიერი ვართ რომ ჩვენთანა ხართ, მაგრამ ამაზე კიდევ როცა გვესტუმრებით მაშინ ვიმუხსაიფოთ... იცით მე ძლიერ მომწონხართ!..—წამოიძახა უეცრად აღზნებული თვალებით სოსანამ გაწითლებულმა, წამოდგა და ხელი მხურვალედ გაუწოდა.

ანდროც ადგა, მოქეიფენი მათ მიაჩერდნენ.

— უკაცრავად შეგობრებო!..—დაიძახა ანდრომ,—ნება მომეცით ეხლა ჩემს საკუთარ ღვინოს მიუჯდე...

— აარა, აარა!..—იყვირეს მოქეიფეთ ხელის სავსავით.

ქორია ჯიბგირი თვებზედაც წამოიჭრა.

— ამხანაგებო!..—დაიწყო ისევ ანდრომ მე მინდა მცირე ხანს ჩემთან მარტო დავრჩე და ამიტომ ნურას უკაცრავად!..

მოქეიფეთ უნდოდათ არ გაეშვათ, მაგრამ სოსანა სემინარისტმა მათ რაღაც ჩაულაპარაკა და ყველანი გაჩუმდნენ.

— მაშ ერთიც დაგვილიე წასვლისას...—დაიძახა ქორია ჯიბგირმა და ქიქით ღვინო მიაწოდა.

ანდრომ გამოართვა, მადლობა გადაუხადა, დალია და მერე ოდნავ ფეხშეშლით სიმთვრალის გამო თავის სუფრას მიუახლოვდა და დაჯდა.

იგი იჯდა და ფიქრობდა. მისი ფიქრები მთლად დაშორდნენ ბარდლასა და ლილის. მასზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა ქორია ჯი გირისა და სოსანა სემინარისტის სიტყვებმა.

იგი დიდხანს იჯდა და ჰფიქრობდა ღრმად, მერე კარგა ხნის შემდეგ თავი წამოსწია და თვალი ირგვლივ მოაგლო.

კედელზე მან ჟეგულიოვის ლუდის ქარხნის რეკლამას მოჰკრა თვალი: წითელი ხავერდის ტანისამოსით მოკლე შარვლიანი ლამაზი ბიჭი, ლუდის კასრზე ამხედრებულიყო და კრინოლინიან ლოყა წითელ გოგონას ლუდს ასმევდა თავისი ხელით. აქეთ ძველი კალენდრის ანაგლეჯი იყო მიკრული, იქ ადამიანის ცხოვრება ნათლობიდან დაწყებული სიკვდილამდე კიბეებზე აყოლებული და ასე...

კუთხეში მან ვიღაც კაცს მოჰკრა თვალი, მგონი აისორი უნდა იყოს, იგი სულმთლად ტალახით დასვრილა და ფეხები სელის სკამზე სპარსულად, საკია-მუნის ქანდაკებასავით მოურთავს!.. ჰე-ჰე!.. საკია-მუნის!.. მერეჟკოვსკის!.. მაჰმადის... გალიუცინაციები!.. ხა-ხა!.. შიიტები და სუნიტები!.. შახსეი!.. ვახსეი... და განა ეს სირაჯხანაც თავისებური შახსეი-ვახსეი არ არის?.. ჰე-ჰე!..

აისორი კი იჯდა, ცალი ხელით სუფრას დაჰყრდნობოდა, რომელზედაც ღვინით ხელადა და წითელი ყვავილებიანი მრგვალ მუცლიანი მინის თათრული ჭიქა ედგა და ჩახლენილი ხმით კაპას დედაკაცივით რაღაც აშარ სიმღერას ჰყვოდა საკუთარ იმპროვიზაციით. ხან შეჩერდებოდა, ღვინოს დალევდა, ხან რყევით თავს ჩაჰკიდებდა და ამოქინძისთავებული თვალები მთლად მიუწვრილდებოდა და ისევ აღიღინდებოდა.

ანდრო კი უცქეროდა ცნობის მოყვარე თვალებით, უცქეროდა და თითქოს სადღაც სულის კუთხეში წყნარ ტკივილსა ჰგრძნობდა.

აისორმა თავი აიღო, თვალები შეშლილის უბსკრულიან გამოხედვით ანდროს მიაჩერა. ანდრო ელდანაკრავივით უკან მიაწყდა, თითქოს რაღაც საშინელ და გონების ამრევი წაიკითხა მის თვალებში, აისორმა კი ლოთური ნეტარებით მინაბა საშინელი წვრილი თვალები და მემავ ქალივით, რომელსაც შრომაში გასამრჯელო არ მისცეს, ხრინწიანი, წრიბინა ხმით, კნავილივით ტირილი დაიწყო.

სტიროდა იგი უცრემლოდ, თავს ხან გაიქნევდა და ხან ჩაჰკიდებდა და რაღაცას გაუგებარსა და საშინელს მოსთქვამდა თავის, აისორულ ენაზე და ტალახში მოსვრილი, გამხდარი და პატარა სულ მთლად მოიშუშტა სელის სკამზე.

ანდრო გაფაცრელებით თვალს ადევნებდა მას თითქოს მასში რაღაც თავის

სულის მონათესავე ადამიანი ჰპოვა და ეცოდებოდა იგი, ებრალებოდა სულის ტივილამდისინ და უყვარდა იგი ამ საბრალოებით.

ფისგარმონია კი, რომელიც დიდს კარადივით იღვა დახლოთან დაძველებულ „მალბრუქს“ უკრავდა.

— მალბრუქი!..

მას ამ წუთში არ ესმოდა მთვრალი ძმაბიჭების ბაიათები.

ანდრო უცქეოდა ამ კაცს და ხანდახან თუ დაღვედა ხოლმე, მერე მოახლეს მეორე ხელადაც მოატანიდა, ორივე ტიქაში დაასხა. ერთი თავისაში, მეორე ქორიასათვის რომ მოატანიდა იმაში და პატარა ყოყმანის შემდეგ გადასძახა!

— ეჭვი, ძმობილო!.. — აისორმა ვერ გაიგონა.

იგი გულმოდგინედ სტიროდა თუ მღეროდა რაღაცას ძნელი გარჩევი იყო.

— ეჭვი, ამხანაგო!.. — დაუძახა უფრო ხმა მალლა, მერე გადასწვდა და ხელი წაჰკრა.

აისორი შეერთა და, როდესაც მისკენ გადმოწვდილი სუფთად ჩაცმული ანდრო დაინახა თვალები სულელურად დააბრია.

— ეს შენი საღვთვრძელო იყოს!.. გაგიმარჯოს!.. — გადასძახა ანდრომ და დალია.

აისორი აფუსფუსდა, თვალები გაუბრწყინდა, სკამზე ძლივს ჩამოცოცდა ბავშვივით ერთი ბეწვა და კასრის საღვთვრძელებით მოღვედილ ფეხებზე შემდგარი ანდროსთან ხელადით ხელში მიბარბაცდა და მის პირისპირ სკამზე შეცოცდა.

— გაგიმარჯოს!.. გაგიმარჯოს!.. გაიძახოდა იგი წრიპინით, ფეხები სკამზე გაისწორა და თვალებ გაბრწყინებულმა ღვინო გადაჰკრა, მერე მთელი თავისი სუსტი ღონით სუფრას ხელი დაჰკრა, თავი მოწყვეტით ჩაჰკიდა და საცოდავი ტირილი დაიწყო. და იგი ზამთრიან შუა ღამით გარედ გადღებულ ლეკვსა ჰგავდა, რომელიც ყინვით გათოშილი საცოდავი წკმუტუნით ზმუნის და სტირის ზამთრის სისასტიკეს.

ანდრო კი იჯდა უკვე მთვრალი და შესცქეროდა ამ საოცარ კაცს, მერე უეცრად მებდაცემულივით თვალები საშინლად დაჰკაკლა და სკამის ზურგს მიეჭუჭკა მთლად აცახცახებული, გონება დაკარგული და უეცრად მან ვილაცის წებიერი, საშინელი, გულის შემომყრელი ლიპი ხელის შეხება იგრძნო, თითქოს ბაყაყი დააკვდა მას თავისი ცივი თათებით და ზარდაცემული ფეხზე წამოიჭრა, მაგრამ გამორკვეულმა აისორს შეჰხედა და ოდნავ დამშვიდებული სკამზე კანკალიც ჩაიკეცა.

— ძნელია, ძნელი-ი ცხო-ოვრებაა!.. — ჰიჰყინებდა აისორი რაღაც ბაიათს თუ შიქასტის ნაწყვეტს, მერე ღვინო დაასხა, ანდროს გამარჯება უსურვა და დალია.

ანდრო კი უცქეროდა ამ კაცს და მან იგრძნო რომ საშინლად დათვრა.

საოცარია!... იგი ამ კაცის სიხლოვემ დაათრო, თუ რაა? ანდროს არც თავი გაეგება და არც ბოლო, ყველაფერი აირია ერთი მეორეში და ყურებში რაღაც ხუილსა ჰგრძნობდა

სკამები კასრებზე ამხედრებული დაჰქროდნენ, мелленеръ бездетни კაცების ჩუჩელოს ჰკოცნიდა, კრინოლინიანი გოგონა თავებს იგერიებდა, ფისგარმონია უღარდელ გერმანელ ბჟურგერივით ბოხი ხმით ხარხარებდა, დახლიდარი მაუზერის სისტემის რევოლვერით თავს იკლავდა და თმა გაშლილი ნუშო კი გულის გამგირავ ხმით წიოდა და ლოყებს იხოკდა...

აირია ყველაფერი და მხოლოდ აისორი იდგა მის წინ გარკვევით და იგი საშინელი თვალებით მისციებოდა ამ ტალახში დასვრილ კაცს, შიშით რომ ეს ერთი გარკვეული აზრი მანც არ დაჰკარგვოდა თვალთხედვიდან. და ეს კაცი მას ვიღაცას აგონებს, საშინელ ვიღაცას და არ იცის ვის. იგი ძვლებისგან ასხმულ კრიალოსანს უფრო მოაგავდა ვიდრე კაცს, რომელზედაც შარვალი და ჟილეტი შემოუხვევიათ.

იგი მობრუნდა, ცრიატი, თხუნელიწებური თვალები იდიოტურად ანდროს შეანათა და მოულოდნელად, ცითქოს ბრწყინვალე აზრმა გაუელვა თავშიო აღმაფრენით დაიწყო:

— შენ იცი, ძმობილო, მე კალატოზი ვარ, უწინ, როდესაც ახალგაზდა ვიყავი და სისხლი მერჩოდა სატრფოც მყავდა!...—სთქვა მან ნაზი აღზნებით და ანდრო წუთით შეფიქრდა: ნუ თუ ეს ადამიანი როდისმე ახალგაზდა, იქნებოდა და სიყვარულიც შეეძლებოდა იგი თითქოს ასე უნდა დაბადებულიყო, როგორიც ეხლაა.

— ერთხელ ამქარმა საყდარი შემიკვეთა ასაშენებლად!...—განაგრძობდა აისორი,—რომელსაც გუმბათი ცაში უნდა ჰქონებოდა მიბჯენილი. ოო, რა ლამაზი საყდარი უნდა ამეგო მე, რა ლამაზი და მოხდენილი!... და აი ერთხელ, როდესაც ვამთავრებდი და მხოლოდ გუმბათი უნდა დამედგა ზევით ცაში და ხარაზოზე ვიდექ ამაყი, ზვიადი და აღზნებული აგურს აგურზე ვაშენებდი და ზევით მივიწვედი ცის სივრცეში, საიდანაც ადამიანები ერთი ბეწვანი, ჭიანჭველებივით მოსჩანდნენ, უეცრად იგრიალა კედელმა, გადმოწვა, მომიპოლა მეც და წამოველ ძირს... არ ვიცი რა სასწაულით გადავჩი... დავიმტკერ, გული გამიფუქდა და მალა ცის ქვეშ მუშაობა აღარ შემიძლია, ვერა ვძლებ და ეხლა მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა სახლებსა და სარდაფებსა ვღესავ აღებასტრით და ფრთა დამსხვრეული აი აქ ვეძებ თავდავიწყებას თქვენ ნუ გიკვირთ, რომ მე ასე ჰკვიანად ვლაპარაკობ, სასოწარკვეთილება და წამება უფრო ჰკვიანურ ლაპა-

რაკს ასწავლის ადამიანს..—სთქვა მან დამტვრეული ქადიულით აისორული კილოთი და მერე უეცრად ჩაიფერფლა, კიდევ უფრო დაატარავდა და მოულოდნელად ლილინი დაიწყო და ლილინიდან ტირილზე გადავიდა შეუმჩნეველად.

ანდრო გარინდდა, იგი კიდევ უფრო დააკვირდა ამ აისორს..

ვის მოაგონებს მას ეს იდიოტური თვალეები, ვის!?. ვის მოაგონებს ეს საშინელი აისორი ანდროს, ვის აგონებს?..

— ბარდლა!.. — დაიწივლა მან განწირული ხმით შეშლივით, თავში ხელეები წაიტანა და გარედ გაიქრა...

(შემდეგი იქნება).



ნ. ლორთქიფანიძე

ქალაქის კაცი

ტკბილათ, მშვიდათ გაიარა ივანე ოსებაშვილის ცხოვრების გზამ. ღრმა გრძნობას არ აუტოკებია გული, თავსამტკრევ კითხვას არ აღუშფოთებია გონება.

რეალური გიმნაზიის მეექვსე კლასამდი, თუმც სუსტათ სწავლობდა, მასწავლებლები ყოველ შეღავათს აძლევდენ და განმეორებითი ეგზამენების თუ საკალდებულო სამუშაოს დანიშვნით, პატარა ვანო კლასიდან კლასში გადადიოდა.

მხოლოდ როდესაც მამა მოხუცების გამო სამსახურიდან დაითხოვეს, მცირე პენსია ვერ გასწვდა სწავლის, წიგნების და ტანთსაცმლის ფასს.

ვანო ხშირად უშვებდა ვაკეთილებს, მეოთხედებში ძლიერ დაკოჭლდა და წლის ბოლოს იძულებული შეიქნა შეეგირდობა სრულებით, მიეტოვებინა, რომ საკუთარის შრომით „პური არსებისა“ მოეპოვა.

მისი სიმშვიდის, ბეჯითობის და მუდამ ზრდილობიანი ყოფა-ქცევის მადლიერმა პედაგოგიურმა საბჭომ, თუმც ბავში ღირსი არ იყო, უთხოვრად მისცა ექვსი კლასის მოწმობა, და ვანო გზაჯვარედინზე გამოვიდა.

არც წასული ჰქონებია ისე ია-ვარდით დაფენილი, რომ მომავალი ახალგაზდა კაცს ფართო ზღვათ მოსჩვენებოდა.

ჯერ ფიქრობდა სამხედრო სამსახური აერჩია, მერმე აფთიაქის შეგირდათ უნდოდა შესვლა, მაგრამ უეცრად საიდანღაც გაჩენილმა ნათესავმა ხარჯები თავს იდვა, ულონდ კი ვანო საბუხგალტრო კურსებზე შესულიყო.

მოულოდნელმა ქველმოქმედმა სრულიად შეუცვალა გეზი მომავალი ცხოვრებისა.

რვა თვეში ვანომ სწავლა დაამთავრა და ქალაქის თვითმართველობაში ბედზე სწორეთ ეხლა დაარსებულ ახალ ადგილზე შევიდა.

კეთილმა ნათესავმა თავის ხარჯების ასანაზღაურებლათ წინადადება მისცა ახალგაზდა პატარა მოხელეს მისივე შორეული, მცირე მზითვიანი ნათესავი შეერთო. ვანოც არ გაჯანჯლებულა, და საქართველოს შეემატა ერთი ღარიბი თავისუფალი პროფესიის ოჯახი.

აუჩქარებლათ შეუდგა ვანო თავის მოქალაქოებრივი მოვალეობის შესრულებას.

ყოველ დღე დილას, რიჟრაჟზე იდგა ის ფეხზე, მიირთმევდა უკვე გამზადებულ ჩაის, შემდეგ მოიარდა ბაზარს, მოიტანდა სადილის მასალას, და მიდიოდა სამსახურში.

არავის ახსოვს, რომ მის ხელში რომელიმე საქმე შეჩერებულიყოს, ან უფროსს შენიშვნა მიეცეს...

უბრალო სადილი აძლევდა საკმაო ძალას, ცოლ-შვილის ალერსი ატკობდა გრძნობას...

ხუთი წლის წინათ დანიშნეს უფროს ბუხგალტერის უფროს თანაშემწეთ, და მაშინ ოდნავ შეტორტმანდა ერთგვარობის დაყუჩებული ტბა.

ეხლა უფრო მხიარული იყო სამსახურში, უფრო თავაზიანი ამხანაგებთან; აქა-იქ მეგობრებ-ნაცნობებიც გაიჩინა და, რაც ყველაზე ღირს-შესანიშნავია, აღეძრა სურვილი წარმატებისა...

ცვლილება დაემჩნია განსაკუთრებით შაბათსა და კვირას.

შაბათს ნასადილევს ბატონი ივანე რომ გაიღვიძებდა, ნახავდა ახლად დასუფთავებულ შავ ტანთსაცმელს, გაპრიანებულ ახალ წალას, გახამებულ საყელო-სახელოს, განსაკუთრებულ შემთხვევისთვის შენახულ მოკაუჭებულ შავ ჯოხს და ნაცრისფერ მაუდის თხელ ქუდს.

როდესაც ბატონი ივანე საპნით პირს მაგრათ დაიბანდა, გამოეწყობოდა და იაფ-ფასიან ოდეკოლონს თმა-ულვაშზე გადაისობდა, თავის ოთახიდან გამოვიდოდა მოკოპწიანებული მეუღლე მისი—ელეონორა და ნაზათ აკოცებდა თავის სათნო ქმარს...

ივანეც პაპიროზს მოუკიდებდა, ქუდს დაიხურავდა, მარცხენა მკლავზე ჯოხს ჩამოიკიდებდა და ორივე ცოლ-ქმარი წავიდოდნენ კლუბში.

თუ ცოლი ლოტოში იმაზე მეტს არ წააგებდა, რასაც ქმარი ფრაპში მოიგებდა, ორივე ცოლ-ქმარი კომპანიას მონახავდა, ზოგჯერ ძლიერ დიდსა და მხიარულს და „გერმანულ ანგარიშით“ ვახშამს მიუჯდებოდა...

ხშირად ყოფილა, რომ ბედს უმუხტონია მათთვის და მაშინ ქმარს ნაცნობებთან მოხერხებულათ ოხუნჯობდა:

— ექიმმა დაუშალა ლენოს ვახშობა, მაგრამ რა ვქნა ყოველთვის გუყვებოდა ნიორის მოვალეობა ვერ ავასრულე—ვნახოთ დღეს მოვახერხებ თუ არა?!

ქალი კი უფრო ნაწყენი ვითომდა საიდუმლოთ იტყოდა:

— თუ ვახშმათ დაჯდა, უსათუოდ უნდა დალიოს, ღვინო კი მაგისტვის საწამლაია.

ვანო ყოველთვის ირჩევდა ბედოვლათ მოთამაშეებს; თითონ თამაშობდა დიდის ანგარიშით, ხელმოჭვრით, ასჯერ გაზომვით და ერთხელ გადაჭრით...

იშვიათად თუ წააგებდა, და ვახშამიც მარად იყო.

კლუბიდან მათი დაბრუნება ჩიტებისებურ მუსაიფით იყო ავსილი—მარად ერთგვარი, გულუბრყვილად და ორთავესთვის სასიამოვნო.

— რა ქენი ვანო შენ?

— მოვიგე ათი თუმანი... შენ?

— წაავაგე ოცი მანეთი.

— მოუგია ჩვენს ოჯახს...

ორივე გადინხარხარებდა.

— კარგი ვახშამიც ვქამეთ...

— მშვენიერი... ცოტა ძვირი კია.

— რა გენადვლება! — ნახათ წაკრავდა მუჯღუგუნს ცოლი ქმარს—ბორის მოტანილი ბორიამ წაიღოს!

— მე არ ვდარდობ... მკითხე და გითხარი...

უკანასკნელ დროს ცოლ-ქმარს უფრო და უფრო იშვიათად უხდებოდათ ვახშამით სიამოვნება...

პატარა ფრაზს აღარავინ კადრულობდა, დიდის თავდაცვრილობით თამაშობდნენ და ივანესთან ხელმოჭვრილს გაუბრუნდნენ... ლოტომ კი სრულიად შეირცხვინათ თავი, და თანაც გაძვირდა...

კვირა დილას ივანეს ლოგინში უყვარდა ნებივრობა... გაღვიძებით ჩვეულებრივსამებრ გაღვიძებოდა; ცოლი ლოგინში მიართმევდა ჩაის, პურსა და ყველს. ამ მცირე საუზმის შემდეგ ივანე გადახედავდა გაზეთს და ცოტა ხნით მითვლემდა... ეს თვლენა მრავალგვარ სიამოვნებას ჰგვრიდა.

ჯერ ერთი, ზედ-მეტი დასვენება რაღაც ტკბილათ მოთენთავდა, გრძნობას უნახებდა, გონებას ამახვილებდა, აზრებს აათამაშებდა და მეორე, ამ თვლემის დროს ეზმანებოდა ის, რაზედაც ოცნებას თვალხილული ვერ ბედავდა.

მართალია, ამას წინათ დაესიზმრა, ვითომც მის ცოლს ბანკის ცნობილი დირექტორი, ერთი მოხუცი აშუიკი, ეხვეოდა, — შეძრწუნდა, გამოელვიდა და წამოხტა... მაგიერათ დღეის სწორს, რა წარმტაცი, საამაყო სიზმარი ნახა: უცრათ იღება მისი ოთახის კარები... შემოდიან ხმოსნები... დარცხვენილი არიან ცოტათი, უხერხულობას გრძნობენ... ბოლოს ერთბაშათ ეუბნებიან: პატივცემულო ბატონო ივანე, თქვენ თვითმმართველობაში მსახურებთ აგერ 18 წელია... სამწუხაროთ თქვენ საკმაოთ ვერ დაგაფასეს... ქალაქის საბჭოს წარსული შემადგენლობა თქვენს შესახებ შეცდომაში ჩავარდა, შეიძლება ვთქვათ თქვენ წინაშე დიდათ დამნაშავეა. ა ეხლა გვინდა წინაპართა შეცდომები გავასწოროთ და თუ გნებავთ დანაშაული არ ჩავიდინოთ... თქვენ მოგეხსენებათ რამდენათ საჭიროა, რომ გამგეობაში იყოს ენერგიით სავსე, უანგრო, და თან სპეციალური ცოდნის მქონე პირები... მოგეხსენებათ აგრეთვე რა უმწეო მდგომარეობაშია ჩვენი ფინანსები, და ვის მივმართავდით ასეთ შემთხვევაში თუ არა თქვენ...

ვანო ღელდება, სიამოვნებს არა ჯილდო და წარმატება, არამედ შრომის დაფასება... გაწითლებული მორცხვად ვთანხმდება.

დიდი ზალა... ხმოსნები კენჭებს ჰყრიან... ითვლიან...

ივანე არჩეულია.

მოკლე (ძლიერ მოკლე!). გრძნობიერი სიტყვები — ხმოსნებს თვალი ცრემლით ევსებათ... და მხურვალე ტაში...

უფრო ხშირად ივანეს წარსულის მოგონება უყვარდა და ყოველ წვრილმანს თავ-თავისი ფერადებით საკმაოთ მხატვრულათ წარმოიდგენდა, მაგრამ, როცა მომავალზე დაიწყებდა ოცნებას, ანგარიში ჩქარა აერეოდა, ხელ-ახლავ იწყებდა საჭირო საშვალეების ძებნას, იგონებდა ხერხს, მაგრამ კიდევ ერეოდა და აქ ყოველი სუსტის მფარველი — ძილი გადააფენდა თავის კალთას...

შაბათი ივანესთვის განსაკუთრებულის კარგის ნიშნებით დაიწყო.

ქალაქის თავმა მოითხოვა, რამოდენიმე წლის ანგარიშებიდან შეედგინათ ერთი მთლიანი ანგარიში, რისთვისაც საჭირო იყო დიდი წიგნის შეკვეთა.

მთელი მუშაობა ივანეს უნდა დატყდომოდა თავზე; ივანე გრძნობდა ამ ახალი წიგნის შედგენის უმიზნობას, მოახსენა ქალაქის თავს თავისი მოსაზრება, მაგრამ ბრძანებას როგორ გადაუხვევდა, მოიწვია მესტამბე, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთი წიგნის გაკეთება ქალაქის უქონლობის გამო თითქმის შეუძლებელია და ქალაქი რომ ვიზოვოთ, უღირსად ფასად ეღირებაო.

ქალაქის თავმა ჩააქნია ხელი და ღიმილით უთქრა ივანეს:

— თქვენს აზრს ქალაღდიც იზიარებს, მაშ გადავდგათ დროებით...—რაზე-
დაც ივანემ სწრაფად უპასუხა:

— არა, ბატონო, ჩემის გულისთვის ნუ შეაჩერებთ—მე მზათ ვარ!

ქალაქის თავმა კომპლიმენტიც კი უთხრა:

— ნუ სწუხართ—მე დარწმუნებული ვარ თქვენს მუყაითობაში...

ამით იყო ივანე ნასიამოვნები.

სალამოს ცოლ-ქმრის ბედმა კლუბში ყოველივე იმედს გადააქარბა.

ფრაზმა შემოიტანა 246 მანეთი, ლოტომ 150; ლენოს თითქოს განგებ, რომ სიამოვნების მთლიანობა არ დარღვეულიყო მსახურის საჩუქრად მისაცემი ნაშალიც აღმოაჩნდა, ღვინო თხელი და ჩაცივებული მოართვა მსახურმა და შემწვარი გოქიც პირში ხიტკინებდა და დნებოდა ლავაშივით.

ინებიერა და ტკბილ, უდარდელ ძილს მიეცა ოსებაშვილის ოჯახი.

გალვიძებითაც მზიარულათ გაედვიდა ივანეს. ჩვეულებისამებრ ხელი გასწია გაზეთისაკენ, მაგრამ თეთრი ქალაღდის მაგიერ, მას დახვდა რაღაც ყვითელი, ისიც ორ გვერდიანი სახვევი ქალაღდი. ერთხანს ატრიალა ხელში... დაიწყო კითხვა—ასოები ერთმანეთს გადადებოდა, აღარ იყო არც მოწინავე და არც ფელეტონი, რომელსაც განსაკუთრებულათ ეტანებოდა ივანე, რომ საკმაო მასალა ჰქონოდა სამუსაიფოთ. ერთხელ კიდევ წაიკითხა რედაქციის განცხადება: „თეთრი ქალაღდის უქონლობის გამო იძულებული ვართ ჯერ-ჯერობით სახვევი ქალაღდი ვიხმაროთ და ორ-გვერდიანი გაზეთით დაეკმაყოფილდეთ... მიღებულია ზომები“... ივანემ გადაადლო და ჩაის სმის დროს მიეცა ფიქრს, თუ როგორ დასწია კულტურა ომმა და გაუთავებელმა რევოლიუციამ... გრძელი არ ყოფილა აზროვნება; შორს ჰკრეტას ისევ თვალის დახუჭვა და მითვლემა არჩია სხეულმა... და ესიზმრა ივანეს სრულიად მოულოდნელი.

... ვითომც ეგზამენებია მოახლოვებული... ზის წიგნებზე და ხელში უჭირავს წიგნი... ჩაეძინება... მოღის წვიმა, მაგრამ წვიმა საკვირველი... წვეთების მაგიერ აი წერილი მეგობრის, დედის; შიგა-და-შიგ, როგორც წვიმის დროს კოხი და სეტყვა, ცვივა რვეულები, ცალკე ფურცლები, რაღაც საკვირველი ტაბლიცებით; სცივიან ანგარიშები მალაზიებიდან, ბილეთები თეატრ-სალამოებისა, ანგარიშები ცალკე—კასის, ცალკე მემორანდუმები; ბოლოს თვით თავი

წიგნი, Grossbuch როგორც საბანი ჰფარავს სრულიად ბატონ ივანე ოსება-
შვილს; იხივება ივანე, ცდილობს თავი დააღწიოს ქალაქის ამ საკანს, საფ-
ლავს ავსებულს ქალაქით... როგორც იქნება გამოძვრება ქალაქებიდან...
მაგრამ ვაი უარესს!.. თითები, თავი, ფეხი და ტანი—ყველაფერი ქალაქისა...
ქალაქები ირგვლივ აღარ არის... არის თვითონ ის ქალაქებიდან შექმნილი...
აი წარბების მაგიერ დეპეშის სტრიქონები... ხელემათ კასის წიგნები, გულ-
მკერდათ ტრამვაის ანგარიშები, ყურებათ პატარა ლექსთა კრებული, მუცლათ
ეს წყეული Grossbuch; ქალაქი ირგვლივ არ სჩანს... უკვირს ნუ თუ ერთ
მის სხეულს მოუნდა ამოდენი ქალაქი... უეცრათ მიწიდან ვარდება ცეცხლი...
საზარი შიში... დავიწვები!.. არ დამწვათ! რას მერჩით...

ოფლ-დასხმული, თმა აბურძღნული ივანე იღვიძებს...

1919 წ. 14 აგვისტო.



క గ న ల న క డ

კ. გამსახურდია

ფრაგმენტები

(ტრილოგიიდან: ხელფენება: „სიტყვა, ზატი, მუსიკა“ კ)

I. უსაფოჯლოთა საფოჯლო

მშვენიერება, — ამბობდა პლატონი სულის პირველყოფილი სამოსია, მისი თანდაყოლილი საუნჯე და სამკაული, რომელიც მას სხვადაცოფნის დროს თან ჰხლებია, შემდეგ რაჟმე მიზეზით შემოძარცვია თუ დაუკარგავს, მაგრამ სული ადამიანისა „ხელმეორედ იგონებს“ თავის პირველყოფილ სათნობებსა და სიკეთეს. ამა ქვეყნის მშვენიერებით დატკობაც ჩვენი სულიერი ძალების გამოჩენა და პირველყოფილ სამკაულთა მოგონებაა.

პლატონში ფედროსში სოკრატეს გასაოცარის სიოსტატით გვიამბობს სულის მოგზაურობას ცის რეგიონებში. ამ უცნაური მგზავრობის დროს ადამიანის სული ღმერთების ამაღლაში ურევია და იმდენ მშვენიერებას უქვერეტს და ითვისებს, რამდენის ხილვა და შემეცნება მას ბუნების მიერ წინასწარ დათქმული აქვს.

აქა ჰსკვერეტს სული სამართალსა და გონიერებას, ითვისებს მეცნიერებას, სწავლას ჭემპარიტისა და აქ ყოფილის შესახებ, მაგრამ ეს ღირებულებანი უფერულად ეჩვენება ცად ამაღლებულს, რადგან ესენი ხელუხლებელნი არიან თავის თვისებით. მიტომაც ეგზომ ძნელია დაცემულ სულისათვის მათი ხელმეორედ მოგონება. მშვენიერება კი გულღიათ ანათებს და ბრწყინავს ზეციურ სახეების თვალის სხივზე, მხოლოდ მშვენიერების ნათელკრთომის ფერადები აღწევენ სულის წიაღში, რადგან მშვენიერება ისე კიაფობს საგანთა არეში, ვით მზე აწ ჩამქრალ პლანეტთა შორის. და ვისაც კი იქ მალლა, მშვენიერის ნათელი პირისათვის ოდესმე მოუკრავს თვალი, იგი აქ მიწაზედაც მშვენიერება მოწყურვებული დაძრწის და მიწიერ მშვენიერების ხილვა, მას ზეცად ნახულის სიდიადეს მოაგონებს, იგი მიწაზედაც მარად მშვენიერების სასუფეველის მაძებარი მწირია;

მისი ერთად ერთი საქმეა ამიტომაც, — „დაკარგული“ სულიერი სამშობლოს კვალად მოძებნა.

„სად არის სამშობლო ჩემი? ჰკითხულობს ზარატუსტრა.

იმას ვეძებ და ვკითხულობ, ვეძებდი, ვეძებდი მარად ჟამს. ვეძებდი და ვეღარ ჰვბოვე. ჰოა მარადიულო არსად, ჰოა მარადიულო ამაოდ!“

თანამედროვე სულიც მწყურვალედ ეძიებს ამ ქეშმარიტ სამშობლოს.

ვინ დამიფარავს მე?

ვინ შემეცვარებს მე?

მომეცი ხელი განმარტოვებულს.

მომეცი ხელი, მეგობარო უკანასკნელო,

ჩემო უცნობო, უხილავო

ღმერთო ჯალათო!

და სასოწარკვეთილი წინასწარმეტყველი თვითვე ეძიებს თავის სულის ცეცხლს განწმედისას. „ბრძენი, შემცნობი ყოველივე დასაწყისისა, იგი — მომავლის წყაროს მიაგნებს. წყაროს ახალ სახეთა წარმომშობს, ახალსა და უფალ გზებს“.

„ქეშმარიტად გარწმუნებთ ძმებო, არ დაყოვნდება ხანი, ახალი თაობანი წარმოიშვებიან, ახალ უფსკრულებში დაიწყებენ ძებნას. ახალი მიწისძვრა; ახალი მიწისძვრა ძმებო ახალ წყაროებს აღმოაჩენს, ძველი ზალხებისა და ძველი თაობათა მიწისძვრა ახალ წყაროების შადრევანად ამოსქდება.“

აღსრულდა ფრიდრიჰ ნიცშეს წინასწარმეტყველება: ძველი ხალხებისა და თაობათა მიწისძვრა ომმა — ახალი წყაროები, ახალი გზები უნდა წარმოშვას, ახალი გზები ახალ შესაძლებლობისაკენ. ტკივილები, ტკივილები იწვევენ სიხარულ მოსილ შვებასა და ხელოვნურ სილალის დაწაფებას. ტკივილებზე და სისხლის ნაკვალევზე იზრდებიან ხელოვნების გულგადედილი არქიდებები.

ვნებანი და მარტვილობანი, სურვილნი და წამებანი, სასოება და სიხარული თანამედროვეობისა ახალი ხელოვნების ეკრანზე უნდა გამოჩნდეს.

ძველი ფორმების წარღვნასა და ნგრევას თან მოსდევს ახალი სულიერი კოსმოსის მშობიარების ტკივილები. ადამიანობის მოდგმა ახალი კოსმიური ცხოვრების წიაღში შედის, როგორც მრავალ საუკუნეთა გადაღმა, სულით ბალღი და პრიმიტიული ერები საკუთარი ხელით, აყალო მიწისაგან შეთხზულ კერპების წინ ლოცვად დგებოდნენ, ისევე დღესაც თავის საკუთარი შემოკმედების გენიის პირშობთა თაყვანისცემაში იოხებს გულს ადამიანობის მოდგმა.

— „იცით თუ არა, რომ დღეს ისიც ცოტაა, რომ ადამიანის მორწმუნე სულს მთების დაძვრაც კი შეუძლია? კითხულობს ზარატუსტრა.

სიტყვა ~~მუხჯღდვა~~ სულთს ფოლადისეულ წკრიალში...

რა მოხდა? ჩუ დრო გაჰფრინდა ფარფატით. მეშინია არ წავიქცე, მეშინია არ დავეცე.

ყური მიუგდე მარადისობის ჩანჩქერს! დახე, არარაა ზევით, აღარაა ქვევით, იმღერე!

არა წამოიკაოს!.. მე შენ მიყვარხარ ჰოჲ მარადისობაე.

II. გამოთქმის ტექნიკისათვის

ყოჩაუ სასდი გვიამბობს იმ მუნჯ გენიოსებზე, რომელნიც მუდამ იდეათა ფეხმძიმეობას განიცდიან, რადგან გამოსათქმელ საშუალებათათვის ვერ მიუგნიათ.

ხელოვნების აქილესისებური ქუსლი გამოთქმის ტექნიკაშია.

მუნჯი ხელოვნური ფეხმძიმობა გამოუცდიათ არა მარტო ყოჩაუ ზანდის გენიოსებს, რომელნიც ისე ჩასულან საფლაფში, რომ ერთი ლექსი არ დაუწყებიათ, ერთი სურათიც არ დაუხატავთ, არამედ თვით ისეთი დიდი სიტყვის ოსტატიც, როგორიც იყო გოეთე, გამოთქმის სიძნელეზე სჩივის.

გოეთე უკვე მოხუცი ვაიმარელი სულთა მეფის ტახტზე სჩივის, რომ მას მცნებების და აზრების პირდაპირ გამოხატვა ეძნელება, რომ მან ჯერ გვერდით უნდა გაუაროს ნიშანში ამოღებულ მცნებას და **გაკვრით** უნდა გააშუქოს იგი.

„მე მუდამ შედარებების წრეში უნდა ვიწვრილო და ნაცვლად იმისა, რომ საგანი ხელად ავაცვა სიტყვების ხანჯალზე, **გაკვრით** ვავაშუქო.“

განა მარტო სიბერეში ემართება ეს გოეთეს.

„ახალგაზდა გოეთე ათასნაირი ნიჭითაა დაჯილდოებული, სწერდა 1772 წ. ნოემბრის 18-ს კესტნერი—ჰენნიგს. (იხ. „ახალგაზდა გოეთე“. ინზელის გამოც. გვ. 314). მას არა ჩვეულებრივი ფანტაზია აქვს, იგი მუდამ მხატვრულ სვიმბოლოს იშველიებს მცნებების გამოსახატავად. სულ სვიმბოლოებითა და შედარებებით... იგი თვითონ აღვიარებს, რომ მას მხოლოდ **არა პირდაპირად** შეუძლია აზრის გამოთქმა. გოეთე ხშირად თავს ინუგეშებს, ეს ჩემი ახალგაზდობის ბრალია, თორემ როცა ხანში შევალ საგნებს პირდაპირ დავსახავო.

როცა ქი გოეთე დაბრძენდა და მოხუცდა, იგი თვითვე გამოტყდა, რომ ყოველივე მიწიერი აზროვნება ნამდვილად „**არა პირდაპირად, არა არსებითად და შესაძლებელი**“.

აუგუსტინის აღსარებაც ასეთია: „ჩემს მეოცდაათე წლებში, ამბობს აუგუსტინი (იხ. ჰერტლინგის აუგუსტინი, გვ. 28—55). ნათელი და გარკვეული გა-

მოთქმა ვერ შეგეთვისებრ“. როცა ხანში შევიდა იგი გამოუტყდება დედა მის მონიკას, რომ მსოფლიო სიბრძნეს ნელა უნდა გამოეკრას სიტყვის ფრთა და რაც უნდა მცირე და უმნიშვნელო არ უნდა იყოს ქეშმარიტება, იგი ყოველივე შესაძლებელ სიტყვაზე და გამოთქმაზე დიდი დარჩება. იგი ჩვენში და ჩვენს შორის დაპქრის ფარფატით, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ თვალის დახამხამებაში თვალის მოკვრა და ვინც ქეშმარიტების ჩრდილის შეხებას ან გამოხატვას მოინდომებს, მას ენა დაუმუნჯდება. სიტყვა იეროგლითია გამოუთქმელისა, უმატებს პავლე მოციქული.

სიტყვაში იგულისხმება ყოველივე გამოთქმა, ხატით, ცეკვით, მუსიკით, თუ ფერადით: ხელოვნებაში ყოველივე გამოთქმა გოეთესებურ გაკვრით შეხების ფარგალში უნდა დარჩეს. იმავე გოეთეს თქმით ჩვენ შეგვიძლია „პირველფენომენებს“ მივაგნოთ და (უპრფენომენ) შევეხოთ, მაგრამ როგორც კი მიუწლომელ უცხო ღმერთს ნილაბის ახსნას მოუწოდებთ, მაშინ ყოველი სიტყვა ფულუროზე ბრახუნს, ან არა და „ბალდის უაზრო ტიტინს“ დაედარება.¹⁾

გოეთეს მხოლოდ სვიმბოლიური, ან ანალოგიური გზა ეგულებოდა.

„ანალოგიურად უნდა ვცადოთ ჩვენ იმის გამოთქმა, რაც არსებითად მარად გამოუთქმელი რჩება“. ეს მარად გამოუთქმელი გოეთესებურ ოქროს გველსა ჰვავს, რომელიც სწორედ მაშინ, როცა ჩვენ გვეგონია რომ ის დავიჭირეთ და ხელში გვყავს,—ხელიდან გვისხლტება.

ჰერაკლიტი ერთ დელფინელ ღმერთზე ამბობდა: „იგი არაფერს მალავდა, იგი არას იტყოდა, იგი მიუთითებდა მხოლოდ. (Ουτε λέγει ούτε χροπτει αλλά τημα ει!) (პლუტარხი. პიც. ორაკ. გვ. 404). ჩვენი გამოთქმის შესაძლებლობის ფარგალშია, მხოლოდ იდუმალობის მოდიფიკაცია.

პოეზია გაკვრით ეხება ბუნების საიდუმლოებას და ხატით ამჟღავნებს მას. ფილოსოფია გაკვრით ეხება გონებისა და აზროვნების საიდუმლოებას და სიტყვით ანსახიერებს მას, მისტიკა გაკვრით ეხება გუნებაში და გონებაში დაცულ საიდუმლოებას და ხატითა და სიტყვით წარმოგვიდგენს მას.²⁾

ყოველივე შემეცნება უძლურია, ვიდრე მას ჩვენი შინაგანი არსებიდან გამოჟონილმ ძალა არ შეემატება, ეს შინაგანი ძალა, გოეთეს აზრით ზემოდ ნახსენებ იდუმალების მოდიფიკაციას უნდა მიეშველოს, იგი უნდა შეავსოს.

ეს ორი უცნობი სტიქიონი ხელს უწყვდის ერთი მეორეს და იქმნება გოეთესებური „განსაკუთრებული მეცნიერების მცნება“, რომელიც ცოტათი მეტი უნდა იყოს ვიდრე მეცნიერება, ესე იგი ხელოვნება.

¹⁾ ფად. ახალგაზდა გოეთე. ინზელ. ტ. V გვ. 309.

²⁾ იხ. გოეთე. ბუნების-მეტყველებითი ნაწერები. ტ. II გვ. 374.

ვხედავ ჩემს მიერ დასახული მიზანი ფრიად რთულია, მაგრამ რუსთველი-
ვით დასაწყისშივე ვახსენებ ღმერთს.

„აწ ენა მმაცლებს გამოთქმად გული და ხელოვანება“.

III სტილი და სული

„და საუკუნეს უღელტეხილთან სდგახარ იმედის ბზის-ტოტით ხელში!“

როგორც ხეები ფოთლებს, ადამიანობა—ტანთსამოსს, ისე იცვლის სტილს
ყოველი ერის, ყოველი დროის ხელოვნება. შინაარსი მარად ქვეშარტისა და
მშვენიერისა უკვდავი და უცვლელია, იცვლება მხოლოდ ფორმა და სტილი.

სტილის ცვლა თვით განვითარების ტემპოს სიცხის საზომია.

სტილი ენა ბედისწერისა

სტილში გამოსკვივის მარაჯილოი მოსიყვია, მარადიული მეტამარფოზაა სუ-
ლის ტკივილების გამოთქმისა

უახლოესი განვითარების განაცხობად მისი წინმავალი განვითარების თვა-
ლის გადავლება დაგვეჭირდება. მიზანში ამოვიღოთ მეცხრამეტე საუკუნის განვი-
თარება.

ამ საუკუნეში ერთგვარი შვება მოსილობა. ჰქრის ხელოვნებაში, სიამაყე
ნარევი სილაღე. წარსულ საუკუნეთა ჯაფითა და მუშაობით მოქანცულ ადამია-
ნობას თვალის მილულვა ეჭირვება, ერთგვარი თვით-კმაყოფილების ღიმ-ნარევი
განსვენება და განცხრომა—განსვენება აღთქმის კარების შესავალთან.

ამ საუკუნეს ჰშვენის ზემოდ მოყვანილი სიტყვები შილლერისა.

ამ თაობათა წინაშე როგორც ფარდულში შემოტანილი ქირნახული იღვა
ანტიკისა და რენსანსის კულტურული მოსავალი; ამით უნდა გაენაყოფიერებია
საუკუნეს თავისი სამეგრისო მუშაობა.

ხოლო პაროლი საუკუნისა: მემკვიდრეობა მრავალი ათასი წლის ნაშრომი-
სა და ნაამაგარის.

სვიანი მემკვიდრეობა მრავალ ერთა და საუკუნეთა ნაყოფიერი და ხელმწი-
ფე მუშაობისა.

ფილოსოფიურ განვითარების ნივო არტისტიულის ფუძე და სამკვიდრე-
ბელი ყოფილა მუდამ. ამ საუკუნის ფილოსოფიის ნიადაგი იყო: კრიტიციისტუ-
ლი სული.

კანტისგან მოდის პაროლი; მსოფლიო მოვლენების პრესციზიული სისტე-
მატიზაცია!

ჩვენი გონების მიერ გამოწერილ კანონებს უნდა დაექვემდებარონ არა მარტო მოვლენანი „ჩვენს შიგნით“, არამედ ის ფენომენებიც, რომელნიც ჩვენი მეოხის ფარგალს გარეშე იმყოფებიან, თვით კოსმიურ სფეროთა მოვლენებისა და მთელი ზეცური მექანიკა.

ეს კრიტიციზმი წარმოიშვა რუსოსა და საფრანგეთის ფონზე. მთელი კულტურა და ცივილიზაცია უნდა გაყვანილ იქმნას ერთ მარტივ ფორმულამდის.

თეორიულად კრიტიკული ფილოსოფია და პრაქტიკულად, საფრანგეთის რევოლუციით მონაბერი იდეათა ქარიშხალი ხელს უწყობენ მესამე წოდებისა და ქარხნის მუშების წამოშვებას. ეს ორი უკანასკნელი იბრძვის, რათა არისტოკრატას სხვა პრივილეგიებთან ერთად კულტურის მსვეურობის როლიც გამოაცალონ ხელიდან.

კრიტიკული სულის ნიადაგზე იშვება ახალი არტისტიკული სული.

ამ ახალი დროის მუშაობა ორგვარია: ერთის მხრით ძველი, უნივერსალისტორიზმის ბაიზატარნი, რომელნიც ძველ იდეათა სამყაროს ხელს არ უშვებენ, რადგან ძველის გავლენა ახალ კულტურულ ჯეჯილზე სასარგებლოდ მიჩნიათ. მეორე პირად—მეამბოხე ახალგაზდობა, რომელიც ერთის დაჰკვრით ლაშობს ძველი კულტურული ტრადიციებისა და მათი უნივერსალისტორიზმის განადგურებას.

ამ ახალგაზდობის ყურად საღებად ამბობდა რენანი: ნუ დაგავიწყდებათ რომ ყოველ კონსერვატორის ველური წინაპარი რევოლუციონერი ყოფილა. იწყება მარადიული ბრძოლა მამებსა და შვილებს შორის.

რევოლუციონური ახალგაზდობის ერთი ნაწილი სტოვეებს მშობლიურ პენატებს და ტრადიციულ ევროპას და კოლუმბის ქვეყანაში იშენებს სამოცსართულიან კოშკებს. ამ ფანტასტიურ ამერიკულ კოშკების მოდელი არც ერთ ერსა და არც ერთ საუკუნეს არ ახსოვს. ახალი ჯერ უცნობი პრინციპები იბადება ხუროთ-მოძღვრებაში. რკინისა და ფოლადისაგან იშენებს ახალი თაობა თავის საცხოვრებელს. ამ სახლებში იცხოვრებენ ახალი ტიპის ადამიანები, ქარხნის მუშები, მილიონები კოყრიანი ხელებით რო ჰქმნიან ეროვნულ სიმდიდრეს. აწი თეატრებიც ამ მილიონებისათვის უნდა გააკეთონ. ასე ლონდონში პარიზში, და ბერლინშიაც ჩნდება ქარხნის მუშა.¹⁾

სამოქალაქო ხუროთ-მოძღვრება იბადება: ღმერთების, მეფეების, ჰერცოგების და პაპების სასახლეების ნაცვლად საჯარო თეატრები, მუშათა სახლები,

¹⁾ ილდუსტრაციისთვის შეადარეთ კოლასეუმი რომში და სახალხო თეატრი ბერლინში. უკანასკნელი დახურული კოლასეუმი.

ლებელი რკინის-გზის სადგურები, რკინის ხიდები, აპოკალიპსულ ცხოვე-
ლით () მთელი თავისი მიწური სიმძიმითა და სიდი-
ა.

ამ ახალ ხელსაწყოებს სწორედ ის აკადემიური სტილი აკლია, რომელიც
ველ სენტიმენტად თაობის თვალს ნებიერად ეალერსებოდა. ამ თაობის ხელოვ-
ნების სიძლიერე მის უსტილობაშია.

მარად მჩქეფარე და მათად არეული ყოველდღიურობა ცალი თვალთ შინც
მარადიულს შეჰყურებს. თვით მეცხრამეტე საუკუნის ქალაქთა ამშენებლობის
დამახასიათებელი მხარეა, არა მარჯო არქიტექტონური ეკლექტიციზმი, არამედ
უწყალო ზრძოლა გარეგაულად მდიდარ და სულიერად დატაკ თაობათა.

ახალი ამირანული ძალა შედგენდებოდა ციკლოპიურ სახალხო სამკითხვე-
ლოების, თეატრების, სავაჭრო სახლების და რკინის-გზის სადგურების ან ხი-
დების კონსტრუქციაში. ახალი სული იკლანება ამ უჩვეულო არქიტექტონიკის
ხაზმოსმაში. ახალი ძლიერი არა სენტიმენტალი თაობის ენით გველაპარაკება ეს
უჩვეულა არქიტექტურა.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში თანამედროვე ბაბილონში, ინჟინერ
აფთელი აშენებს ახალ ბაბილონის გოდოლს. — აფთელეს კოშკს, რომლის მწვერ-
ვალი არა მიწიერი ენით მოუთხობს ზეცის ღრუბლებს თავის ირაციონალ არ-
სების შესახებ.

მეორდება ძველი პირამიდის ქენება ახალი სტილითა და კონსტრუქციით.

მაგრამ როცა პირამიდებს ფარაონების მონები აშენებდნენ საუკუნეთა გან-
შავლობაში, აქ აფთელის კოშკს ქიჩნის საყვირის ბრძანებაზე აშენებენ, ქარხნი-
ავე მუშები სულ რამოდენიმე თვეში.

მინიმუმი მუშაობისა და ძალი გაღების მაქსიმუმი!

ეს გახლავთ ახალი დასავლეთ ევროპიული პრინციპი, რომელსაც არც აღ-
მოსავლეთი, და, არც ანტიკა და არც რენესანსი არ იცნობდა. იგივე პრინცი-
პი მთელი ინდუსტრიულ ცხოვრებას ბატონდება.

პირამიდების უმარტივეს ფორმას სიკვდილში ჩაფლული თაობანი ეძიებენ
ურთულეს მარადიულ პრინციპის გამოხატვას. მკვდარმა ქვამ უნდა მოუთხროს
საუკუნეებს მიცვალებულ თაობათა სამაგისა და ჯაფის შესახებ. უპირველესი
პრინციპი პირამიდებისა ასე გამოიხატება: „არ დაგვივიწყოთ სიკვდილის ზღვაში
დამხრჩვალი მილიონები!“

აფთელის კოშკი — შიშველი ნების გაკიმვაა, ტრიუმფი სულისა და გამო-
თქმისა — უცებ მატერიაზე. მისი სახეები ცალ-ცალკე — ესთეტიური აბსურდია.
ერთო კომპოზიცია იმპოზანტულ ენაზე გველაპარაკება რკინის ნიღაბს ქვეშ.

ეს უშველებელი, ოთხფეხიანი ბუმბერაზი სწორგული ფეხებით ჩასქიდებ მიწის ნოყიერ გულს, როგორც სატანა, როგორც სატანა, მიწისძვრიდან გამო ჩხირული და ცას ეჯიბრება.

იხვევიან, ირევიან, იხლართებიან, იკლაკნებან, იგრიხებან მისი ირაციონალი შავი, რკინის ხაზები, მირბიან, მიჰქრიან, მიიჩქარიან სულ ზევით, სულ ზევით ხან უხეში, მოტეხილი, ხანაც ელასტიური ზიგზაგით.

უფორმო როგორც ესთეტიური მოტივი. აბსურდული რეკონსტრუქციამ მგარამ ძალოვანი და დიდებული თავის კონსტრუქციით, თავის კორპუსით, თავის ხაზების სიმესტრიით და კანონიერებით.

რთული და ირაციონალი ხლართით იგი გოტიურ კოშკს უახლოვდება, მგარამ როდესაც გოტიური მოკრძალებით, სათნო ჩუქურთმის ზვირთებზე მიეშურება ცისაკენ თითქოს ზეციერი ღმერთის გასაგონად ტკბილსა და ნელ ლცვას იზევირებსო, აფეფლის კოშკი ურცხვად, უხეშად, უდრეკად ბრუტალურ მიიჩქარის ცისაკენ. მისი სახე—გეფისტოს ნილაზია, მისი ენა—მიწის მუქარა ღმერთის გასაგონად ნათქვამი, ურცხვად და უტიფრად რო ბუტბუტებს მეფისტოს ვით „რომ ცულ ყოფნაში ჩავარდნილა ძირს მიწის შვილი“. (ფაუსტი) მას ლცვა დავიწყებია, მას სალოცავი აღარა აქვს, მას ღმერთი შესძულებია, სასუფველი აწ აღარა აქვს, მას სალოცავი დაუნგრევია და ცად აქრილა შურის სძებნად.

კრიტიკული საუკუნის ენა და სული ესაუბრება ცის მეუფებას აფეფლ კოშკის ლითონის ენით.

483/12

ბერლინი.
ივნისი, 1920 წ.

10-



სარეაქციო კოლექცია:

ივ. გომართელი
ს. აბაშელი
ვარ. რუხაძე
არ. რუხაძე
ობოლი მუშა